# ალია

# დღეიდან „ალია“ 70 თეთრი ეღირება

N28/3344/ 17 მარტი 2016 წ ფასი 70 თეთრი

ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## თსუ-ს სტუდენტების 4 ახალი მოთხოვნა

რას დაჰპირდა განათლების მინისტრის მოადგილე სტუდენტებს?



11

„ყაზტრანსგაზ თბილისის“ მრიცხველები ან „ხელოვნური ინტელექტით“ აღჭურვეს, ან გვარიან თაღლითობასთან გვაქვს საქმე!



6

მოყვება კარასინის განცხადებას ემბარგო? რატომ აბრალებენ თსუ-ში დაწყებულ დაპირისპირებას „რესპუბლიკელებს?



3

თბილისის ათივე რაიონის გამგებელს პოსტებს ატოვებინებენ?



13

# რატომ არ პასუხობენ „ვიდეოტერორისტის“ ულტიმატუმს გრიგოლიას მსგავსად ირაკლი ალასანია, თინა ხიდაშელი და თამარ სანიკიძე?



9

## რას ნიშნავს კარასინის მუქარა?



მამუკა არეშიძე: „ყველა მიმართულებით პროცესი მიმდინარეობს შეფერხებით... საბოტაჟია ძალოვან სტრუქტურებში...“



5

# რატომ გამყარდა ლარი, რა გარიგება მოხდა 16 მარტს „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე და რას პროგნოზირებენ ექსპერტები?



„ძალიან უცნაური რაღაც ხდება, ელემენტარული გაანგარიშებითაც კი ერთ კვირაში ლარი ასე არ უნდა გამყარებულიყო. ალბათ, გახსოვთ, 20-მილიონიან ინტერვენციებს აკეთებდა ეროვნული ბანკი და ამას ჰქონდა მხოლოდ 10 პუნქტის ეფექტი, ახლა რამდენიმე დღეში გამყარებულია 1900 პუნქტით. იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო, საჭირო იყო 380 მილიონი დოლარის გაყიდვა, რაც უბრალოდ წარმოუდგენელია. მეტიც, ამ პერიოდში ეროვნულ ბანკს გასაყიდად 1 ცენტიც არ გამოუტანია“

7

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

როგორ გავარკვიოთ, გვითვალთვალებენ თუ არა — ინტერნეტში პირადი ინფორმაციის დაცვის მექანიზმები



2

„ოცნებამ“, „ნაცებს“ უკვე ნამეტანი მოსდითო — გაგვენძრიათ მერე ერთი ადგილი და გაგვეშვათ პოლიტიკურ მოუსვლელში



8

„X ფაქტორს“ მონაწილეების დაჩაგვრაში ადანაშაულებენ



12

როგორ იძიებენ სხვა ქვეყნებში პერსონალური ინფორმაციის გავრცელების საქმეებს — რა სირთულეებს აწყდება !



10

„გაღატაკებული ხალხის ფონზე მერი საკუთარ ფუფუნებაზე ფიქრობს“



4

# „ღალატი ბოზობაზე მეტია — ქართველი ქალის მანდილი სიბინძურით შეილახა!“



„თქვენ წინაშეა ამერიკის შეერთებული შტატების ოთხვარსკვლავიანი გენერალი დევიდ პეტრეუსი, მეტსახელად „მეფე დავითი“, საკუთარი ქვეყნის თავდადებული პატრიოტი და სამხედრო საქმის უბადლო მცოდნე, ნამდვილი პროფესიონალი. 1985 წელს გახდა მაგისტრი სახელმწიფოს მართვის სფეროში, 1987 წელს გახდა ფილოსოფიის დოქტორი. მისი სამხედრო დამსახურებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. 2003 წელს ამერიკელების ერაყში შეჭრის დროს, ხელმძღვანელობდა 101 საჰაერო სადესანტო დივიზიას, 2007 წლის 10 თებერვლიდან 2008 წლის 16 თებერვლამდე ხელმძღვანელობდა მრავალეროვნულ კოალიციურ ჯარებს ერაყში. ქართველების მიმართ განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. მას ეკუთვნის ფრაზა: „ქართველ ჯარისკაცებში არის ის, რაღაც განსხვავებული მუხტი, რაც სხვა არც ერთი ქვეყნის ჯარისკაცებში არაა“.

ერაყის მისიის შემდეგ, მსახურობდა ავღანეთის მისიაში ცენტრალურ შტაბში. შემდეგ იყო ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს დირექტორი. აქ დასრულდა მისი სამხედრო კარიერა, ვინაიდან ოჯახის გარეთ ფარულ რომანში ამხილეს.

ამერიკული სამხედრო წესდებით, სამხედრო პირი, რომელიც, ოჯახს უღალატებს, სჩადის დანაშაულს და უნდა წარდგეს ტრიბუნალის წინაშე, რადგან ოჯახის მოღალატე ადამიანი სამშობლოსაც უღალატებს. ასეთია კანონმდებლის ლოგიკა. სასამართლომ გაითვალისწინა პეტრეუსის დამსახურება სამშობლოს მიმართ და ბრალის აღიარების სანაცვლოდ, 40,000-დოლარიანი ჯარიმა და 2-წლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯა. ისიც, გულწრფელი აღიარებისა და თავის დამნაშავედ ცნობის შემდეგ.

ერთმა, არ აქვს მნიშვნელობა, როგორმა ქალმა, ლეგენდარული გენერლის 37-წლიანი აღმავალი სამხედრო კარიერა სამუდამოდ დაასამარა.

ახლა კი მინდა მივუბრუნდე ამ ჩვენი პოლიტიკანების პორნოსკანდალს – ხალხს, რომელსაც ქვეყნისთვის არათუ რამე უკეთებია, პირიქით, წურბელებივით წოვდნენ და წოვენ სისხლს. ვერ ძღებოდნენ პრემიებით, ხელფასებით, დანამატებით, მივლინებებით და ა.შ.

მათ ათასობით დამცველი გამოუჩნდათ ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა და თავად პრეზიდენტის სახით. არც ერთს უხსენებია ის, რომ ქართველი ქალის მანდილი, რომელიც ამ ტრადიციულ ქრისტიანულ ქვეყანაში უწმინდესად ითვლებოდა ყოველთვის, ღალატის სიბინძურით შეილახა, როგორც ქალისა და როგორც დედის. „ღალატი კი მართლაც ბოზობაზე მეტია“.

**P.S.** დავუკვირდეთ, აბა, გარყვნილი ამერიკის წესებს, კანონებს, დამოკიდებულებას ოჯახისა და ქვეყნის მიმართ. შემდეგ კი ჩვენი ტრადიციული კავკასიური ქვეყნის დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. პასუხი ერთია – „გავაბითურეთ ქვეყანა, მართლაც სამოთხის სადარი, სხვა საქართველო კი არა, თვით საქართველო სად არის“, – ამ განცხადებას თავის გვერდზე სამხედრო მოხელე ერმილე ნემსაძე აქვეყნებს. **(mediacity.ge)**

# როგორ გავარკვიოთ, გვითვალთვალებენ თუ არა — ინტერნეტში პირადი ინფორმაციის დაცვის მექანიზმები






ინტერნეტში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გავრცელებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საზოგადოება კიდევ ერთხელ სერიოზულად დაფიქრდა იმაზე, რამდენად არის დაცული ინტერნეტმომხმარებლის და არა მარტო მათი პირადი ინფორმაცია, მიმოწერა, საუბრები და ა.შ.

საიდან შეიძლება გაჟონოს პირადმა ინფორმაციამ ინტერნეტში და არსებობს თუ არა თვალთვალისგან თავდაცვის მექანიზმი – ამ საკითხებზე **AMBEBI.GE** კიბერდანაშაულის სისხლის სამართლებრივი რეგულირების საკითხებში ექსპერტ **უჩა ზაქაშვილს** ესაუბრა:

**— ვის აქვს პირადი ინფორმაციის ხელში ჩაგდების ბერკეტები?**

– ინტერნეტ-მიმწოდებლებს, ანუ იმ კომპანიებს, რომელიც აბონენტს ინტერნეტით უზრუნველყოფს და მეორე, საგამოძიებო ორგანოებს, ისიც ამ ინტერნეტ-მიმწოდებლებთან დუეტში, იმიტომ, რომ ჩვენი ინტერნეტ-კომუნიკაციის ჩაწერის ან მიყურადების მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა სხვას არ გააჩნია.

**— შეიძლება თუ არა გამოვლინდეს უცხო ქვეყნიდან ატვირთული ვიდეოს ავტორი?**

– საერთოდ, ასეთი ვიდეოს ატვირთვის დროს იყენებენ შეცვლილ სერვისებს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მომხმარებლის აიპი მისამართი გადამისამართდეს, ანუ შეიძლება ვიდეო თბილისიდან ატვირთო, მაგრამ ამ სერვისის საშუალებით გამოჩნდება, რომ ატვირთე მაგალითად, ფრანკფურტიდან და არ იყოს მიბმული შენს რეალურ აიპი მისამართზე. მაგრამ საქართველო არის კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის წევრი ქვეყანა, რომელშიც შედის დაახლოებით 45 ქვეყანა და ისინი ერთმანეთთან მოქმედებენ 24/7-ზე ქსელით და ამ კონვენციის წევრი ქვეყანა ვალდებულია, რომ გამოძიების დროს მიაწოდოს ინფორმაცია.

**— საერთოდ, როგორ გადიან ვიდეოს ამტვირთავზე შესაბამისი უწყებები?**

– როდესაც ჩვენ ვირჩევთ ინტერნეტ-მიმწოდებელს, ნებისმიერი ფირმა, რომლის ინტერნეტსაც ვუერთდებით, გვანიჭებს უნიკალურ აიპი მისამართს, საიდანაც ხორციელდება ყველა აქტივობა, იქნება ეს ვიდეოს ატვირთვა, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა და ა.შ. შესაბამისად, გამოძიების მთავარი ამოცანა არის ის, რომ ნამდვილ **IP** მისამართზე გავიდეს, რადგან, თუ ამას ვერ დაადგენს, ვერც ვიდეოს ამტვირთავს ვერ იპოვიან.

**— ამ მხრივ, რა საფრთხის შემცველია არალიცენზირებული, მოპარული პროგრამები?**

– როგორც წესი, არალიცენზირებული პროგრამებით ხდება სხვადასხვა ვირუსული პროგრამების გავრცელება, რომელიც შემდეგ მისი გამავრცელებლის მიერ სათვალთვალოდ გამოიყენება. მაგალითად, თუ თქვენს კომპიუტერში მოხვდება ასეთი ვირუსული პროგრამა – „ტროას ცხენი“, შეუძლიათ თქვენი ლეპტოპის კამერიდან უსმინონ და უყურონ თქვენს პირად ცხოვრებას. ეს რისკი ახლავს არალიცენზირებულ პროგრამებს.

**— როგორ დავიცვათ ჩვენი პირადი მონაცემები, მაგალითად, სოციალური ქსელი, სკაიპი და ა.შ.**

– გააჩნია, რისგან გვინდა თავის დაცვა. თუ მაგალითად, მხოლოდ უსაფრთხოებას ეხება, საეჭვო საიტებიდან არ უნდა გადმოვწეროთ ფაილები, უნდა გამოვიყენოთ ანტივირუსული პროგრამები. სხვა მხრივ, სახელმწიფომ და ინტერნეტ-მიმწოდებლებმა უნდა დაიცვან თავისი ინტერნეტ-მომხმარებლები.

**— როგორ უნდა ამოვიცნოთ არის თუ არა თვალთვალის პროგრამები ჩვენს კომპიუტერებში?**

– თანამედროვე ანტივირუსებს აქვს მოთვალთვალე პროგრამების აღმოჩენის ფუნქცია, უბრალოდ, სჭირდება განახლება, რომ ეს პროგრამა აღმოაჩინოს, რადგან მოთვალთვალე პროგრამებიც ახლდება ანტივირუსებთან ერთად. ეს არის ერთადერთი, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეს შეუძლია გააკეთოს და აღმოაჩინოს. თუ ანტივირუსი არ გვაქვს დაყენებული, ნამდვილად ვერ მივხვდებით. რაც შეეხება ტელეფონს, გარდა თანამედროვე ტელეფონისა, რომელსაც ასეთი დამცავი პროგრამებით უზრუნველყოფა აქვს, მაშინ ვერ მივხვდებით. დაცვა მოჰყვება ძირითადად „აიფონებს“, თვითონ კორპორაცია იცავს, აპლიკაციებიც აქვს, მაგრამ იმდენად საიმედო მაინც არ არის, როგორც კომპიუტერული ანტივირუსი. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ეკა ბესელია: ეს კადრები სხვა ქვეყნიდან აიტვირთა და მალე გაიგებთ კონკრეტულ ადგილს



– პირველი დადებითი არის ის, რომ დადგინდა – ამ კადრების ატვირთვა მოხდა სხვა სახელმწიფოდან და ძალიან მალე იქნება ცნობილი კონკრეტულად ის ადგილი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ „იუთუბიზე“ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გამავრცელებელი პირების დასადგენად ქართველმა სამართალდამცავებმა დახმარებისთვის უცხო ქვეყნებს მიმართეს.

– კარგია, რომ ხელისუფლებამ დახმარებისთვის მიმართა იმ სახელმწიფოებს, რომელთანაც ჩვენ გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულება სამართლებრივ დახმარებაზე. ეს არის ის სახელმწიფოები, რომელთანაც უკვე დაიწყო მუშაობა.

დადგინდება ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობდა და მონაწილეობს ამ დანაშაულში. ისინი უმკაცრესად დაისჯებიან.

ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც შექმნა საშინელი სისტემა და ამ სისტემის შედეგად არც ერთი თქვენგანის პირადი სივრცე დაცული არ იყო, ის პოლიტიკური ძალა ვერ შემოგვთავაზებს ჩვენ ვერანაირ პოლიტიკურ რეცეპტს, – განაცხადა ეკა ბესელიამ. **(ipress.ge)**

# აბაშიძე ჟურნალისტებს: „არ ვიცი, რა იგულისხმა კარასინმა თქვენთან“



საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხში ზურაბ აბაშიძე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებას ეხმაურება. განცხადება აბაშიძემ კარასინთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

აბაშიძის თქმით, მისთვის უცნობია, რა იგულისხმა კარასინმა, როდესაც თქვა, რომ მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის გაზრდაა. აბაშიძე ამბობს, რომ შეხვედრაზე საქართველოს შიდა პოლიტიკური ვითარება არ განიხილება. მისი განცხადებით, გაუგებარია, რატომ შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს საქართველოში გამართული არჩევნები რომელიმე ქვეყნისთვის.

– ჩვენ როდესაც ამ დიალოგს ვიწყებდით, თავიდანვე მოვნიშნეთ ე.წ. წითელი ხაზები, ანუ რამდენიმე საკითხი, რომელიც ამ ჩვენს ფორმატში არ განიხილებოდა. ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი და არის ის საკითხები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებთან არის კავშირში, ამიტომ მისგან ჩვენ შეიძლება მოვისმინოთ განცხადებები, მაგრამ ეს განხილვის საგანი ჩვენს შეხვედრებზე არ არის. საერთოდ არ გვისაუბრია ამაზე, არ ვიცი, რა იგულისხმა მან თქვენთან, რატომ უნდა წარმოადგენდეს ჩვენი არჩევნები საფრთხეს ვინმესთვის, ეს არის ჩვენი საშინაო საქმე. მე დამრჩა განწყობა, რომ ჩვენი შეხვედრის ტონალობა იყო საქმიანი. ჩვენ საკმაოდ დეტალურად ვისაუბრეთ ყველა საკითხზე და რამდენიმე თემასთან დაკავშირებით წინ გადავდგით ნაბიჯი, რაც შეეხება ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს სავაჭრო ურთიერთობებს. იქ რამდენიმე საკითხიც წავწიეთ წინ. ჩვენი მხრიდან დაფიქსირდა პოზიცია იმ დესტრუქციულ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც ხდება საოკუპაციო ხაზზე, – განაცხადა აბაშიძემ. (პირველი რადიო)

# ზურაბ ჯაფარიძე: ქვეყნის უსაფრთხოებას დედა აღარ ჰყავს



– ქვეყნის უსაფრთხოება რეალურად არის მოშლილი – დედა აღარ ჰყავს! – ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა.

ჯაფარიძის შეფასებით, არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები ოკუპანტი სახელმწიფოს სპეცსამსახურების ხელშია.

– ჩვენ ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკს ვხედავთ, რომლებიც ერთმანეთს ადებენ ხელს – ერთი აბრალებს მეორეს, რომ ასეთი ვიდეოების გადაღება მის დროს ხდებოდა, მეორე ამბობს, რომ ასეთი გადაღება ახლაც ხდება და ასევე, ხდება მისი გამოქვეყნება. საბოლოოდ, ეს თემა პოლიტიკური დაპირისპირების საგნად იქცა, სადაც ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთის მაქსიმალურად გაშავებას ცდილობს. ცოტა თუ საუბრობს იმის შესახებ, რამხელა საფრთხეა ეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოები-



სთვის. არსებობს თუ არა იმის მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ტიპის ჩანაწერები შეიძლება არსებობდეს აბსოლუტურად ყველაზე, ვინც ამ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში პოლიტიკას გაკარებია? მგონია, რომ არსებობს! არსებობს თუ არა საკმარისად მაღალი ალბათობა იმისა, რომ ეს ჩანაწერები უკვე დიდი ხნის განმავლობაში რუსული სპეცსამსახურების ხელშია? სავარაუდოდ, ასეთი მაღალი ალბათობა არსებობს! არსებობს თუ არა მაღალი ალბათობა იმისა, რომ საქართველოში წელს, მომავალ წელს, ხუთი წლის მერე, მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე შეიძლება მოვიდეს ადამიანი, რომლის შესახებაც ასეთი ჩანაწერები არსებობს და ეს ჩანაწერები შეიძლება იყოს ოკუპანტი სახელმწიფოს სპეცსამსახურების ხელში?! – სამწუხაროდ, ასეთი ალბათობა არსებობს და ძალიან მაღალი! მწარე რეალობა არის ის, რომ ქვეყნის უსაფრთხოება რეალურად არის მოშლილი – რეალურად დედა აღარ ჰყავს! ამ შემთხვევაში პოლიტიკური პასუხისმგებლობა არის ორივე მხარეს. რა ეკონომიკა უნდა განვითარდეს ქვეყანაში, როცა ამ მხრივ არის სრული ბარდაგი, – განაცხადა ჯაფარიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, რამ გაარისკვინა, არ ვიცი — ჯარისკაცის მკვლელობაში ბრალდებულის დედა

სამხედრო მოსამსახურის მკვლელობაში ბრალდებულის დედის განცხადებით, მის შვილს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა.

როგორც ნინო ბაშარული აცხადებს, ბოლო პერიოდში მის ქალიშვილს ოჯახთან კონტაქტი არ ჰქონია.

– ჩემთან არ ჰქონდა კონტაქტი, არც კი მოვუკითხივარ ნორმალურად. რაღაცნაირად, თავისებური ბავშვია, მაგრამ ეს ნაბიჯი რატომ გადადგა, ნამდვილად არ ვიცი. მე რწმუნებულმა მითხრა, თქვენმა შვილმა ჩაიდინა მკვლელობაო და თვითონ ჩაბარდა პოლიციასო. რა მოხდა, როგორ მოხდა, არაფერი არ ვიცი. არ ვიცი, ვინ იყო ის პიროვნება საერთოდ.

ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, მკვლელობა რამ გაარისკვინა, არ ვიცი. საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვია. ადრე შხამი დალია, წავიყვანეთ თბილისში, გადასხმები გავუკეთეთ, რომ გამოკეთდა, გაგვეპარა ისევ, – აცხადებს მკვლელობაში ბრალდებულის დედა ნინო ბაშარული. როგორც გაირკვა, გორში მიმდინარე წლის 7 მარტს, 39 წლის ჯარისკაცის გარდაცვალება არა უბედურმა შემთხვევამ, არამედ განზრახ მკვლელობამ გამოიწვია. სამართალდამცავებმა ჯარისკაცის მკვლელობის ბრალდებით ახალგაზრდა ქალი დააკავეს. (ნიუპოსტი)

## 480 000 აშშ დოლარი: ვაისი ცხადაძეზე ორჯერ ნაკლებს დასთანხმდა



საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 51 წლის სლოვაკი სპეციალისტი ვლადიმერ ვაისი გახდა. ფეხბურთის ფედერაციამ მასთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ამ პერიოდში, ვაისი ხელფასის სახით – 480 000 აშშ დოლარს მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრები, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილს დაიკავებს და ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, ვაისს დამატებით სოლიდურ ბონუსს გადაუხდიან.

– მწვრთნელის ცხოვრება მარტივი არ არის, ყველაფერი დამოკიდებულია შედეგზე. მე იმედი მაქვს, რომ ერთად რამდენიმე წელი ვიმუშავებთ. მე არ ჩამოვსულვარ აქ მხოლოდ თბილისისა და ეროვნული სტადიონის დასათვალიერებლად, მით უმეტეს, ფულის გასაკეთებლად. მე მოვედი წარმატების მისაღწევად და ამ მისიას მთელი პასუხისმგებლობით ვაცნობიერებ, – აცხადებს ვაისი.

კახა ცხადაძემ ნაკრები 2015 წლის იანვარში, ფედერაციის ძველი ხელმძღვანელობის დროს ჩაიბარა. მასთან 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა და ცხადაძის ანაზღაურება 960 000 აშშ დოლარს შეადგენდა. (amerikiskhma.ge)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# მოყვება კარასინის განცხადებას ემბარგო? რატომ აბრალებენ თსუ-ში დაწყებულ დაპირისპირებას „რესპუბლიკელებს?



**„ალიას“ „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, ნანა დევდარიანი ესაუბრა:**

**— გრიგორი კარასინმა თითი დაგვიქნია, თქვენი განცხადებებით ნუ გვაღიზიანებთ, ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი აქვსო. თქვენი აზრით, რას ნიშნავს მისი ეს განცხადება?**

– საერთოდ, ჩვენს პოლიტიკოსებს ხშირად ემართებათ ისე, რომ ჰგონიათ, იზოლირებულ სივრცეში არიან, ჩვენი მოსახლეობის გასაგონად ბაქიბუქობენ, მჯიღს იცემენ და ჰგონიათ, რომ ქვეყნის გარეთ ეს არავის ესმის. ასე გახსნილად და ღიად დასავლეთის ბევრი წამყვანი ქვეყანა არ უპირისპირდება რუსეთს. კარასინის განცხადება იყო პასუხი ხიდაშელის განცხადებაზე. იმიტომ, რომ არჩევნები მოდის და გინდა, ვიღაცას თავი მოაწონო, არ შეიძლება, ერთის მხრივ მოლაპარაკებებს მართავდე და მეორეს მხრივ, ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებდე.

**— გემახსოვრებათ, ირაკლი ოქრუაშვილმა, თავისი მინისტრობის დროს, ღვინის რუსეთში გატანაზე საუბრისას თქვა, დიდი ამბავი თუ მთლად ხარისხიანი არ არის ჩვენი ღვინო, რუსეთში ფეკალიებსაც სვამენო და შედეგიც მალე მივიღეთ — ემბარგო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ რუსეთის კრიტიკა გაგრძელდება, ისევ ემბარგო დაგვიწესონ?**

– იცით, რა არის? მე მახსენდება ირანის შემთხვევა, როდესაც ირანის მოქალაქეებს ვიზები გაუმკაცრეს და არ აძლევდნენ. მაშინ ასეთი მდგომარეობა იყო ირანში: ჩატარდა თათბირი საგარეო საქმეთა სამინისტროში, ჩვენც ადეკვატური ზომები ხომ არ მივიღოთო? რადგან ჩვენს ბიზნესმენებსაც აქვთ ინტერესი იქ და დადიან. მერე გადაწყვიტეს, – ჩვენ დიდი ქვეყანა ვართ და ეს არ გვეკადრებაო... ჩვენ ჩვენს წვენში ვიხარშებით და ასე არ შეიძლება დღეს, თანამედროვე სამყაროში, გამოდიხარ განცხადებებით, შენსას მიერეკები და გგონია, რომ სხვა ამის აზრზე არ არის. რუსეთმა ხაზგასმით თქვა, ჩვენც შეიძლება გადავიდეთ ასეთ რიტორიკაზეო. მე ვფიქრობ, ახლა ემბარგოს საფრთხე არ არის, მაგრამ კარასინის მოწოდება უნდა იყოს მოსმენილი. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენს ინტერესებზე უარს ვიტყვით, რომ ჩვენ რაღაც დათმობაზე წავალთ იგივე ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით. მთავარია, გათვალო პერსპექტივაში, რას მოიტანს შენი ასეთი განცხადებები. ხშირად პოლიტიკოსების ნათქვამზე უფრო მეტია დამოკიდებული, ვიდრე მათ მიერ გაკეთებულ რეალურ საქმეზე, ასე ხშირად ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში.

**— ბოლო დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაპირისპირება პიკს აღწევს. ამ დაპირისპირების რამდენიმე მიზეზი დასახელდა: თსუ-ს 40-მილიონიანი ბიუჯეტის მართვის ხელში ჩაგდება, „ნაცების“ მცდელობა, უნივერსიტეტის მართვა ჩაიგდონ ხელში და მესამე — ლადო პაპავა ადვილად სამართავი არ არის და მინისტრ სანიკიძეს მისი მოშორება უნდაო. თქვენ რას ფიქრობთ, რატომ აგორდა ეს პროცესი?**

– მოდით, ასე ვთქვათ: უკვე საუბრობენ ქალაქში ამის შესახებ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ იყო მცდელობა, „რესპუბლიკელებს“ ჩაეგდოთ ხელში უნივერსიტეტი, მაგრამ „ნაციონალებმა“ არ დაანებეს. რა ხდებოდა უნივერსიტეტში, ხომ ვიცოდით? აბსოლუტურად არანაირი ავტონომია არ დაუტოვეს და პირდაპირ მართავდა „ნაციონალური მოძრაობა“ პროცესებს ყველა უნივერსიტეტში. თვითმმართველობა იყო „ნაციონალების“ რეალური დასაყრდენი, მათი კომკავშირი იყო. როდესაც მოვიდა ეს ხელისუფლება, იმ მოტივით, რომ არ შეხებოდნენ უნივერსიტეტის ავტონომიას, საერთოდ, არანაირი ცვლილებები არ გაატარეს. როგორც კი ლადო პაპავა აირჩიეს, მივიდა და პირველივე განცხადება ასეთი გააკეთა — არავის არ გავუშვებ სამსახურიდანო. მე არაერთი მაგალითი ვიცი, როდესაც სასამართლოს აღუდგენია „ნაციონალების“ დროს უნივერსიტეტიდან უკანონოდ განთავისუფლებული ლექტორი. უჭირავს ხელში ეს სასამართლოს ფურცელი და ლადო პაპავა ეუბნება, – კი, თქვენ ცუდად მოგექცნენ, მაგრამ მეც ახლა სხვას ხომ არ მოვექცევი ცუდად და იმას ხომ არ გავუშვებო? ანუ უნივერსიტეტი დარჩა ის „ნაცისტების“ ბუდე, რაც ადრე იყო. შეგახსენებთ, ორი კვირის წინ, კანცლერობის კანდიდატმა, არაჩვეულებრივად დადებითმა, პროფესიონალმა ადამიანმა პროფესორმა იოსებ არჩვაძემ მოხსნა თავის კანდიდატურა და მიანიშნა, – მე არ მიღირს ეს თანამდებობა უნივერსიტეტში დაპირისპირების ფასადო. რა გამოდის, იცით? სისტემიდან ვარდებიან ყოველთვის ის ადამიანები, რომლებიც, „კავკასიური ცარცის წრის“ გრუშესი არ იყოს, ბავშვს გასაგლეჯად არ იმეტებენ. არჩვაძემ ვერ გაიმეტა უნივერსიტეტი იმად, რაც ახლა ხდება და გიორგი გაფრინდაშვილმა, დანარჩენმა „ნაცმოძრაობამ“ და თვითმმართველობამ კი გაიმეტეს. ახლა ეს ყველაფერი, ისევე, როგორ ვიდეოჩანაწერების გავრცელება და ასე შემდეგ – არის ერთი ჯაჭვის რგოლები, ეს არის დესტაბილიზაციის გამოწვევის მცდელობა, ამისთვის უნდათ გამოიყენონ უნივერსიტეტი და ახალგაზრდები და ეცადონ, ამ გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, რადგან არჩევნებით დაბრუნების არანაირი პერსპექტივა მაგათ არ აქვთ.

**— პატრიარქმა სტუდენტებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. რატომ მიჰყავს ხელისუფლებას პრობლემები იქამდე, რომ სიტუაციამ პიკს მიაღწიოს და პატრიარქის ჩარევა გახდეს საჭირო?**

– პატრიარქთან ლადო პაპავა მივიდა და ამას მოჰყვა ეს განცხადება. როცა ასეთი დაძაბულობაა, პატრიარქი ყოველთვის ცდილობს სიტუაციის განმუხტვას. პრემიერი უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს, რადგან თამარ სანიკიძე ამ სიტუაციას თავს ვერართმევს. ძალიან ბევრი დრო გავუშვით უკვე და დღეს ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ 2012 წლის ნოემბერში ყველაფერს თავის სახელი არ დაარქვეს და დამნაშავე არ დასაჯეს. აი, ის დამნაშავე ახლა მოუტრიალდა და ყველაფერში მათ სდებს ბრალს. ისე, ირმა ინაშვილმა თქვა გადასარევად ერთ ეთერში – მე უნდა დავიცვა ივანიშვილი? გამოვიდნენ თინა და თამარ ხიდაშელები და დაიცვანო. ასეა ჩემი საქმეც, მე რატომ უნდა დავიცვა ეს ხელისუფლება? ხელისუფლება თუ არ ჩაერევა აქტიურად ამ პროცესებში და თუ არ გაატარებს უნივერსიტეტში რეფორმებს, სხვაგვარად არ ვიცი, რა როგორ დალაგდება. ის ადამიანები, ის სტუდენტები და არასტუდენტები, ლევან ლორთქიფანიძის ჯგუფს ვგულისხმობ, ჯერჯერობით სწორი გზით მიდიან და შეცდომებს არ უშვებენ, ისინი კატეგორიულად უარყოფენ ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნებს, რადგან მაშინ ის აკადემიური საბჭო ჩაიგდებს ხელში სადავეებს, რომლის დამსახურებაც არის ეს დაპირისპირებაც და გაფრინდაშვილისნაირი კადრების მხარდაჭერაც.

**„დღეს ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ 2012 წლის ნოემბერში ყველაფერს თავის სახელი არ დაარქვეს და დამნაშავე არ დასაჯეს. აი, ის დამნაშავე ახლა მოუტრიალდა და ყველაფერში მათ სდებს ბრალს. ისე, ირმა ინაშვილმა თქვა გადასარევად ერთ ეთერში – მე უნდა დავიცვა ივანიშვილი? გამოვიდნენ თინა და თამარ ხიდაშლები და დაიცვანო. ასეა ჩემი საქმეც, მე რატომ უნდა დავიცვა ეს ხელისუფლება?“**

## გრიგორი კარასინი საქართველოზე — „ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი“



გრიგორი კარასინმა ქართველ ჟურნალისტებთან პრაღაში საქართველოსთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის გაზრდაა.

– ახლა მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის გაზრდაა, რომელიც ისმის საერთაშორისო არენაზე, ისმის საზოგადო მოღვაწეთა მხრიდანაც. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ეს ისმის ოფიციალური წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, მინისტრებისა და პრეზიდენტის მხრიდანაც კი. ჩვენ თავისთავად ამას ვაქცევთ ყურადღებას, ვცდილობთ, ყველაფერს არ ვუპასუხოთ, მაგრამ ჩვენთვის დასკვნებს ვაკეთებთ და აი, ახლა სწორედ ის წყალგამყოფია, რომელიც უნდა გავიაროთ. ჩვენ ან ვუბრუნდებით კონფრონტაციას, იმ სიუჟეტების ძიებაში, რომელსაც შეუძლია, კვლავ წაგვაკამათოს, ან დავალაგებთ ნორმალურ, პატივსაცემ ურთიერთობებს და ამ კონტექსტში გადავჭრით ჩვენს ორმხრივ ამოცანებს, – განაცხადა კარასინმა.

გრიგორი კარასინმა საქართველოს თავდაცვის მინისტრზეც გააკეთა კომენტარი.



– ყველა პოლიტიკოსს უნდა გაამძაფროს თავისი პოზიცია, რათა აჩვენონ, რომ ყველაზე მეტი პატრიოტები, მკაცრები და შეურიგებლები არიან ე.წ. რუსული ექსპანსიისა და მუქარის წინააღმდეგ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ისიც კი თქვა, რომ ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს რუსული აგრესიის წინააღმდეგ. წესიერ საზოგადოებაში, როგორც წესი, ასეთ განცხადებებს არ პატიობენ. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობ, რომ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი, – აღნიშნავს კარასინი. (timesnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვიქტორ დოლიძე — არ ვიცი, რა დაგვეტაკა — მიწის ქვეშ თუ მიწის ზემოთ, ყველგან პრობლემებია



– ამაზე ბინძური პერიოდი მე ამ ქვეყანაში ჯერჯერობით არ მახსოვს, – აღნიშნული განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა ვიქტორ დოლიძემ გააკეთა.

– არ ვიცი, რა დაგვეტაკა – მიწის ქვეშ თუ მიწის ზემოთ, ყველგან პრობლემებია. უნივერსიტეტში პრობლემებია, შახტაში პრობლემებია, პირად ცხოვრებაში ერევიან – გამოამზეურეს ყველაფერი. ამაზე ბინძური პერიოდი მე ამ ქვეყანაში ჯერჯერობით არ მახსოვს. არ მგონია, ეს ხელისუფლებას აწყობდეს. პირიქით, თუკი ვინმეს ყველაზე დიდი ზიანი მიადგა, ეს არის ხელისუფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა დაადასტუროს, რომ ეს ასეა და მომხდარი თავიდან ბოლომდე გამოიძიოს – ვის ინტერესებში შედიოდა, მოტივაცია რა იყო, უნდა გამოიძიოს, ვინ იყო დამკვეთი, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

ამასთან დაკავშირებით დოლიძე იზიარებს პარლამენტის თავმჯდომარის მოსაზრებას, დამნაშავის დასადგენად მილიონის გადახდის თაობაზე და აცხადებს, რომ, რაც არ უნდა დაჯდეს – იქნება ეს ერთი თუ ათი მილიონი, სახელმწიფომ ფული უნდა გადაიხადოს და გაარკვიოს, რასთან აქვს საქმე.

– მომავალ კვირას ბრიუსელში მივდივართ – ან რა გზავნილით მივდივართ, ან საით მივდივართ, რომელ ევროინტეგრაციაზეა საუბარი, როდესაც ქვეყანა ასეთ გარემოში ცხოვრობს, – აღნიშნა ვიქტორ დოლიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ბიძინა ივანიშვილი იერუსალიმის ჯვრის მონასტერს ყიდულობს?



იერუსალიმში მდებარე ჯვრის მონასტრის შეძენით საქართველოში მცხოვრები ქართველი კერძო პირია დაინტერესებული.

ცნობილი ხდება, რომ ქართველი კერძო პირი მზად არის, ჯვრის მონასტრის შესაძენად რამდენიმე მილიონი დოლარი გადაიხადოს. ბიზნესმენის ვინაობას წყარო არ აკონკრეტებს, თუმცა შეკითხვაზე – შესაძლოა თუ არა, რომ ეს იყოს ბიძინა ივანიშვილი, პასუხისგან თავს იკავებს და არც უარყოფს და არც ადასტურებს.

იერუსალიმში მდებარე ჯვრის მონასტერი ამჟამად ბერძენი ორთოდოქსების მფლობელობაშია. მონასტერში დაცული შოთა რუსთაველის ფრესკა ვანდალებმა რამდენჯერმე დააზიანეს. 2004 წელს დაუდგენელმა პირებმა გამოსახულებას სახე გადაუფხიკეს. თუმცა, ამჟამად ფრესკა რესტავრირებულია. ამ ფაქტის შემდეგ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივით, მონასტრის მიმდებარე რუსთაველის ქუჩაზე მწერლის ბარელიეფი დაიდგა, თუმცა 2010 წელს ეს მემორიალიც დააზიანეს.

ქართველთა ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართველმა მოღვაწემ გიორგი-პროხორე შავთელმა საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით XI საუკუნის 30-50-იან წლებში დააარსა. იგი მდებარეობდა იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით (ახლა ქალაქის გაზრდის გამო მის ფარგლებში მოექცა).

გადმოცემით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისგან გააკეთეს ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს. ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართულ სავანეთა აღიარებული ცენტრი გახდა. 1071 წელს იერუსალიმის აღებისას, მონასტერი დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს თურქ-სელჩუკებმა. მონასტერი XII საუკუნის დამდეგს დავით აღმაშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს, განაახლეს და მოხატეს.

XVII საუკუნის დასასრულს ქართველთა გავლენა პალესტინაში თანდათან შესუსტდა და ჯვრის მონასტერი, სხვა ქართულ სავანეებთან ერთად, ბერძენთა ხელში გადავიდა და იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა. (bpn.ge)

## „გაღატაკებული ხალხის ფონზე მერი საკუთარ ფუფუნებაზე ფიქრობს“

„მედიატორი“ დედაქალაქის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.



– როგორც ჩანს, მერს ახალი ჰობი აქვს და გადაწყვიტა, ბიუჯეტის თანხები ფოტოაპარატების საყიდლად მომართოს. ჯერ იყო და 37 400 ლარად შეიძინა მერიამ ფოტოაპარატი და რამდენიმე დღეში კიდევ ერთი ტენდერი გამოაცხადა), ამჯერად 3 360 ლარის. წარმოდგენა არ მაქვს, ბიუჯეტიდან 40 000 ლარის გახარჯვა რა მიზნობრიობით ხდება, მაგრამ ამას ლოგიკასთან და ჯანმრთელობასთან რომ არ აქვს საქმე, ფაქტია. დამშიებული, გალატაკებული ხალხის ფონზე მერი საკუთარ ფუფუნებაზე ფიქრობს, ან რა აქვს გადასალები?! თბილისის ორმოების დასურათება და მუზეუმში დაკიდება თუ გადაწყვიტა, ამას თბილისის ბიუჯეტი არ ეყოფა, იმდენი აპარატი დასჭირდება, – აცხადებს ლევან ხაბეიშვილი. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ლორთქიფანიძე მთავარ პროკურორს „მომავალი თაობების ფონდის“ საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდებს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ლორთქიფანიძე მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი „მომავალი თაობების ფონდის“ საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

როგორც დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა, აღნიშნული ფონდისთვის ბიუჯეტში 150 მილიონ ლარამდე იყო გათვალისწინებული და ის 1 წლის შემდეგ გაქრა.

– მინდა მივმართო მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს – მოგიწოდებთ, დაინტერესდეთ ამ ბატონების მიერ 2008 წელს შექმნილი „მომავალი თაობის სტაბილურობისა და განვითარების ფონდთან“ დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ასახეს, მიანიჭეს კოდი, სადაც 150 მილიონამდე ლარი იყო გათვალისწინებული. ეს ფონდი 1 წლის შემდეგ გაქრა. ამ ფონდის მიზნებში უწერიათ – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ყოფილ ოლქში ტერიტორიების რეაბილიტაცია და საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში სწრაფი რეინტეგრაცია, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

დეპუტატმა მზადყოფნა გამოთქვა, პროკურატურას ოფიციალურად მიმართოს.

– დაადგინონ, სად გაქრა 100 მილიონ დოლარზე მეტი. ეს ადამიანები დღეს ჩვენ მორალს გვიკითხავენ, ამიტომ ეს ღირსების საკითხია. საზოგადოებამ უნდა უცოდეს, სად ფლანგავდა ეს ხალხი ჩვენს თანხებს, – განაცხადა ლორთქიფანიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## თამარ კორძაია: დღეს ხელისუფლება აღმოჩნდა იმ გამოწვევის წინაშე, რომ ადამიანი განადგურდა ერთ დღეში



ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა თამარ კორძაიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების გავრცელების შეფასებისას განაცხადა.

– დღეს ხელისუფლება აღმოჩნდა იმ გამოწვევის წინაშე, რომ ადამიანი განადგურდა ერთ დღეში. მოსპეს მისი უფლება, ისწრაფოდეს ბედნიერებისკენ და ეს არის გამოწვევა, რომელსაც ხელისუფლებამ უნდა უპასუხოს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ჩვენმა გუნდმა, თითქმის ყველაფერი გააკეთა ამისთვის, საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედითი ნაბიჯები. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვამბობთ – ეს სირთულესთან არის დაკავშირებული, ამომრჩეველი სირთულის ხაზგასმას კი არა, სირთულის დაძლევას ელოდება აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, – განაცხადა თამარ კორძაიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ასევე, „ოდეერების“ სისტემის გაუქმებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მმართველ ძალას არ ჰქონდა ილუზია, რომ ეს ყველაფერი ერთ დღეში გამოსწორდებოდა.

– მაგრამ დღეს გამოჩნდა ხარვეზები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში, ამიტომაც ე.წ. ოდეერებთან და იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებსაც აქვთ სურვილი, ძველი წესებით მართონ ეს სახელმწიფო, უნდა გაეცეს სათანადო პასუხი. ყველა ადამიანს, რომელიც ლადო პაპავას მოუწოდებს, რომ გადადგეს, მოვუწოდებდი, ნუ აკეთებენ ამას, იმიტომ რომ ლადო პაპავა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც კანონის დაცვისთვის ამოიღო ხმა და პირველად განაცხადა მანკიერი პრაქტიკის არსებობის შესახებ. თითოეული ჩვენგანის ვალია, ყველა იმ ადამიანს დავუჭიროთ მხარი, რომელიც კანონის ხარვეზებზე კი არა, კანონს მიღმა არსებულ მოქმედებებზე ამოიღებს ხმას, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა. (ინტერპრესნიუსი)

## ფარული ჩანაწერების შენახვა-გავრცელების საქმეზე წინასასამართლო სხდომა 21 აპრილს გაიმართება



ფარული ჩანაწერების შენახვა-გავრცელების საქმეზე წინასასამართლო სხდომა 21 აპრილს გაიმართება. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა განაცხადა, სხდომა, 21 აპრილს, 12:00 საათზე გაიმართება.

16 მარტს გამართულ პროცესზე საქმეზე ბრალდებულ ორ პირს, ზურაბ ჯამალაშვილს და ირაკლი ფხალაძეს პატიმრობა შეეფარდათ.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, საქმე სრულად დახურულია. (ინტერპრესნიუსი)

# ფონდმა „ჰუმანითი“ ჰემატოლოგიური ცენტრის პაციენტებს 78 000 აშშ დოლარის ღირებულების ონკოპრეპარატები გადასცა

**ჰონდმა „ჰუმანითი“, რომელიც ახლახან დაფუძნდა, პირველი აქტივობა განახორციელა. მ. ზოდელავას ჰემატოლოგიურ ცენტრს ჰუმანიტარული დახმარების სახით 78 000 აშშ დოლარის ღირებულების პრეპარატი ნიუბორტეზი გადაეცა.**

**ფონდ „ჰუმანითის“ დირექტორის სესილი გოგიბერიძის განცხადებით, ფონდი დაფუძნდა საზოგადოებაში ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, ურთიერთდახმარებისა და თანაგრძნობის იდეის პოპულარიზაციის მიზნით:**

– თანამოაზრეებთან ერთად ფონდის დაფუძნება გადავწყვიტეთ, რადგან ვფიქრობთ, რომ ჰუმანურ საწყისს, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად მოჭარბებულად აქვს, ჩვენს რთულ დღევანდელობაში ჯერ კიდევ ესაჭიროება გაღვივება და ერთ დიდ სიკეთედ ქცევა. ფონდი „ჰუმანითი“ არის არაკომერციული ორგანიზაცია და ჩვენი მიზანია საზოგადოების თითოეულ წევრს, თითოეულ ჩვენგანს, ხელი შევუწყოთ, რომ ის პოზიტიური მუხტი, რასაც ადამიანური ბუნება ატარებს, მაქსიმალურად გავხსნათ და ვაქციოთ კონკრეტულ საქმეებად, კონკრეტულ ადამიანებზე ორიენტირებულ სიკეთედ. ვეცდებით ჰუმანიზმისა და სიკეთის ფერხულში ჩავაბათ მთელი საზოგადოება. ჰუმანიზმი და სიკეთე ნამდვილად გადამდებია და გვაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი აქტივობებით ამ პროცესს კეთილმოქმედ კვალს დავატყობთ.

გვაქვს ამბიციური მიზნები და კონკრეტული გეგმები. ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისთვისაც ჰუმანიზმის იდეა უპირატესია. ასეთია მთლიანად საზოგადოება, ამდენად, ვფიქრობ, ჩვენს წამოწყებას დიდი მხარდაჭერა ექნება.




ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ფონდის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ასეთი მოცულობითი და წარმატებული გამოდგა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ფარმაცევტულ კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას“, რომელიც გულისყურით მოეკიდა ჩვენს წამოწყებას და საკუთარი სახსრებიდან გამოყო მასშტაბური ჰუმანიტარული რესურსი. ის ონკოლოგიური პრეპარატები, რომელიც ჰუმანიტარული მიზნებისთვის მათ ჩვენს ფონდს გადმოსცეს, მიზნობრივად მივა ადრესატებამდე და მათ საკმაოდ პრობლემურ ყოფას, დარწმუნებული ვარ, საგრძნობლად შეამსუბუქებს, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების, რაც უმთავრესია, ისე მატერიალური თვალსაზრისითაც.

მინდა იმედი გამოვთქვა, რომ უახლოეს მომავალში ჰონდ „ჰუმანითის“ სხვა უამრავი გულშემატკივარი და შემწე დაუდგება გვერდით და ერთობლივი ძალისხმევით უამრავი სიკეთის კეთებას შევძლებთ, – განაცხადა პრესკონფერენციაზე სესილი გოგიბერიძემ.

**მ. ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრის წარმომადგენლის ნინო შარაშენიძის თქმით, მათი პაციენტებისთვის ამ ძვირად ღირებული პრეპარატის ჰუმანიტარული ხაზით მიწოდება სერიოზული შეღავათი იქნება.**

– მხოლოდ დიდი მადლიერება შემიძლია გამოვხატო ამ აქციის ორგანიზატორების მიმართ. თითოეული ასეთი ნაბიჯი მძიმე სენთან მებრძოლ ადამიანებსა და მათ ოჯახებს უმტკიცებს იმედს, რომ ისინი პრობლემებთან მარტონი არ არიან. ასეთი შეხიდება და მათთვის დადებითი ფსიქოლოგიური ფონის შექმნა კი, დამერწმუნეთ, გაჯანსაღების პროცესში მედიკამენტოზურ მკურნალობაზე არანაკლები მნიშვნელობისაა. ჰუმანიტარული ხაზით ჩვენთვის გადმოცემული ეს უაღრესად საჭირო პრეპარატი, პაციენტებზე გაიცემა დადგენილი რეცეპტული წესით, ჩვენივე კლინიკის შენობაში მდებარე „ფარმადეპოს“ აფთიაქის მეშვეობით. მადლობა მინდა გადავუხადო „ფარმადეპოს“ ადმინისტრაციას, რომელთაც ამ პრეპარატის სათანადოდ შენახვისა და გაცემის პროცედურა აიღეს თავზე, – განაცხადა ნინო შარაშენიძემ.

**ფარმაცევტული კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის ანდრეი კუზმას თქმით, მისი კომპანიისთვის სოციალური პასუხისმგებლობა და ზოგადად, ჰუმანიზმის იდეა პრიორიტეტულია და ეს „ჰუმანითი ჯორჯიას“ სახელწოდებაშიც არის გახმოვანებული.**

– მინდა, დიდი წარმატება ვუსურვო ფონდ „ჰუმანითის“ და პირადად ქალბატონ სესილის ამ ძალიან საჭირო და დროულ წამოწყებაში. მოხარული ვარ, რომ საშუალება მოგვეცა და ფონდის პირველივე კეთილი საქმის მონაწილენი გავხდით. ჩემი მხრივ, შემიძლია, დავპირდე მათ, რომ დღევანდელის მსგავსად, შესაძლებლობის ფარგლებში, „ჰუმანითი ჯორჯია“ ყოველთვის იქნება ფონდ „ჰუმანითის“ გულშემატკივარი და მათი აქტივობების მხარდამჭერი“.

## „მათ აქვთ ბუნებრივი მოთხოვნილება, წავიდნენ თავისი ქვეყნის ისტორიული არჩევანის წინააღმდეგ“

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი გრიგორი კარასინის განცხადებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ საქართველოში არის ხალხი, რომელთაც აქვთ ბუნებრივი მოთხოვნილება იმისა, რომ თავისი ქვეყნის ისტორიული არჩევანის წინააღმდეგ წავიდნენ:

– თოფაძის შემთხვევაში მე არ ვფიქრობ, რომ ის ასრულებს „ეფესბეს“ დავალებებს, მაგრამ რომ ასრულებდეს, ეგეც არ გამიკვირდება.

კარასინის გამოსვლა იყო შეშფოთება, იმის გამო, რომ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მიუხედავად დახარჯული თანხებისა, მიუხედავად სერიოზულად გამოცხადებული მხარდაჭერისა, პრორუსული პოლიტიკური ძალები საქართველოში არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ფაქტორს. ეს განცხადება შეიძლება შევაფასოთ, როგორც ძალიან სუსტი მცდელობა, დაეხმაროს რამენაირად თავის პოლიტიკურ პარტნიორებს საქართველოში. თოფაძე იქნება თუ ვინმე სხვა, ვისაც ასე მიაჩნია, ეს არის მისი კერძო აზრი, მაგრამ არის ხალხი, რომელიც ამაზე სერიოზულად მუშაობს, ლევან ვასაძე, მაგალითად, რომელიც არის რუსეთის იდეოლოგი საქართველოში. ეს არის ირმა ინაშვილი და მისი „პატრიოტთა ალიანსი“, ეს არის ნინო ბურჯანაძე, ეს გარკვეული გაგებით შეიძლება ეხებოდეს სხვა პოლიტიკურ ძალებსაც. ეს ეხება ახალი ტიპის ენჯეოებსაც არაფერი არ აქვს საერთო... გოგი თოფაძე რას იტყვის, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო გრიგორი კარასინი არის დიდი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. (პირველი რადიო)

## ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე პრეზიდენტს კანდიდატურა წარედგინა

ეროვნული ბანკის საბჭო საქართველოს პრეზიდენტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე კობა გვენეტაძის კანდიდატურას სთავაზობს. გადაწყვეტილება სებ-ში სხდომაზე მიიღეს:

– საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე კობა გვენეტაძის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით, კობა გვენეტაძის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტს წარედგინება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე დასანიშნად.

2 მარტს, საქართველოს პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატი კობა გვენეტაძე ერთხმად დაამტკიცა, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში. (პირველი რადიო)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



რუსეთის მუქარა საქართველოს ხელისუფლებას. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარასინი პრაღიდან თითს გვიქნევს და გვაფრთხილებს: მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოება და პროვოკაციული ანტირუსული რიტორიკის გაზრდაა, რომელიც ისმის საერთაშორისო არენაზე საზოგადო მოღვაწეების მხრიდან. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ეს ისმის ოფიციალური წარმომადგენლების, პრეზიდენტის, პოლიტიკოსების და მინისტრების მხრიდანაც კი... რუსეთი ამას ყურადღებას აქცევს. ვცდილობთ, ყველაფერს არ ვუპასუხოთ, მაგრამ ჩვენთვის დასკვნებს ვაკეთებთ და აი, ახლა, სწორედ ის წყალგამყოფია, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ. ჩვენ ან ვუბრუნდებით კონფრონტაციას, ან ჩვენ დავაიტი საქართველოში, რომელიც, სავარაუდოდ, ივნისში შედგება. რა თქმა უნდა, ის არ ჩამოვა ხელცარიელი და მისი გზავნილები იქნება მნიშვნელოვანი. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ საქართველო ურყევ ნებას არ შეიცვლის და თეთრ სახლში მუდამ ისმოდა „ოცნების“ ხელისუფლების მისამართით კითხვები. ამერიკას ერთადერთი გზა რჩება, როგორმე გადაარჩინოს თავისი მოკავშირე ქვეყანა, რომელიც მისთვის ასე მნიშვნელოვანია და შეგვიყვანოს ნატოში, მაგრამ როგორც ვხედავთ, საქართველოსთვის ჯერჯერობით ეს არის აუხდენელი ოცნება, თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის ულტიმატუმების მიუხედავად. ვნახოთ, რა გზავნილებით ჩამოვა ჯონ ქერი, რომელიც, გახლავთ საგარეო საქმეთა ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის, თედო ჯაფარიძის კურსელი, ახლო მეგობარი. გულუბრყვილოები ნამდვილად არ ვართ, დავიჯეროთ, რომ დიდ პოლიტიკაში ფინალურ დარტყმებს ყველაზე რთულ მოცემულობაში პიროვნული ურთიერთობები განსაზღვრავს, მაგრამ ისიც კარგია, რომ თედო ჯაფარიძესა და ჯონ ქერის შორის მრავალწლიანი ურთიერთობები და მეგობრობა არსებობს.

გავიხსენოთ, საქართველოს პოლიტიკური ელიტის რიტორიკის მიხედვით, როგორ ხდება აქტივობები რუსეთის მხრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. როცა მძაფრდება ანტირუსული რიტორიკა რუსეთი საქართველოში ვითარებას ძაბავს და პირიქით... ეს არის რამდენიმე ძალიან მძაფრი თემა, რომელიც ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო რამდენიმე აქტუალური თემა ამ ფონზე მიჩქმალულია. ჩვენ ვნახეთ ე.წ. პორნოსკანდალები, რამაც ცოტა ხნით გადაფარა სტუდენტების აქტივობა უნივერსიტეტში. მე ვთვლი, რომ უნივერსიტეტში წარმოუდგენელი რამ ხდება და იმაზე მეტად სერიოზული, ვიდრე ე.წ. პორნოსკანდალებია. უნივერსიტეტის ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა, როცა რექტორის კაბინეტში ვიღაც წამოჯდა ისე, რომ დაცვამ ვერ და არ შეაკავა. ჩვენ თვალწინ კორიდორებში სტუდენტები ერთმანეთს ურტყამენ, ამასობაში კი გადაფარულია იყენებენ ზოგიერთ ძალას. ეს იქნება საქართველოში ყველაზე ბრმა და მძიმე არჩევნები.

**— „მრეწველებისა“ და „რესპუბლიკელების“ ფრონტი დღეიდან, ალბათ, სხვა ფორმატში გადაიზრდება, რადგან ლევან ბერძენიშვილმა ფრჩხილები გახსნა და ღიად განაცხადა, რომ გოგი თოფაძე საქართველოში რუსეთის ინტერესს ატარებს. ჩამონათვალში კი დაასახელა ირმა ინაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ლევან ვასაძე. რას უნდა ველოდოთ?!.**

– ეს იქნება ხელჩართული ბრძოლა და თუკი ამ ტემპით განვითარდა მოვლენები, არჩევნებზე ჩვენ მივიღებთ ბრძოლის ველს, პოლიტიკური პარტიები და მათი მხარდამჭერები სერიოზულად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და ქვეყანაში სერიოზული ქარიშხალი დატრიალდება. არჩევნებამდე ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების სკანდალი გაგრძელდება და არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნების შემდეგაც არ შეწყდეს. თუმცა



# რას ნიშნავს კარასინის მუქარა?

**მამუკა არეშიძე:**

**„ყველა მიმართულებით პროცესი მიმდინარეობს შეფერხებით... საბოტაჟია ძალოვან სტრუქტურებში...“**



ლაგებთ ნორმალურ, პატივსაცემ ურთიერთობებს და ამ კონტექსტში გადავჭრით ორმხრივ ამოცანას... და მთავარი, გრიგორი კარასინმა საქართველოში ატეხილ აჟიოტაჟს ეხო მისცა და თავდაცვის მინისტრს შეუთვალა, რომ მისი ქცევა არის გამაღიზიანებელი: „ყველა პოლიტიკოსს უნდა, გაამძაფროს თავის პოზიცია, რადგან აჩვენონ, რომ ყველაზე მეტი პატრიოტები, მკაცრები და შეურიგებლები არიან ე.წ. რუსული ექსპანსიის და მუქარის წინააღმდეგ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ისიც კი თქვა, რომ ცივილიზებული სამყარო უნდა გაერთიანდეს რუსული აგრესიის წინააღმდეგ. წესიერ საზოგადოებაში, როგორც წესი, ასეთ განცხადებებს არ პატიობენ. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ, მაგრამ ვშიშობთ, რომ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი...“

როცა უცხო ქვეყანა ჩვენს საშინაო საქმეში ერევა და ეს ქვეყანა არის ოკუპანტი, ძალიან გამაღიზიანებელია მისი მხრიდან სამიზნის დაკონკრეტება და ცოფების ყრა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მისამართით. სხვა რა უნდა თქვას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ოკუპანტ ქვეყანაზე, არ არის რუსეთი აგრესორი? რა თქმა უნდა, გიჩნდება სურვილი, დაიცვა ყველაზე ნეგატიური მინისტრიც კი, რომელსაც ხალხის თვალწინ არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებენ. დავით ბერძენიშვილმა გოგი თოფაძე ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ პოზიციაში დაადანაშაულა მას შემდეგ, როცა თინა ხიდაშელი არჩევნების გამყალბებლად აღიარა. ამ ორი პოლიტიკური პარტიის დავა გავიდა შიდა პოლიტიკური სივრციდან, მათ უკან უკვე კონკრეტული სახელმწიფოები დგანან, რომლებსაც ისინი ლობირებენ ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე.

ნიშანდობლივია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის ვიზგობარი. გულუბრყვილოები ნამდვილად არ ვართ, დავიჯეროთ, რომ დიდ პოლიტიკაში ფინალურ დარტყმებს ყველაზე რთულ მოცემულობაში პიროვნული ურთიერთობები განსაზღვრავს, მაგრამ ისიც კარგია, რომ თედო ჯაფარიძესა და ჯონ ქერის შორის მრავალწლიანი ურთიერთობები და მეგობრობა არსებობს.

და მაინც, ამ ფონზე, როცა ჩვენს წინაშე ამდენი საფრთხე და გამოწვევა დგას, პარლამენტში იცლიან, ერთმანეთს მიკროფონები თავში ურტყან და ხელჩართული ჩხუბები გვაყურებინონ. გულისამრევებად მოჩანხართ, ბატონებო! ერთი ლპობაში წასული ნაგავია და ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო მეორე – ახლად გადაგდებული ნაგავი, რომელიც ჰა და ჰა, გახრწნას იწყებს. სამწუხარო კი ის არის, რომ ამომრჩეველი ვარდება ნიჰილიზმში და შესაძლოა, არჩევნებზე, თქვენი ოჯახის წევრების გარდა, არავინ მივიდეს და ბოიკოტს გამოგიცხადებთ. სატანასთან თანამშრომლობის გამო, რასაც თქვენ კოჰაბიტაციას ეძახით, უსამართლობის გამო, რომელიც დღემდე გრძელდება, მიზეზთა სია იმდენად გრძელია, რომ „მეშინია“, რამე არ გამომრჩეს და მისი ჩამოთვლა, შორს წამიყვანს...

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ალიასთან“ საუბარში კარასინის განცხადებებს აფასებს:**

– კარასინის განცხადება იყო მინიშნება, რომ რუსეთი იმდენად კარგად ფლობს საქართველოში სიტუაციას, რბილად რომ ვთქვათ, მას შეუძლია კორექტივების შეტანა საარჩევნო პროცესში. „კავკასუს ონლაინის“ საკითხი და ეს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი თემა ისე მიჩუმათდა, რომ გამკვირვებია, „ნაციონალები“ ხმას რატომ არ იღებენ... არადა, სინამდვილეში ხდება „კავკასუს ონლაინის“, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების ბიზნესის ერთი ჯგუფიდან მეორე მხარდამჭერ ჯგუფზე გადაცემა, „ვიმპელკომის“ სასარგებლოდ, რომელიც გახლავთ რუსული კომპანია. ამხელა ამბავი ატეხეს „გაზპრომთან“ დაკავშირებით „ნაციონალებმა“, ხოლო „ვილპემკომის“ შემოსვლაზე დუმან. არადა ეს ინტერნეტბოჭკოვანი კაბელი, რითაც ინტერნეტს ვიღებთ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გაზსადენი. მინდა გითხრათ ერთი ინფორმაციაც, გაუგონარი რამ ხდება სარფის საბაჟოზე, თურქი მძღოლები გაიფიცნენ ქართველი მებაჟეების ქმედების საპასუხოდ. მებაჟეები ახორციელებენ საბოტაჟს, რომ საქართველომ სატრანზიტო ფუნქცია დაკარგოს. ყველა მიმართულებით პროცესი მიმდინარეობს შეფერხებით, ჩვენ ვცხოვრობთ მუდმივი საბოტაჟის რეჟიმში, რაც მოსახლეობას აზიანებს. საბოტაჟია ძალოვან სტრუქტურებში ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან, მეათასედ ვამბობ, რომ მე-5 კოლონაა ჩაბუდებული სახელმწიფო სტრუქტურებში, „ნაცმოძრაობიდან“ პორტირებულები არიან ადამიანები, რომლებიც საჯარო სამსახურებში სამსახურებრივ აქტივობაზე უარს ამბობენ. სამზადისი მიდის, რომ არჩევნები ისე წარმართონ, როგორც მავანს სჭირდება და არ გამოვრიცხავ, რომ ბრმად

> „გაუგონარი რამ ხდება სარფის საბაჟოზე, თურქი მძღოლები გაიფიცნენ ქართველი მებაჟეების ქმედების საპასუხოდ... სამზადისი მიდის, რომ არჩევნები ისე წარმართონ, როგორც მავანს სჭირდება და არ გამოვრიცხავ, რომ ბრმად იყენებენ ზოგიერთ ძალას. ეს იქნება საქართველოში ყველაზე ბრმა და მძიმე არჩევნები“

ახალი კადრები რომც გამოჩნდეს, იმდენად გაუფასურებულია, რომ ის ეფექტი არ ექნება, რასაც ის ბოროტი დაჯგუფება გეგმავდა.

**— ნიკა გვარამიამ პირდაპირი ეთერით შესთავაზა ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გაერთიანება და ერთად ბრძოლა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ე.წ. პროდასავლური პარტიების გაერთიანებას კულუარებში ვარაუდობდნენ და არ გამორიცხავდნენ, რომ „ნაციონალები“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ არჩევნების წინ ერთ საარჩევნო ბლოკად გამოვიდოდნენ.**

– ვერ წარმომიდგენია, რომ ალასანიას გუნდში მყოფი ადამიანები ოდესმე, თუნდაც პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გაურიგდნენ იმ ადამიანებს, ვისაც წლების განმავლობაში ებრძოდნენ და არ მინდა დავიჯერო, რომ ალასანიას პარტია შეუერთდება „ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა ნათქვამია – კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

**— დაბოლოს, რა ინფორმაცია გაქვთ, ამ ყველაფერზე რას ამბობს ბიძინა ივანიშვილი და განსაკუთრებით კი, რას ფიქრობს მისი ყოფილი თუ მოქმედი გუნდის წევრების ე.წ. პორნოსკანდალებზე?**

– ვიცი, რომ ივანიშვილი სიტუაციის დამშვიდებას ცდილობს, ეს იმაში გამოიხატება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულია, რაც ხდება უნივერსიტეტში, ხელისუფლება მაინც ცდილობს ცეცხლის ჩაქრობას მოლაპარაკების გზით. აქ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა იკვეთება, ჩვენ ვნახეთ, ემოციური აქცია როგორ გადაიქცა უნივერსიტეტის თვითმმართველობის ჩარევის შემდეგ პოლიტიკურ აქციად თავისი კრიმინალური შეფერილობით. ეს არის მინირევოლუციის მოდელი და ვთვლი, რომ ეს პროცესი მალე უნდა დასრულდეს.

## საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას 15 ივლისიდან შეძლებენ




საქართველოსთან სავიზო ლიბერალიზაციის მინიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპული საბჭო და ევროპარლამენტი 23-24 ივნისის პლენარულ სხდომაზე ცალ-ცალკე განიხილავენ. როგორც მოსალოდნელია, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (ევროპარლამენტისა და საბჭოს №539 რეგულაციაში ცვლილების შეტანა) ძალაში შევა გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში, თუ სპეციალურად სხვა თარიღი არ იქნა დადგენილი. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლას ყველაზე ადრე 15 ივლისიდან შეძლებენ.



კითხვაზე – შეიძლება თუ არა რაიმემ ხელი შეუშალოს ამ პროცესს, წყარო აღნიშნავს, რომ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს აღნიშნულ პერიოდში საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, 17-18 მარტის ევროპული საბჭოს სხდომა, რომელმაც ევრო-თურქული შეთანხმება უნდა დაამტკიცოს, ასევე, ევროკომისიის მიერ გამოცხადებული შენგენის აღდგენის „საგზაო რუკა“, რომლის ძირითადი ნაწილის წარმატებით განხორციელება ივნისამდე უნდა დასრულდეს. გარკვეული გავლენა ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის სხდომების დღის წესრიგზე შეიძლება იქონიოს 23 ივნისს ბრიტანეთში დანიშნულმა რეფერენდუმმა, რომელზეც გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში დარჩენის საკითხი უნდა გადაწყდეს.



– არ არის გამორიცხული, რომ საბჭოს მიერ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების წლის ბოლოსთვის გადადების მოტივად შემოდგომაზე საქართველოში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფა დასახელდეს, თუმცა იმედია, რომ საქმე აქამდე არ მივა, – განაცხადა წყარომ. (euronews.ge)

## ღლონტი ოქრუაშვილზე: „მაგი წავიდეს და გორში შიშველ ქალებს გადაუღოს ვიდეოები“



მამუკა ღლონტი ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას აფასებს, რომლის მიხედვითაც „მაესტროში“ გოგელიას წილების ნახევარი სწორედ მას ეკუთვნის.

– ცირკის მსახიობებზე ვერ გავაკეთებ კომენტარს. არც კი მსურს კომენტარის გაკეთება. მაგი წავიდეს გორში და ისევ შიშველ ქალებს დაუწყოს ვიდეოების გადაღება, – აცხადებს მამუკა ღლონტი. (primetimenews.ge)

## ნუკრი ქანთარია – როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ უკვე დაიწყო პოლიტიკური ქვეწარმავლების სეზონი

– როგორ ჩანს, დაიწყო უკვე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქვეწარმავლების სეზონი, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

დეპუტატი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების ფაქტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს მიმართული იყო სახელმწიფოს, ხელისუფლების, საზოგადოების წინააღმდეგ და პოლიტიკურად ანგაჟირებული ბევრი იმ ჯგუფის წარმოსაჩენად, რომლებიც ხელისუფლებას უპირისპირდებიან.

– როგორც ჩანს, დაიწყო უკვე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქვეწარმავლების სეზონი. სხვანაირად არ შემიძლია ვთქვა იმ კამპანიაზე, რომელიც ორიოდე დღის წინ მოხდა, ვგულისხმობ პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს. ეს, რა თქმა უნდა, მიმართული იყო სახელმწიფოს, ხელისუფლების, საზოგადოების წინააღმდეგ და პოლიტიკურად ანგაჟირებული ბევრი იმ ჯგუფის წარმოსაჩენად, რომლებიც ახლა ხელისუფლებას უპირისპირდებიან. ამავე დროს, იმ პოზიტივის გადასაფარად, რომელიც ხდება. კერძოდ, ლარის გამყარება, თუ ვიზალიბერალიზაციის საქმე. პირველი კითხვაა ის, ვის აწყობდა ეს. საინტერესოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს პასუხი აქვთ ამ კითხვაზე – თურმე, ეს აწყობდა და ეს ჩადენილი აქვს ერთ ადამიანს. თურმე, ეს ადამიანი ერთი ხელით ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, თეატრებს, შენობებს და მეორე ხელით იღებდა ამ ჩანაწერებს და თავისავე შექმნილ კოალიციას თურმე ამ ჩანაწერებით უპირისპირდება. ერთ-ერთი ლიდერი დაჟინებით, ნერვიულად საზოგადოებას აძალებდა, სწორედ ეს არის ბიძინა ივანიშვილიო. მიჩნდება სავსებით გონივრული ეჭვი, რომ გიგა ბოკერია შენ ხომ არ ხარ მართლა ამ საქმეში გახვეული შენს ოდესელ შეფთან ერთად?! – განაცხადა ქანთარიამ. (ინტერპრესნიუსი)

ლაურა აბრამია

591 97-67-09



ბოლო 3 თვეა, ბუნებრივი აირის მრიცხველის ანათვალი და გადასახადი ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს და ეს ამბავი თავად რომ არ შემმთხვეოდა, ალბათ, დაჯერება ძალიან გამიჭირდებოდა.

რა თქმა უნდა, ის ვერსია გამორიცხულია, რომ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მრიცხველები ისეთი პედანტი ხელოვნური ინტელექტითაა აღჭურვილი, რომ კატეგორიული წინააღმდეგია, რამე შეცვალოს და გაუთავებლად ერთსა და იმავე ანათვალს აჩვენებს.

მოკლედ, მოგიყვანთ ფაქტს, რომელიც კონკრეტულად ჩემს ოჯახს შეემთხვა – როგორც წესი, ჩვენთანაც თვეში ერთხელ მოდის კომპანიიდან ინკასატორი, იწერს ანათვალს, შემდეგ მოგვდის ქვითარი და ასე შემდეგ. ნუ, როგორც ხდება ხოლმე. ჰოდა, მოხდა ისე, რომ უკანასკნელი 3 თვე მოგვივიდა დანახარჯზე გადასახადი, სადაც ლარი ლარს ემთხვეოდა თეთრი თეთრს და სამჯერვე ქვითარზე 78 ლარი და 47 თეთრი იყო მითითებული.

რა თქმა უნდა, დავინტერესდით, როგორ შეიძლებოდა, ოჯახს 3 თვის განმავლობაში ზუსტად ერთი და იმავე ოდენობის ბუნებრივი აირი დაეხარჯა. დავრეკე „ყაზტრანსგაზის“ ცხელ ხაზზე. იქ გადაამოწმეს ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია და დამიდასტურეს, რომ არ ვცდებოდი.

მეორე დღეს ჩემთან კომპანიის მენეჯერმა დარეკა და მითხრა, რომ ამ უცნაურმა დამთხვევამ კომპანიაშიც ყველა გააკვირვა და რომ სურდათ, ადგილზე მოსულიყვნენ მრიცხველის სანახავად. მობრძანდა სამკაციანი დელეგაცია, შეხედეს მრიცხველს და დაასკვნეს, რომ მრიცხველი, სავარაუდოდ, სწორად მუშაობდა. მე მათ ჯიუტად ვუმტკიცებდი, რომ ბოლო ანათვალში არ შეიძლებოდა ამხელა დანახარჯი ყოფილიყო, რადგან ჰაერის ტემპერატურის დათბობასთან ერთად ოჯახში გაზის გამათბობელი თითქმის გათიშული გვქონდა.

– რაკი სხვა მიზეზს ვერ ვხედავთ, ალბათ, მართლაც დამთხვევააო, – „დაასკვნეს“ „ყაზტრანსგაზელებმა“ და აი, ასე დამთავრდა ჩვენი საუბარი და ურთიერთობა...

მკითხველს ფოტოებსაც ვთავაზობ ფაქტის დასადასტურებლად. ასევე, სატელეფონო შეტყობინებასაც, რის მიხედვითაც ჩემი ოჯახის წევრს სახელფასოდან ავტომატურად ეჭრება დავალიანება.

რადგან ეჭვები გამიჩნდა, გავიკითხე ახლობლებში და მითხრეს, რომ ინკასატორები, თუკი დაინახეს, რომ შენ მასთან ერთად არ აკონტროლებ მრიცხველს და პარალელურად არ იწერ ჩვენებას, რომ მერე შეადარო, როგორც უნდათ და რაც უნდათ, ისე წერენო, მათ ეს კარგ მუშაობაში ეთვლებათო. ერთმა ისიც კი მითხრა, რამდენჯერაც ჩემთან, ვაზისუბანში ბავშვმა ან მეუღლემ გაუღო კარი, იმდენჯერ მეტი იყო დაწერილი დანახარჯი და იმდენჯერ მომიწიაო გარკვევა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვერავის ვერაფერს ვუმტკიცებო.

მოკლედ, მართლა არ ვიცი, როგორ, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ზამთარს კარგად მოტყუებულები დავრჩით.

**რადგან „ყაზტრანსგაზი“ საქმის კურსში უკვე ჩაყენებული მყავდა და მათგან ხეირიანი პასუხი ვერ მივიღე, „სემეკთან“ დაკავშირება კი, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, „ალია“ „ანტიკორუფციული კავშირის“ ხელმძღვანელ გიორგი ბურჯანაძეს ესაუბრა:**

– როგორ გითხრათ, ძალიან კურიოზული ფაქტია, მაგრამ ამავდროულად, ეს არის გასასაჯაროებელი და გასაპროტესტებელი ამბავი. მსგავსი დამთხვევა, უბრალოდ, წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, დაახლოებით მსგავსი ფაქტები ჩვენც გვსმენია. ეს არის უშუალოდ ინკასატორის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი ხრიკი, რომელიც აბონენტისგან წოვს, ასე ვთქვათ, ფინანსურ რესურსს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონკრეტული თანამშრომლები არ აკეთებენ ზუსტ აღრიცხვას. თქვენს შემთხვევაშიც სხვა ახსნა ამ ამბავს, უბრალოდ, არ აქვს.

**– კი, მაგრამ რა ინტერესი და მოგება აქვს ინკასატორს, რომ ასეთი ხრიკები გამოიყენოს?**

– რატომ აკეთებენ ასე, ამასაც გეტყვით – არსებობს რაღაც გეგმა და ის გეგმას ამ ფორმით ასრულებს. ამ გეგმებზე ამ წუთას დაზუსტებული ცნობები არ მაქვს, მაგრამ ჩვენ დავინტერესდებით და მივმართავთ „სემეკს“ თქვენს კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით.

**– და მომხმარებელს რა მექანიზმი აქვს, რა უნდა მოიმოქმედოს მსგავს შემთხვევებში?**

– პირველ რიგში, განცხადი უნდა გაკეთდეს წერილობით და შემდგომ უნდა ჩაერიოს „სემეკი“. თქვენ ხომ გაქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზედმეტი გადაიხადეთ? ამის დასამტკიცებლად უნდა იბრძოლოთ, ჩვენ ჩვენი მხრიდან, როგორც გითხარით, ამ კონკრეტულ მაგალითზე ვიმუშავებთ, რადგან ასეთი სახის პრობლემები ცოტა სხვა რაღაცაა უკვე, აქ გაცილებით ბევრი პრობლემაა, რასაც ჩვენ სამართლებრივად ვერ ვერგებით. ასეთი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად „ყაზტრანსგაზის“ ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის სახელზე უნდა დაიწეროს მიმართვა, პარალელურად, „სემეკის“ მისამართითაც და უნდა იქნეს გამოძიებული, რასთან გვაქვს საქმე...

# „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მრიცხველები ან „ხელოვნური ინტელექტით“ აღჭურვეს, ან გვარიან თაღლითობასთან გვაქვს საქმე!






მრიცხველი: 1038257 ტარიფი: 0.456196 (მოსახლეობა)

| თარიღი | ჩვენების ტიპი | ჩვენება | კოეფ. | კუბ.მ. | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 25.12.2015 | ჩვენება | 2,830.00 | | | |
| 26.01.2016 | ჩვენება | 3,002.00 | 1.00 | 172 | 78.47 |

სულ მიმდინარე დარიცხვა: 78.47
ძველი დავალიანება: 78.47
გადახდილი თანხა: 78.47
სულ გადასახდელი: 78.47

გადახდის ბოლო ვადა: 12.02.2016

თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" უფლებას იტოვებს შეგიწყვიტოთ გაზმომარაგება. მიწოდების აღდგენის ხარჯების დაფარვა ეკისრება აბონენტს

პატივცემულო აბონენტო!




ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მამა მოსე: დარღვევით მონათლული ბავშვები ხელახლა მონათვლას საჭიროებენ



მღვდელ-მონაზონი მოსე ახრახაძე ბავშვთა სააავადმყოფოებში ჩატარებული ნათლობების შესახებ სოციალურ ქსელში მის მიერ გავრცელებულ წერილებს განმარტავს.

მამა მოსე ნათლობის საიდუმლოების არასწორად შესრულებასა და იმ ბავშვების გადანათვლაზე საუბრობს, რომლებიც იესო ქრისტეს განწესების თანახმად არ არიან მონათლულები.

როგორც მღვდელ-მონაზონი განმარტავს, მასთან ერთად რამდენიმე მღვდელი ნათლობის საიდუმლოებაში მოსანათლავის წყალში სამჯერადი შთაფვლის ნაცვლად, ბავშვებს ოთხჯერადი შთაფვლით ნათლავდნენ.

– თბილისისა და რეგიონების ბავშვთა სააავადმყოფოებში, ბავშვები ჩვენ მიერ დარღვევით, ოთხჯერადი შთაფვლით ინათლებოდნენ. მშობლების ნებართვის გარეშეც ვნათლავდით და ამ ყველაფერთან ერთად, ბავშვების ჯანმრთელობის გაუარესებასაც ვუწყობდით ხელს.

ჩვენ, ნათლობის მიზნით, მომაკვდავ ბავშვზე დარღვევით აღვასრულებდით ნათლობის საიდუმლოებას და მასზე სამჯერადი წყლის დასხმის ნაცვლად, ვასხამდით ოთხჯერ. ხანდახან პკურებითაც ვნათლავდით, რაც ყოვლად მიუღებელია, – აცხადებს მამა მოსე.

მღვდელ-მონაზონი მიიჩნევს, რომ მსგავსი ფორმით მონათლული ბავშვები ხელახლა მონათვლას საჭიროებენ. (ინფო9)

## „მ24“: დირექტორის მოადგილე ბაია გადაბაძე – ვასიკო ოდიშვილი ეთერში ბრუნდება

ილია კიკაბიძე ბაია გადაბაძეს დირექტორის მოადგილის თანამდებობას სთავაზობს, რასაც გადაბაძე დასთანხმდა და მისი საკურატორო სფერო საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემების ხელმძღვანელობა იქნება.

ასევე, ცნობილი ხდება, რომ მამუკა ღლონტმა მიიღო ოფიციალური შეთავაზება უმოკლეს ვადაში ვასიკო ოდიშვილის გადაცემის ეთერში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

არსებული ინფორმაციით, ვასიკო ოდიშვილი დაბრუნდება ეთერში მაშინვე, რაც ჩაეშვება ახალი არხი „მ24“, რომლის დირექტორიცა და 100-პროცენტიანი დამფუძნებელიც ბაჩო კიკაბიძეა. ასევე, ბაია გადაბაძე გეგმავს, შეთავაზება გაუკეთოს ყველა იმ ჟურნალისტს, ვისაც სურს საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა ახალ ტელევიზიაში და სურს, წვლილი შეიტანოს დამოუკიდებელი მედიის არსებობასა და გადარჩენაში. (პირველი რადიო)

## სააკაშვილმა საგზაო ნიშანი ამოგლიჯა



ოდესის საოლქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მიხეილ სააკაშვილმა ოდესის შესასვლელში საგზაო ნიშანი ამოგლიჯა.

ამის შესახებ სააკაშვილმა „ფეისბუკზე“ დაწერა.

მანამდე ოდესის საბაჟოს უფროსმა იულია მარუშევსკაიამ განაცხადა, რომ კომპანია „ევროტერმინალი“ თავისი ტერიტორიის გავლით ავტომობილებისგან 20 დოლარს იღებს, რაც კორუფციული სქემის ნაწილია.

გზაზე დაყენებული ამკრძალავი ნიშნის გამო სატვირთო ავტომობილებს ოდესის პორტში შესვლა მხოლოდ ერთი გზით შეეძლოთ. ამკრძალავი ნიშნის აღების შემდეგ სატვირთო ავტოტრანსპორტი სოფელ უსატოვოს გავლით, ესტაკადაზე და შემდეგ პორტში ხვდება. (kvira.ge)

## 33 წლის სამი შვილის დედა ლეიკემიას ებრძვის – ანას სიცოცხლისთვის 84000 ლარი ესაჭიროება




ანა ვანიძე 33 წლისაა, ჰყავს ულამაზესი ოჯახი – მეუღლე და 3 არაჩვეულებრივი მცირეწლოვანი შვილი.

ანას დაუდგინდა **T** ლიმფობლასტური ლეიკემია/ლიმფომა. მკურნალობის დაწყება აუცილებელი გახდა თურქეთში, ანკარის ერთ-ერთ კლინიკაში. მას სამკურნალოდ ძალიან დიდი თანხა ესაჭიროება. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და თბილისის მერიამ შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიეს დახმარება, მაგრამ, სამწუხაროდ, თანხა საკმარისი არ არის.

– თქვენ მე საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მომიყვანეთ და ისე დამიმტკიცეთ, რომ ყველაზე დიდი და მთავარი ადამიანობა და სიყვარული არსად დაკარგულა, არსებობს და სწორედ ამიტომ ვარ იქ, სადაც ვარ... ერთ დღეში მოახდინეთ მართლაც რომ სასწაული – მოსემ თუ მდინარე გააპო და ხალხი გაატარა, თქვენ მდინარეზე ადამიანების უზარმაზარი ტალღა აღმართეთ და ისე გადმომისროლეთ 9 მთას იქით, ჩემდა საკვეთილდღეოდ... – წერს ანა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

დავეხმაროთ ამ კეთილშობილ ადამიანს სიცოცხლის შენარჩუნებაში... მისი ანგარიშის ნომერია: **GE33BG0000000-790857900 (USD; UER; GBP; GEL)** საქართველოს ბანკი, მიმღები ანა ვანიძე.

„მაგთისა“ და „ბილაინის“ აბონენტებმა (მათ შორის კორპორაციულებმაც) გთხოვთ, დარეკოთ 1-ლარიან ნომერზე: 0901701075. (pia.ge)

## „რისი ღირსია ახლა ეს „კუკარაჩა“ — ინგა გრიგოლია ქეთი დოლიძეს უპირისპირდება



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია რეჟისორ ქეთი დოლიძეს უპირისპირდება და სოციალურ ქსელში საკუთარ და მის სტატუსს აქვეყნებს, რომელიც ფარული კადრებით შანტაჟის თემას უკავშირდება.

– რისი ღირსია ეხლა ეს „კუკარაჩა“. აი, ამან უნდა თქვას, ქალი ვარ და ლეჩაქი მხურავსო... ჯერ თითო სოფელს რომ ხუთი მილიონი მისცეს, ის



დაითვალოს... მერე – მერიიდან და კულტურის სამინისტროდან სულ ახლახან მიღებული თანხები თავისი გაუგებარი ფესტივალისთვის და მერე ითვალოს სხვისი ხელფასი... ჩვენ ამხელა მორალურ ტერორზე ვსაუბრობთ, ვუპირისპირდებით და ეს ქალი-კუკარაჩა რეებს წერს, უნდა ნახოს ყველამ... აი, ესაა „გაპრავების“ პიკი და საზოგადოების იმ ერთიანობასთან ღია დაპირისპირება, რასაც ბოლო დღეებშია, ყველა ერთად ვუპირისპირდებით... მაშ ასე, გაიცანით – კეწი დოლიძე ფარული კადრებით შანტაჟზე დაკოპირებული ჩამიგდეს მისი სტატუსი, რომელიც მე მეძღვნება, – წერს ინგა გრიგოლია და ქეთი დოლიძის სტატუსს აქვეყნებს:

– ყველაზე ამაზრზენია ეს გაუთავებელი კომენტარები და გარჩევები. ამ ამაზრზენი კომპანიის მსხვერპლს სწორედ ისინი არ უფრთხილდებიან და იყენებენ თავისი პოპულისტური ხავილისთვის. იმის მაგივრად, რომ ენა ჩაიგდონ და აღარ არჩიონ ეს ფაქტი საჯაროდ! ამაზე არ გიფიქრიათ? და ის დავიჯერო, რომ თვითონ რომ მაღალზე მაღალი ხელფასი გაქვს, შენ გეცოდება სირია და თურქეთის ტერაქტის მსხვერპლნი? გაათავეთ ეს საზიზღარი პოპულიზმი! გინდათ, გამოიკვლიოთ? ამას ამდენი წივილი რად ჭირდება ღია ეთერში!!!! მიდით და გამოიკვლიეთ! ბაზრობაზე მდგარი და კრედიტის გადამხდელები გიგლეჯენ გულს? გაუყავით თქვენი ხელფასი და მორჩით ამ წივილ-კივილს... არავის თქვენი კივილის არ ეშინია!!!! მორჩა! –

ეს სტატუსი კი რეჟისორ ქეთი დოლიძეს ეკუთვნის, რომელსაც ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე პასუხობს:

– პ.ს. ერთი რამ ვერ გავიგე მე, არავის თქვენი კივილის არ ეშინიაო, რომ წერს, რატომ მიილო საკუთარ თავზე ჩემი მუქარა და აღშფოთება კადრების გამავრცელებლებზე??? (ნიუპოსტი)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



## რატომ გამყარდა ლარი, რა გარიგება მოხდა 16 მარტს „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე და რას პროგნოზირებენ ექსპერტები?



ლარის კურსი ყოველდღიურად მყარდება, ბოლო დღეებში 1 დოლარის ფასი თითქმის 2,23 ლარამდეც კი ჩამოვიდა. ექსპერტების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ეს კარგია (და ხალხისთვის, რა თქმა უნდა, კარგია), მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ ლარის კურსის გამყარების რეალური მიზეზი არ არსებობს და ეს ცუდია, ანუ ჩვენი სიხარული ნაადრევია. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მისი გაუფასურება გამოიწვია, ნაწილობრივ მოხსნილია. ეს იყო მთავრობის მიერ ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზებაში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა ე.წ. დეფიციტური ხარჯვით, რასაც ძველი ნაშთებიდან ბიუჯეტის დაფინანსება ჰქვია. წინა თვის ბოლოს ამან 264,8 მილიონ ლარს მიაღწია. ანუ, ახლა ბიუჯეტიდან ცოტა იხარჯება, ამ თვეში, ფაქტობრივად, მხოლოდ პენსიები და აუცილებელი თანხები გაიცაო.

ოპტიმისტები ამბობენ, რომ თებერვალში ექსპორტი გამოცოცხლდა, უცხოეთიდან გადმორიცხვები გაიზარდა, ტურისტების რაოდენობამ იმატა და ასე შემდეგ. პრინციპში, აქ არის რაღაც სიმართლის მარცვალი, მაგრამ ისეთი მაინც არაფერი ხდება, რომ ამის გამო, ლარი ასე მკვეთრად მყარდებოდეს. მაგალითად, თუ იანვარში ექსპორტმა 22 პროცენტით იკლო, თებერვალში 11-პროცენტიანი კლება დაფიქსირდა, ხოლო უცხოეთიდან გადმორიცხვებმა, სულ რაღაც, 15 მილიონი დოლარით მოიმატა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვერავინ დაამტკიცებს, რომ ამ თვეებში იმაზე მეტი ტურისტი შემოვიდა, რაც ზაფხულში იყო.

სხვათა შორის, 16 მარტს საოცარი რამ დაფიქსირდა „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე – ერთი დოლარი 2,02 ლარი ღირდა. 13.30 საათზე ლარი მკვეთრად გამყარდა, ხოლო მოგვიანებით ისევ დაუბრუნდა ძველ მდგომარეობას. ამას კი ეკონომიკის ექსპერტები სპეკულაციასა და მარაზმს უწოდებენ. თუ ვინმემ 2,40-ის ფარგლებში 2,02 ლარად დოლარის ყიდვა-გაყიდვა გაბედა, ეს უკვე მაქინაციაა. რა ხდება რეალურად ჩვენს თავს? მართლაც ხომ არ გვაქვს საქმე ისეთ მაქინაციასთან, რომლის საშუალებითაც ვიღაცები ფულს აკეთებენ? ლარის გამყარებაში არის თუ არა ეროვნული ბანკის წვლილი, რომელსაც აღარ მართავს ოდიოზური გიორგი ქადაგიძე? როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ლარის კურსის გამყარებასთან არც სახელმწიფო ბიუჯეტია შუაში, არც ეროვნული ბანკი და არც შემოსავალ-გასავალი:

„ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ჩვენი ქვეყნიდან კაპიტალის გადინება შედარებით შენელდა და შესაბამისად, კომერციულ ბანკებს აქვთ ნაკლები მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე. ასეთი მკვეთრი სავალუტო რყევები ეკონომიკისთვის, ბიზნესისთვის საერთოდ მავნეა და არც მოსახლეობას აგდებს კარგ დღეში. თუ აქამდე ის ადამიანები ზარალდებოდნენ, რომლებსაც ლარში აქვთ შემოსავლები, ახლა ზარალდებიან ისინი, ვისაც დოლარში აქვს შემოსავლები“.

ლია ელიავას თქმით, ლარი კი მყარდება, მაგრამ ფასები იგივე რჩება: „როდესაც ლარი გაუფასურდა, ყველაფერი გაძვირდა, ახლა ფასები დაბლა იწევს? არა და ეს შეიძლება არც მოხდეს. ამიტომ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ლარის გამყარებით მნიშვნელოვნად არ უმჯობესდება. როდესაც სიტუაცია მყიფეა, შეიძლება უახლოეს ხანში მოხდეს უარესი რამ – რომელიმე კომერციულ ბანკს ისევ მოუნდება სპეკულაციების განხორციელება და უცებ დაეცემა ლარის კურსი. ახლა კომერციული ბანკების მესვეურები დაიწყებენ წუწუნს, დოლარი რომ გაუფასურდა ლართან მიმართებაში, ვიზარალეთო. რაც შეეხება „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებულ უცნაურობას, ეს მაშინაც ხდებოდა, როცა ლარის კურსი ძალიან იყო დავარდნილი. ასეთი გარიგებები პერიოდულად იდება ხოლმე, წესით, ეროვნული ბანკი საშუალო კურსიდან ასეთ ძლიერ გადახრებს არ უნდა უშვებდეს. რასაკვირველია, როცა ბაზარზე ჩამოყალიბებულია ერთი კურსი და ამ დროს ერთი კომერციული ბანკი მეორესთან ვაჭრობს მკვეთრად განსხვავებული ფასებით, ეს უკვე სპეკულაციაა. აქ არავის იცის, მართლა მოხდა ანგარიშსწორება ნაღდი ფულით თუ ეს იყო ბლეფი? იქნებ ლარის კურსის ხელოვნურად გამყარების მცდელობაა, რათა შემდეგ ისევ ააგდონ და ფული იშოვონ“?

ლარის გამყარება ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც უკავშირდება. 1 აპრილს ყველა ორგანიზაცია ვალდებულია, ანგარიშში გაასწოროს საგადასახადოსთან, ანუ ბიუჯეტთან. ზოგმა ლარის მოგროვება-შენახვა დაიწყო, ზოგმა დოლარის ლარზე გადახურდავება, ანუ ლარზე მოთხოვნილება გაჩნდა, წარმოიშვა დეფიციტი, ლარი გამყარდა. როგორც ჩანს, გადაივლის საგადასახადო ციებ-ცხელება და ისევ დაიწყება გაუფასურება. როგორც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, რომან გოცირიძე აცხადებს, ამ დღეებში იყო დღგ-ს გადახდის პერიოდი და მასობრივად ხდებოდა დოლარების გაყიდვა ვალდებულებების დასაფარავად. მარტში ხდება წლიური მოგების გადასახადების მეოთხედის გადახდაც და საწარმოები ცდილობენ ახლავე იყიდონ ლარები, გამომდინარე დოლარის გაუფასურების ფაქტიდან.

ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რომ ამ პროცესმა ცოტაოდენ შეიძლება იმოქმედა, მაგრამ ეს არის ძალიან უმნიშვნელო:

„გადასახადების დაფარვის პროცესს რომ რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლოს, მაშინ რატომ არ იმოქმედა შარშან ან შარშანწინ? ახლა იძახიან, უკვე დათბა, გაზისა თუ დენის ყიდვა დოლარებზე იმდენად აღარ არის საჭირო და მოთხოვნა შემცირდაო, მიდის ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვაო... არადა, ბიუჯეტი იხარჯება ისევე, როგორც იხარჯებოდა აქამდე. პირიქით, ამ თვეში კვარტალი მთავრდება და ხარჯვა უფრო გააქტიურებულია. ტურისტების რაოდენობამ მოიმატაო, მე ამას ვერ ვხედავ, ჩვენ ჯერ არც ზღვის სეზონი გვაქვს და არც არაფერი. განა რამდენი ტურისტი ჩამოდის თხილამურებით სასრიალოდ? შარშან ივლისში არც გათბობა გვჭირდებოდა და ტურისტული სეზონიც იყო, მაგრამ ლარის კურსი საით გარბოდა, კაციშვილმა ვერ გაიგო. ჩემი აზრით, აქ ძალიან დიდი როლი ითამაშა ქადაგიძის წასვლამ, ფსიქოლოგიურმა მომენტმა და ასე თუ ისე, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის დაახლოებამ ხელისუფლებასთან. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „ნაციონალების“ დროს მსგავსი რყევები არ იყო, ძალიან ცდება. ცოტა უარესი მომენტებიც იყო, მაგრამ მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთად იყვნენ“.

ლია ელიავა ლარის კურსთან დაკავშირებულ ორ პრობლემასაც უსვამს ხაზს: „პირველი – საქართველოში სავალუტო კურსი დგინდება არასწორი მეთოდოლოგიით, კურსი არ არის აღებული ეკონომიკის მონაცემებზე დაყრდნობით; მეორე – ქვეყნიდან კაპიტალის გადინება ბევრადაა შემცირებული შარშანდელთან შედარებით, მაგრამ ხვალ ამ მხრივ რა იქნება, არ ვიცით. რაც ახლა ხდება, ანუ ლარის კურსი რომ მყარდება, ამაში ეროვნულ ბანკს არანაირი წვლილი არ მიუძღვის. ჩემი პროგნოზი კი ასეთია: ლარის კურსის გამყარების ტენდენცია დიდხანს არ გაგრძელდება და ერთ მშვენიერ დღეს ისევ დაიწყებს მკვეთრ გაუფასურებას“.

როგორც ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, რაც დღეს ხდება, ეს არის კატასტროფა, რასაც უახლოეს ხანში მოჰყვება დიდი უბედურება:

„ძალიან უცნაური რაღაც ხდება, ელემენტარული გაანგარიშებითაც კი ერთ კვირაში ლარი ასე არ უნდა გამყარებულიყო. ალბათ, გახსოვთ, 20-მილიონიან ინტერვენციებს აკეთებდა ეროვნული ბანკი და ამას ჰქონდა მხოლოდ 10 პუნქტის ეფექტი, ახლა რამდენიმე დღეში გამყარებულია 1900 პუნქტით. იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო, საჭირო იყო 380 მილიონი დოლარის გაყიდვა, რაც უბრალოდ წარმოუდგენელია. მეტიც, ამ პერიოდში ეროვნულ ბანკს გასაყიდად 1 ცენტიც არ გამოუტანია. მე დეტალურად ვიცი, როგორ ხდება ეროვნულ ბანკში ყველა ოპერაცია, ამიტომ ვაცხადებ: როდესაც იგივე შიდა ფაქტორები არ იცვლება, არც გარეთ შეინიშნება რამე, ეს არის ტყუილი ციფრები. ჩვენ ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთ რამესთან გვაქვს საქმე, რაც არ ჯდება არანაირ კანონში. მე ძალიან მაინტერესებს, „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე 1 დოლარს 2,02 ლარად რომელი ჭკუათმყოფელი ყიდის ან ყიდულობს? იძახიან, 15 მილიონი ლარით მეტი იყო გადმორიცხვებიო, არც ამას შეეძლო, ასეთი საოცარი ეფექტი მოეხდინა. რაკი ლარის კურსი ასე სწრაფად მიდის სადღაც, რასაკვირველია, ამას მოჰყვება საპირისპირო შედეგი, რაც ძალიან ცუდი იქნება მთელი ქვეყნისთვის. მე მოვუწოდებ ჩვენს ხელისუფლებას, რომ სავალუტო ბირჟა აღადგინოს და ყველაფერი ხდებოდეს გამჭვირვალედ. პოსტიდან წასვლისას ქადაგიძემ მიმიწვია და საქმეებში ჩამახედა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეროვნულ ბანკს საერთოდ არ გააჩნია მოქმედების არც გეგმა და არც რაიმე შესაბამისი დოკუმენტი. აქ სცოდავს პარლამენტიც, რომელმაც სამი წლის განმავლობაში არ შეიმუშავა მსგავსი რაიმე დოკუმენტი. დაუკვირდით, რა მოხდა „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე, ვიღაცამ ძალიან დაბალ ფასში გაყიდა დოლარი, ვიღაცამ იყიდა, რათა უახლოეს დღეებში დაფიქსირდეს, ასევე, ძალიან დაბალი ხელოვნური კურსი“.

გამოდის, 16 მარტს „ბლუმბერგის“ სავალუტო ბირჟაზე მოხდა რაღაც ისეთი გარიგება, რომელიც უახლოეს ხანში დაგვარტყამს. გიორხელიძის თქმით, ჩვენ მალე გავხდებით მოწმენი, როგორ ჩამოვა ლარის კურსი 2,02-მდე და შემდეგ როგორ დაიწყება ისევ მკვეთრი გაუფასურება. გამოდის, თუ ხელოვნურ მანიპულაციებთან გვაქვს საქმე, მაშინ აზრს კარგავს შიდა თუ გარე ფაქტორების ძიება და იმაზე მსჯელობა, გადმორიცხვები ამყარებს ლარს, ინვესტიციები, ტურისტების რაოდენობის მატება თუ სხვა ათასი წვრილმანი. ყოველ შემთხვევაში, თავადაც ხედავთ, რომ ექსპერტები კარგს არაფერს პროგნოზირებენ.

**„ძალიან უცნაური რაღაც ხდება, ელემენტარული გაანგარიშებითაც კი ერთ კვირაში ლარი ასე არ უნდა გამყარებულიყო. ალბათ, გახსოვთ, 20-მილიონიან ინტერვენციებს აკეთებდა ეროვნული ბანკი და ამას ჰქონდა მხოლოდ 10 პუნქტის ეფექტი, ახლა რამდენიმე დღეში გამყარებულია 1900 პუნქტით. იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო, საჭირო იყო 380 მილიონი დოლარის გაყიდვა, რაც უბრალოდ წარმოუდგენელია. მეტიც, ამ პერიოდში ეროვნულ ბანკს გასაყიდად 1 ცენტიც არ გამოუტანია“**

## საზარელი მკვლელობა გორში — შსს-ს ცნობით, ჯარისკაცი ახალგაზრდა ქალმა მოკლა

გორში მიმდინარე წლის 7 მარტს, 39 წლის ჯარისკაცის გარდაცვალება არა უბედურმა შემთხვევამ, არამედ განზრახ მკვლელობამ გამოიწვია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, სამართალდამცავებმა ჯარისკაცის მკვლელობის ბრალდებით ახალგაზრდა ქალი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით).

გარდაცვლილის მეზობლების განცხადებით, გვამის ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, რომ ჯარისკაცს დამაძინებელი მედიკამენტები მიაღებინეს, შემდეგ კი მის ოთახში ბენზინი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

გორში, კომბინატის დასახლებაში, ე.წ. ნარკოლოგიურის შენობაში 39 წლის მამაკაცის ცხედარი 9 დღის წინ იპოვეს, თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯარისკაცი ოთახში გაჩენილი ცეცხლის კვამლმა გაგუდა. (ნიუპოსტი)

## ყოფილი ცოლისა და მისი მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული გარდაცვლილი იპოვეს



ყოფილი ცოლისა და მისი მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული კახაბერ ქისიშვილის ცხედარი ისანი-სამგორის ტერიტორიაზე იპოვეს.

არსებული ვერსიით, 50 წლის კაცმა თავი ჩამოიხრჩო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

როგორც ირკვევა, მკვლელობაში ბრალდებული თბილისში, ნაქირავებ ბინაში იმალებოდა.

პოლიციელები ამ დრომდე ეძებდნენ 50 წლის კახა ქისიშვილს, რომელსაც ბრალად ორმაგი მკვლელობა ედებოდა.

სამართალდამცავები ბრალდებულ ქისიშვილს მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან ეძებდნენ. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულ დღეს გორში, გურამიშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში 50 წლის მამაკაცმა ყოფილი ცოლი, 45 წლის ირმა გაგლოშვილი და მისი მეუღლე სანადირო თოფით დახოცა.

მეზობლების თქმით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ცოლს წლების წინათ დაშორდა, ქალი მეორედ გათხოვდა და ოჯახთან ერთად (პირველი ქორწინებიდან შეძენილ ქალ-ვაჟთან ერთად) ისრაელში ცხოვრობდა.

როგორც გარდაცვლილის მეზობლები ყვებიან, ტრაგედია მას შემდეგ დატრიალდა, რაც ისრაელიდან გარდაცვლილი ქალის საერთო შვილი – 25 წლის გოგონა ჩამოასვენეს.

როგორც ირკვევა, მოკლული ქალისა და ბრალდებულის შვილმა ურთულესი ოპერაცია ვერ გადაიტანა. (ნიუპოსტი)

## „რატომ გვატყუებს ივანიშვილი თითქოს რუსეთთან ურთიერთობა დაალაგა?“ — გიგა ბოკერია



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო მდივანი გიგა ბოკერია გრიგორი კარასინის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება. ბოკერიას განმარტებით, აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ერთადერთი მიზანი კარასინის მხრიდან საქართველოს მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზების მოსმენაა:

– კარასინის განცხადება გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რაც რუსეთს აქვს და რაც ვიცით, რომ აქვს. ისინი არ ცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, ეს ვიცით, ჩვენ ამას უნდა შევებრძოლოთ და ამას ქართველი საზოგადოება შეებრძოლება, მაგრამ გაუგებარია, რატომ გვპირდებოდა ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და რატომ გვატყუებს, რომ თითქოს დაალაგა. კიდევ უფრო მეტად გაუგებარია, რატომ აძლევს ჩვენი ხალხის ფულს პრორუსულ ძალებს ჩვენი ქვეყნის შიგნით, როცა ასეთ მტრულ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე. აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატის ერთადერთი დატვირთვაა, რომ მოვისმინოთ შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი განცხადებები კარასინისგან რუსეთის სახელით, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

## „ხელს ნუ იშვერთ იმ ადამიანისკენ, ვისი არსებობა და ქველმოქმედებაც კი, დიდი ხანია მოსვენებას გიკარგავთ“

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

– იქნებ გაჩუმდეთ, გაჩუმდეთ მაინც და ხელს ნუ იშვერთ სხვისკენ, მით უმეტეს იმ ადამიანისკენ, ვისაც ლომის წილი მიუძღვის ავადმყოფური სისტემის, ადამიანის ღირსებისა და პატივის განადგურებისკენ მიმართული რეჟიმის დამარცხებაში. 27000-ზე მეტი უკანონო ჩანაწერის შემქმნელებისგან ვერ მივიღებთ დღეს ვერანაირ საყვედურს! რატომ იწვევთ საზოგადოებას?! რატომ ვერ თავისუფლდებით ამ ცინიზმისგან?! თუ ბოდიშს არ იხდით, გაჩუმდით მაინც! იმედი მაქვს, ამასაც მოერევა სახელმწიფო და ჯანსაღი საზოგადოება! აუცილებლად დამარცხდებით, ვინც სხვის ადამიანურ ტრაგედიაზე, საზოგადო პრობლემაზე, ტკივილზე საკუთარ ბნელ გეგმებს აგებთ და სარგებელს ეძებთ! თქვენ უკვე ძალიან ცოტანი ხართ, ამიტომ საღ აზრს, სიმართლეს, ადამიანებს და ადამიანობას ვერ მოერევით! ამიტომ, გაჩუმდით, გაჩუმდით და ხელს ნუ იშვერთ იმ ადამიანისკენ, ვისი არსებობა და ქველმოქმედებაც კი, დიდი ხანია მოსვენებას გიკარგავთ! – წერს კობახიძე. (news.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



16 მარტს საქართველოს პარლამენტის „ქუთაისის ფილიალში“ პლენარული სხდომა დაპირისპირებითა და ცოტაოდენი ცემა-ტყეპით დაიწყო. დასაწყისში გამოვიდა „ნაციონალების“ ოდიოზური ფიგურა, გიორგი ბარამიძე და თქვა არაკი:

„არ შემიძლია, ავადსახსენებელ ჩანაწერებს არ შევეხო. ზაქარია ქუცნაშვილი ამბობდა „რუსთავი 2“-ის ეთერში, როგორ გაჩუმდეს. შენ კი, პატივცემულო ხელისუფლება, თვით გიორგი ბარამიძე, აფრასიძეების ამომწყვეტი და გლდანის ეკლესიის დამანგრეველი, მოგიწოდებს, დამნაშავე სამაგალითოდ უნდა დასაჯოთო... არა, ისე კი არა, როგორც მე, ხვედელიძესა და სხვებს გადაგვისვით თავზე ხელი, უნდა დაგვიჭიროთ და ციხეში ჩაგვსვათო.

ბარამიძის განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატების გაღიზიანება მოჰყვა, კარლო კოპალიანმა მიკროფონი ისროლა, რომელიც მიხეილ მაჭავარიანს მოხვდა კეფაში, ხოლო ომარ ნიშნიანიძემ და სხვებმა, ასე თუ ისე, თავიანთებურად გაშალეს მკლავი.

## „ოცნებამ“, „ნაცებს“ უკვე ნამეტანი მოსდითო — გაგენძრიათ მერე ერთი ადგილი და გაგეშვათ პოლიტიკურ მოუსვლელში




ამ დროს ლუკა კურტანიძე შემაღლებულზე იჯდა და თავის სიტყვას ამბობდა, ის ყველაზე კარგად აკონტროლებდა სიტუაციას.

როგორც კურტანიძე ამბობს „ალიასთან“, მას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ „ნაციონალების“ პარპაშს 2016 წლის არჩევნებში მოეღება ბოლო და ისინი 1 პროცენტსაც ვერ მიიღებენ. ომარ ნიშნიანიძე ფიქრობს, რომ „ნაციონალების“ საქციელი თავიდანვე აუტანელი იყო, მაგრამ ახლა უფრო მეტი სიბინძურე ტრიალებს:

„აბა, როგორ შეიძლება, „ნაციონალებთან“ ჩვენ გვქონდეს დალაგებული სიტუაცია? გამოდის ამორალური, უზნეო კაცი და აქეთ გვიკითხავს მორალს. ბარამიძეს აჰყვა კანდელაკი, მაგას აჰყვა მიშა მაჭავარიანი და ამიტომაც ესროლა კარლო კოპალიანმა მიკროფონი. მერე მე ჩავერიე, კარლოს დავუჭირე მხარი და დაიწყო გაწევ-გამოწევა. ამოვიდა ყელში, ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს? ვიცი, რომ ეს ყველაფერი ეკრანზე არ ჩანს კარგად, მაგრამ უკვე ნამეტანი მოსდით. ეს არის უბედურება, ჩვენი ბრალია და მეტის ღირსები ვართ, ამ კოჰაბიტაციამ საერთოდ დაგვანგრია. ამ ყველაფერმა მთელ ქვეყანას ძალიან ცუდი სამსახური გაუწია. ეს არ შეიძლებოდა, მომხდარიყო. ნახე, რა ხდება უნივერსიტეტში, ყველაფერს გადაუარეს, ვერც „ნაციონალების“ მიერ გამოყრილი პროფესორები დავაბრუნეთ. დიახ, კოჰაბიტაციის შედეგია ეს ფარული ჩანაწერებიც. ფარული ჩანაწერები აღმოაჩინეს და მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი, უნდა გავანადგუროთო. ის კი არ უნდა გაგვენადგურებინა, ნივთმტკიცებად დაგვეტოვებინა და ყველა სამაგალითოდ დაგვესაჯა. შემქმნელები უნდა დასჯილიყვნენ. ყველაფერი რომ ბოლომდე მიგვეყვანა, დღეს ასეთ სირცხვილს არ ვჭამდით, თავიდან დაფრთხნენ, იმალებოდნენ და დღეს კი ჩვენკენ იშვერენ ხელს. ასევე, უნდა უნდა აღვკვეთოთოთ? დღეს ვეტყვი, როგორც ხვედელიძეზე გააკეთეთ, თავზე ხელი კი არ უნდა გადაუსვათ, ვინც დანაშაულს ჩაიდენს, სამაგალითოდ უნდა დასაჯოთ, კი არ უნდა დაიჭიროთ და გამოუშვათ, როგორც ხვედელიძის შემთხვევაში იყო... რომ დაგესაჯათ, არ იქნებოდა გვარამიას დაშანტაჟება, „რუსთავი 2“-ის დაშანტაჟება, ეკა მიშველაძისა და ინგას დაშანტაჟება“.

ღმერთო, შენ გვესროლე მეტეორი თუ არა, „ტაბურეტკა“ მაინც, რომ ზოგიერთი ან აზრზე მოვიდეს, ან კიდევ საერთოდ დასჯილიყო ის უზნეო ადამიანი, რომელიც პარლამენტში გვეკამათება და თავხედობს. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი სახელმწიფო გაუმკლავდება ამათ პროვოკაციებს. ესენი ყველგან და ყველაფერში სიბინძურეს თესავენ, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით წყალს ამღვრევენ. არეულობაზე ოცნებობენ, სიმშვიდეს ვერ იტანენ. მე არ ვიცი, შეიძლება ჩვენც არ ვიყოთ ხელისუფლებაში, მაგრამ ამათ ვინმე მისცემს ხმას? დარწმუნებული ვარ, არავინ არ მისცემს, ტვინგამორეცხილების გარდა“.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვენეციის კომისია საარჩევნო კოდექსის რეფორმირების პროცესს უარყოფითად აფასებს — კომისიის ექსპერტთა დასკვნა

ევროპული ორგანიზაციის ექსპერტები ხელისუფლებას რეფორმირების პროცესში ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გადახედვას და პროცესში ჩართული მხარეების – ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციების გათვალისწინებას ურჩევენ.

ვენეციის კომისიისა და ეუთოს მიერ საქართველოში საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით ერთობლივ დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული დოკუმენტი ვერ იქნება წარმოდგენილი, როგორც ოპოზიციურ პარტიებსა და სამოქალაქო სექტორთან ერთად მიღებული საერთო კონსენსუსის საგანი.

ვენეციის კომისია მიესალმება მათი წარსული რეკომენდაციებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ამომრჩევლის ხმის თანაბრობის გათვალისწინებას, მათ შორის ბარიერის 50 პროცენტამდე გაზრდას მაჟორიტარულ ოლქებში.

თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ საზღვრების ხელახალი დაყოფა მოხდა დაყოფის კრიტერიუმების დადგენის გარეშე. არ მოხდა გათვალისწინება ისტორიული, გეოგრაფიული და დემოგრაფიული რეალობების და საერთო კრიტერიუმის არარსებობა ქმნის ვითარებას, რომ პროცესი შესაძლოა, გამოყენებული იქნეს „მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“.

კომისია შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებითაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონი გასული წლის დეკემბერში დამტკიცდა, მაჟორიტარული ოლქების საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი ჯერ კიდევ გაურკვეველია (4 დიდ ქალაქში – თბილისში, ბათუმში, რუსთავსა და ქუთაისში). არსებული 30 ოლქი კვლავაც საზღვრების დადგენის გარეშეა დარჩენილი და მისი დადგენა მინდობილია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, მაშინ, როცა კომისიას მისი ჩამოყალიბების არანაირი პრინციპი არ გააჩნია, რაც არჩევნებამდე დარჩენილი დროის ფაქტორის გათვალისწინებით არათანაბარ პირობებში აყენებს საარჩევნო პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტს – პარტიებს, კანდიდატებს, ამომრჩეველს, ხოლო ჯამში ეს საფრთხეს უქმნის მთლიანად საარჩევნო პროცესს.




ვენეციის კომისიის დასკვნაში ცალკეა გამოყოფილი და ხაზგასმით აღნიშნულია:

– ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არჩევნებში ჩართულ მხარეებს შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი დისკუსიები საარჩევნო სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ძირითადად განიხილებოდა შერეული მაჟორიტარული და პროპორციული კომპონენტების სისტემიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ოპოზიციური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ძირითადად მხარს უჭერენ საარჩევნო სისტემის მყისიერ ცვლილებას. იმ დროს, როდესაც მმართველი კოალიცია, ასევე, უჭერს მხარს ამ ცვლილებას, ის არ თვლის, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის, 2016 წლის ოქტომბერში, ასეთი ცვლილება მიზანშეწონილი იქნება. კონსტიტუციის ცვლილების პროექტი მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ინიცირებული იყო პარლამენტში, თუმცა მისი მიღება არ მომხდარა. შესაბამისად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები გაიმართება არსებული შერეული სისტემის პირობებში საარჩევნო ოლქების ახალი საზღვრებით. (ნიუპოსტი)

## სტუდენტები ლექტორებს მუქარას უთვლიდნენ

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ნატალია ხარაძის თქმით, სტუდენტების გარკვეული ჯგუფის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებზე მუქარა ხორციელდებოდა.

ხარაძის თქმით, იყო შეურაცხმყოფელი მესიჯები ტელეფონსა და სოციალურ ქსელში.

– იყო მუქარა, რომ დავრჩები სამსახურის გარეშე, რომ მანქანა დამიზიანდება, – განაცხადა ხარაძემ, თუმცა დეტალების დაზუსტებისგან და სტუდენტების ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა. (ნიუპოსტი)



## „სამღვდელო პირს რეანიმაციაში ხელიდან წყალი დაექცა, რის გამოც მართებულად შეასრულა დამაბოლოებელი წყლის დასხმა მოსანათლზე



შემოქმედის ეპარქია მღვდელ-მონაზონ მოსე ახრახაძის ვიდეომიმართვას ეხმაურება. შეგახსენებთ, მღვდელ-მონაზონმა აღიარა, რომ ის სხვა მღვდლებთან ერთად ბავშვებს თბილისსა თუ რეგიონებში მშობლების ნებართვის გარეშე, დარღვევით ნათლავდა:

– უკანასკნელ დღეებში ინტერნეტსივრცეში გავრცელდა მღვდელ-მონაზონ მოსე ახრახაძის მიმართვა საზოგადოებისადმი. მღვდელ-მონაზონი მოსე მიმართვაში აცხადებს, რომ იგი, რამდენიმე სხვა სამღვდელო პირთან ერთად, რეანიმაციულ განყოფილებებში მყოფ ბავშვებს უტარებდა არასწორ ნათლობებს. ამ საკითხის გასარკვევად მღვდელ-მონაზონმა მიმართა რამდენიმე სასულიერო და საერო პირს, მათთან საუბრები უნებართვოდ გადაიღო ფარული კამერით და განათავსა სოციალურ ქსელში.

საქართველოს საპატრიარქოში შეიკრიბა სპეციალური კომისია, სადაც მიწვეულ იქნა თვით მღვდელ-მონაზონი მოსეც, თუმცა იგი, მიუხედავად მრავალგზის მოწოდებისა, კომისიის შეკრებაზე არ გამოცხადდა. აღნიშნულმა კომისიამ შეისწავლა წარმოქმნილი პრობლემა და გაარკვია, რომ მღვდელ-მონაზონ მოსეს მიერ ნახსენები სამღვდელო პირი, რომელიც თითქოსდა ოთხჯერადი შთაფვლა-დასხმით ნათლავდა ბავშვებს საავადმყოფოში, სინამდვილეში ასრულებდა არა ოთხჯერად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამჯერად დასხმას, ხოლო ე.წ. მეოთხე დასხმა, სინამდვილეში იყო მესამე, ნამოქმედები იმ რამდენიმე კერძო შემთხვევაში, როდესაც ხსენებულ სამღვდელო პირს, ნათლობისთვის უჩვეულო პირობებში (რეანიმაციაში) არსებული სირთულიდან გამომდინარე, ხელიდან წყალი დაექცა და ვერ დაასხა იგი მოსანათლ ბავშვს, რის გამოც სავსებით მართებულად შეასრულა დამაბოლოებელი (მესამე) წყლის დასხმა მოსანათლზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მხოლოდ ორგზის დასხმას, რაც ნათლობად ვერ ჩაითვლებოდა (ეს ყოველივე სავსებით ცხადია თუნდაც იმ ფარული ვიდეოდან, რაც მღვდელ-მონაზონმა მოსემ გაავრცელა ხსენებულ სამღვდელო პირთან დაკავშირებით).

დაბოლოს, რაც შეეხება საკუთრივ მღვდელ-მონაზონ მოსეს მიერ ოთხჯერადი დასხმით (როგორც თვითონ ამბობს) მონათლულ ბავშვებს, მათთან დაკავშირებით კომისიამ განაცხადა: ყველას, ვისაც კი მოეპოვება რაიმე ინფორმაცია ამ სახით „მონათლულ“ რომელიმე ბავშვზე (პირველ რიგში, ცხადია, თვით მღვდელ-მონაზონ მოსეს), აქვს აუცილებელი სულიერი ვალდებულება ღვთის წინაშე, რომ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს საპატრიარქოს, – წერია განცხადებაში. (news.ge)

## „დანაშაული არის ის, რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს“



საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ დანაშაული არის ის, რაც ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს, როცა ხელისუფლების პოლიტიკა იყო მოსმენები, თვალთვალი და ამით ადამიანების შანტაჟი.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება მსოფლიოში მოდებული სენია;

– ეს არ არის რაღაც არაჩვეულებრივი. ჩვენს შემთხვევაში რეალური დანაშაული არის ის, რაც ხდებოდა 9 წლის მანძილზე, როცა ხელისუფლების პოლიტიკა იყო მოსმენები, თვალთვალი, პირადი ცხოვრების გადაღება. მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც დღეს საუბრობენ ტერორზე, რომლებისგანაც თავის დროზე, ეს სიტყვა არ გამიგია. თუნდაც მაშინ, როდესაც ჩვენი პარტიის „საქართველოს გზის“ ოფისში აღმოვაჩინეთ მოსასმენი აპარატურა. მაშინ არც სხვა პოლიტიკური ძალისგან და არც ჟურნალისტისგან მომისმენია შეშფოთება, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მას უზნეობად მიაჩნია დღევანდელი სიტუაციის გაიგივება ტერორიზმთან, როცა ეს არ გაკეთდა 9 წლის მანძილზე და როცა მეზობელ ქვეყანაში ნამდვილი ტერორიზმი ხდება.

– პრეზიდენტის განცხადებაც საერთოდ არაადეკვატურია, ამაზე მეტ კომენტარს აღარ გავაკეთებ. დღევანდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის ის, რომ წინა ხელისუფლების ასეთი დესტრუქციული ქმედებები არ იქნა ბოლომდე გამოძიებული და გაშიფრული. აბსურდია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ჩანაწერები ბოლომდე განადგურდა, – აცხადებს ზურაბიშვილი და არ უშვებს იმ აზრს, რომ ფარული ჩანაწერები შეიძლება გაკეთებული იყოს მოქმედი ხელისუფლების პირობებში. (pia.ge)

## თბილისში 2 ახალგაზრდა ე.წ. „სპიცით“ დაჭრეს




თემქაზე მდებარე ერთ-ერთ სპორტკომპლექსში 2 ახალგაზრდა დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციით, ორივე მათგანი ფეხბურთელია.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან მოთავსებულები.

ინციდენტს შსს-ში ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმედ დაზიანებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რატომ არ პასუხობენ „ვიდეოტერორისტის“ ულტიმატუმს გრიგოლიას მსგავსად ირაკლი ალასანია, თინა ხიდაშელი და თამარ სანიკიძე?



ქართველი პოლიტიკოსების სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გამოქვეყნებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა ქართველ საზოგადოებაში. ერთ ვიდეოს მეორე მოჰყვა და ამ მეორე ვიდეოს მუქარაც ახლდა კონკრეტული პიროვნებების მისამართით. „შემდეგ სერიებში თინათინ ხიდაშელი, ინგა გრიგოლია, თამარ სანიკიძე, ირაკლი ალასანიაა. ჯერ ამით შემოვიფარგლები. თუ არ წახვალთ, სხვებსაც გამოვამზეურებთ! ხალხმა უნდა იცოდეს, ვის უხდის ხელფასს! ვინც წავა, მათი კადრები არ დაიდება!“ – აცხადებდა მუქარის ავტორი.

ამ მუქარას მხოლოდ ინგა გრიგოლია გამოეხმაურა, რომელიც ზემოჩამოთვლილთაგან ერთადერთია, რომელიც პოლიტიკოსი არ არის. გრიგოლიამ განაცხადა, რომ ამ მუქარის ავტორები ვერ დააშანტაჟებენ, ის არც 31 მარტამდე აპირებს საქართველოდან წასვლას და არც მას შემდეგ. ჰყავს შეყვარებული, ჰქონდა, აქვს და ექნება სექსუალური ცხოვრება და არც ამ ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გამო დაუთმობს რამეს შანტაჟისტებს. მოკლედ, ინგა გრიგოლიამ, მაგ ვიდეოების ტირაჟირებით ფეხებს ვერ მომჭამთო.

ინგა გრიგოლიას გარდა, ვისაც დაემუქრნენ კომპრომატების გამოქვეყნებით, არც ერთ ადრესატს ხმა არ ამოუღია, არც ის უთქვამთ, ჩვენზე არანაირი კომპრომატები არ არსებობსო და რამდენადაც ვიცი, არც თამარ სანიკიძე, არც თინა ხიდაშელი და არც ირაკლი ალასანია 31 მარტამდე საქართველოს დატოვებას არ აპირებენ. რა ხდება? რატომ დუმს ორი მინისტრი და ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი? მათ ხომ ხალხის წინაშე აქვთ ვალდებულება, გამოვიდნენ და აუხსნან, რაშია საქმე. ლოგიკურად, თუ ამ ვიდეოების ამტვირთავებს მათ შესახებ არანაირი კომპრომატი არ გააჩნიათ, უნდა გამოვიდნენ და ეს საზოგადოებას უთხრან. ჩუმად არიან? მაშინ ვიტოვებ საფუძვლიანი ეჭვის უფლებას, ვიფიქრო – მათ შესახებ მომაკვდინებელი კომპრომატები არსებობს, ეშინიათ მათი გამოქვეყნებისა და ყუჩადაც იმიტომ არიან. სხვა, უფრო ლოგიკური ვარაუდის საფუძველს, მათი ეს დუმილი არ მაძლევს.

ვნახოთ, ვის და რას გამოუქვეყნებენ, 31 მარტიც მალე მოვა და გამართლდება თუ არა ჩემი ვარაუდი, ესეც გამოჩნდება. აქვე შეკითხვა „ვიდეოტერორისტს“: გრიგოლიამ გიპასუხა, ახლა რას აპირებ, 31 მარტს დაელოდები, ამ დღეებში გამოუქვეყნებ ვიდეოს, თუ მის ატვირთვაზე საერთოდ უარს იტყვი, რადგან გამოძიებაში „ეფბიაი“ ჩაერთო და შეიძლება გაგშიფრონ?

ახლა ისევ ინგა გრიგოლიას მინდა დავუბრუნდე. ინგას ქმარი არ ჰყავს და თუ ვიდეოები გამოუქვეყნეს, ეს ქმრისა და ოჯახის ღალატში არ ჩაეთვლება. მოკლედ, თავისუფალი ქალია და მორალთან სუფთაა, ენა ვერავის მოუბრუნდება, რომ გაკიცხოს. სულ სხვა საკითხია დაოჯახებული პოლიტიკოსი, რომელსაც ხალხის წინაშე მორალური ვალდებულებები გააჩნია და მე პირადად, ასეთები ხელისუფლებაში არ მჭირდება.

ხელისუფლება და ოპოზიცია, ქართველი პოლიტოლოგები ამ სექსვიდეოების გამოქვეყნების შემდეგ, ერთ ხმაზე გაჰყვირიან, რომ ეს არის უზნეობა, ტერორი კონკრეტული პიროვნებების მიმართ, დაინგრევა ოჯახები და ა.შ. ცხადია, ეს სადავო არ არის, რამდენი ოჯახი დგას დანგრევის პირას, რამდენს გაუმწარებენ მშვიდ და დალაგებულ ცხოვრებას, კაცმა არ იცის. კი, საქმე დიდ ადამიანურ ტრაგედიებთან გვაქვს და სავარაუდოდ, კიდევ გვექნება. თუმცა, ამჯერად ოპოზიციის აზრი არ მაინტერესებს, აი, ყოფილი ოპოზიციის, ანუ დღევანდელი ხელისუფლების წევრების ამ პოზიციით, სიმართლე გითხრათ, გაოგნებული ვარ.

„ალია“ და „კვირის ქრონიკა“ წლების მანძილზე წერდა პრეზიდენტ სააკაშვილის და მისი გუნდის წევრების აღვირახსნილი ცხოვრების შესახებ, მის მიერ მეუღლის ღალატის ფაქტებზე... ყველას ვერც ვიხსენებ და ვერც ჩამოვთვლი, „ნაცმოძრაობის“ ბევრი პოლიტიკოსის შესახებ ვწერდით კონკრეტული სექსუალური აღვირახსნილობის ფაქტებზე. სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი ოპოზიციის ლიდერები, ანუ დღევანდელი ხელისუფალნი ტაშს გვიკრავდნენ, – ყოჩაღ, დაწერეთ ამ უზნეო პოლიტიკოსების სექსუალური თავაშვებულობის შესახებ, ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს, რა უზნეო ხელისუფლება გვყავს, რა ამორალური ხალხი მართავს ამ ქვეყანასო. თან საზოგადოებას მოძღვრავდნენ, რომ პოლიტიკოსი უმწიკვლო უნდა იყოს, სხვაგვარად, ის პოლიტიკაში გასაჩერებელი აღარ არის, ქართული ოჯახის ღალატი, ეს ოჯახური ტრადიციების საფუძვლის შერყევააო.

**სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი ოპოზიციის ლიდერები ტაშს გვიკრავდნენ, – ყოჩაღ, დაწერეთ ამ უზნეო პოლიტიკოსების სექსუალური თავაშვებულობის შესახებ, ქართველმა ხალხმა უნდა გაიგოს, რა უზნეო ხელისუფლება გვყავს, რა ამორალური ხალხი მართავს ამ ქვეყანასო... იგივე პოლიტიკოსები, უკვე ხელისუფალნი, სხვაგვარად აჟღურტულდნენ. როცა ერთ-ერთი, ყოფილი მაღალჩინოსანი ქალბატონის სექსის ვიდეო**

დღეს, იგივე პოლიტიკოსები, უკვე ხელისუფალნი, სხვაგვარად აჟღურტულდნენ. როცა ერთ-ერთი, ყოფილი მაღალჩინოსანი ქალბატონის სექსის ვიდეო აიტვირთა სოციალურ ქსელში, მაშინვე აწიოკდნენ, – ეგ როგორ შეიძლება, ადამიანს მთელ ცხოვრებას უნგრევთ, მაგ ქალს შვილები და ქმარი ჰყავს და ჯოჯოხეთი დააწიეს თავსო. კაცო, ველარ გავიგე. თუნდაც სანდრა რულოვსს, რა, ძალიან სიამოვნებდა იმ სექსუალური ხასიათის ინფორმაციების გამოქვეყნება, რომელთაც არა მხოლოდ ჩვენ ვაქვეყნებდით, თქვენ კი ტაშს გვიკრავდით? მაშინ მორალი სხვა რამე იყო და ახლა სხვაა? რა მნიშვნელობა აქვს, უზნეო და პირდაპირ ვიტყვი, ოჯახის მოღალატე მინისტრი სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილისა? უზნეო პოლიტიკოსები, მეტადრე, მინისტრები, დეპუტატები, რომელთაც ამ ქვეყნის ბედი აბარიათ, დიახაც, უნდა ვამხილოთ, მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ხელისუფლებას წარმოადგენენ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ამ უზნეო ადამიანების შესახებ, მე თუ მკითხავთ, ის სექსვიდეოებიც უნდა ნახოს ხალხმა, რომ მერე ამ ამორალურმა პოლიტიკოსებმა ტელევიზიებიდან მორალი არ უკითხონ ხალხს. ბოზობა გინდა? ერთი ადგილი ვერ დაგიოკებია? წაეთრიე პოლიტიკიდან და თუ გინდა ყირაზე გივლია. უზნეო და ამორალური ხალხი კი უნდა მოშორდეს ქართულ პოლიტიკას, დაუოკებელი ვნების გამო ოჯახის დამანგრეველი, ხალხსაც გაყიდის, ხალხის ინტერესებსაც დაიკიდებს ფეხებზე, ისევე, როგორც საკუთარი ოჯახი დაიკიდა და გაიმეტა.

ყოფილი ოპოზიციონერებისა და დღევანდელი ხელისუფლების წევრების ეს ორმაგი სტანდარტი, ეს სახეცვლილება საფუძვლიან ეჭვს მიჩენს – ამათ შესახებაც ხომ არ აქვთ „ნაციონალებს“ ძველი სექსუალური და სხვა სახის კომპრომატები, ერთი ადგილი ამათაც ხომ არ უთახთახებთ და იმიტომ ხომ არ არიან იმის მოწინააღმდეგენი, რასაც ადრე თავგამოდებით უჭერდნენ მხარს? გამორიცხული ნამდვილად არ არის. არა, კარგია რა – სააკაშვილის ხელისუფლებაში ბოზები რომ იყვნენ, ისინი უნდა გემხილებინათ და დღეს, ხელისუფლებაში ჩვენ ვართ და კრინტი არ დაძრათო? ლამის ტაბუ დაგვიწესონ.

ჩვენს პოლიტიკოსებს როცა სჭირდებათ, დასავლეთის მოშველიება უყვართ მაგალითებად – აი, ევროპა-ამერიკაში ასე და ასეაო. ახლა მე მოვიყვან იმ დასავლეთს მაგალითად. აი, იმ ჩვენი ყოფილი ექსმაღალჩინოსანი ქალის სექსვიდეო აქ რომ გამოქვეყნდა, ეგ დასავლეთში, ამერიკაში ან ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში რომ მომხდარიყო, იმ ქალს ხომ ჯვარს აცვამდნენ და მთელ მის პოლიტიკურ გუნდს, სამუდამოდ თუ არა, კარგა ხნით შეაქცევდა ზურგს საზოგადოება, რადგან იმ დასავლეთში, მეუღლისა და ოჯახის ღალატი მიუტევებელი ცოდვაა და მით უფრო, პოლიტიკოსისთვის. '

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, ვითომ ამ ექსმინისტრ ქალბატონსა და მათ, ვისი ვიდეოების გამოქვეყნებასაც აპირებენ, სოლიდარობას უცხადებენ და სოციალურ ქსელში ერთი ამბავია ატეხილი – სექსი დანაშაული არ არის, ადამიანს, ვისაც ვისთან უნდა, იმასთან უნდა ჰქონდეს სექსიო. არა, სექსი დანაშაული ნამდვილად არ არის, თუ თავისუფალი ხარ, ოჯახური ერთგულების ტვირთი არ გაკისრია. აი, თუ დაოჯახებული ხარ, თანაც პოლიტიკოსი და სექსი ქმართან და ცოლთან კი არა, სხვასთან გაქვს, ეს დანაშაულია, ღალატი და ამორალობაა.

თუ ბოლოს გამოქვეყნებული ვიდეოს თანმხლებ წარწერას ვერწმუნებით, შანტაჟისტები არამხოლოდ ჩვეულებრივი სექსუალური ხასიათის ვიდეოების გამოქვეყნებას აპირებენ. აკი მათ მუქარაშიც ნათქვამია, რომ გამოქვეყნდება ვიდეოები „სექსუალური აღვირახსნილობის, ორიენტაციისა და ნარკოთამაშების შესახებ!“ ასევე, კულუარულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ არამხოლოდ ამგვარი ხასიათის ვიდეოების ტირაჟირებას დასჯერდებიან. ასე რომ, რადგან გამოძიებაში „ეფბიაი“ ჩაერთო, ბევრი თავს ნუ დაიმშვიდებს, მეტადრე პოლიტიკოსები „ქართული ოცნებიდან“, რომ მათ შესახებ მხოლოდ სექსვიდეოები არსებობს და თუ გამოუქვეყნეს, მხოლოდ მეუღლებთან ექნებათ საქმე მოსაგვარებელი და დანარჩენი თავისთავად ჩაიფარცხება. არა, ეგრე არ იქნება, არჩევნები მოდის და უზნეო, აღვირახსნილ, მოღალატე ადამიანებს ხმას მხოლოდ მათსავით უზნეო ადამიანები თუ მისცემენ. ამიტომ ხომ არ გაკანკალებთ, ამიტომ ხომ არ ატეხეთ ისტერიკა?

## უცხოელი დიპლომატები ფარული ჩანაწერების გავრცელების საკითხზე საგანგებო განცხადებას ავრცელებენ




ელჩების სამუშაო ჯგუფი შეშფოთებულია ბოლო დროს გავრცელებული ფარული ჩანაწერების გამო.

– ვგმობთ მსგავსი ბოროტი განზრახვების ყველა ფორმას და მივესალმებით პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების მხარდასაჭერად გაკეთებულ მკაცრ განცხადებებს. ელჩების სამუშაო ჯგუფი მიესალმება ქართველი ხალხის მიერ გამოხატულ მტკიცე სოლიდარობას მსგავსი ქმედებების წინააღმდეგ. ახლა კი, ეფექტური, გამჭვირვალე და დაჩქარებული გამოძიება უმნიშვნელოვანესია იმისთვის, რომ ეს საკითხი ბოლომდე გადაიჭრას მაშინ, როდესაც საზოგადოება ჩართულია კონსტრუქციულ დიალოგში ადამიანის უფლებებისა და პირადი ცხოვრების უფლებების დაცვის საკითხში, – ნათქვამია გაეროს ოფისის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (pia.ge)

## ლადო პაპავა პატრიარქს შეხვდა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს შეხვდა.

პაპავას განცხადებით, შეხვედრა უწმინდესის თხოვნით შედგა. პატრიარქი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებით დაინტერესდა.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, პატრიარქმა ამ მძიმე მარხვის დროს სტუდენტებს ლოცვისკენ მოუწოდა.

– პატრიარქმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თავის დამოკიდებულებას უნივერსიტეტისადმი, ახალგაზრდობისადმი, სტაბილურობისა და განვითარებისადმი. მან აღნიშნა, რომ ეს არის მძიმე მარხვის კვირა და რჩევა არის სტუდენტებისადმი, რომ ილოცონ,

– განაცხადა პაპავამ.

რექტორმა, ასევე, აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ულტიმატუმის მიუხედავად, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს.

როგორც პაპავამ აღნიშნა, ის არ თანხმდება ულტიმატუმის პირობებს და მზად არის, შეხვდეს ნებისმიერ მხარეს. (2030.news)

## სანდრო ბრეგაძე: იცით, რატომ ებრძვიან გააფთრებით ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს?

მოძრაობა „ეროვნულების“ ხელმძღვანელი სანდრო ბრეგაძე „ფეისბუკში“ ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძისადმი გამოთქმულ ბრალდებებს ეხმაურება:

– იცით, რატომ ებრძვიან გააფთრებით ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძეს? რა პატიმრების სკანდალი, რის პოლიტპატიმრები? ეს ყველაფერი ზღაპარია. 2-3 ადამიანი თუ იყო და არის, რომელიც დებატებში „ნაცებს“ არაფერს უთმობდა და თავგამოდებით იცავდა ბიძინა ივანიშვილის პოზიციებს. ჰოდა, სწორედ ამ ადამიანებს შეუტიეს და ამ ხალხს აცილებენ ხელისუფლებას. ჩემს თვალწინ რამდენიმე ხელისუფლება და პოლიტიკური ფიგურა დაღუპულა. რომ ვაკვირდები, ყველასთან ერთი სცენარი მეორდებოდა, პირველი ეტაპი მებრძოლი ხალხის დისკრედიტაცია და მოცილებაა, შემდეგ ამ ხალხის კონფორმისტებით, კარიერისტებით და მშიშრებით ჩანაცვლება ხდება. ამ ძირითად ამოცანას რომ შეასრულებენ, შემდეგ ყველაფერი სწრაფად და უპრობლემოდ მიდის. ასე გაუკეთა სააკაშვილმა ყველა თავის მოწინააღმდეგეს. აპრობირებული მეთოდი არ შეცვლილა, მეთოდი იგივეა და ღმერთმა არ ქნას, რომ იგივე შედეგი დადგეს, – წერს სანდრო ბრეგაძე. (ნიუპოსტი)

## საფრთხე ექმნება არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხს – გიორგი ახვლედიანი ვენეციის კომისიის კრიტიკულ დასკვნაზე



ინტერპარტიული ჯგუფის წევრი გიორგი ახვლედიანი აცხადებს, რომ ვენეციის კომისიის წარმომადგენლები ღიად ასახელებენ პრობლემას – რომ ხელისუფლებამ ყოველგვარი კონსენსუსის გარეშე მიიღო საარჩევნო კანონი.

„დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ უგულებელყო ვენეციის კომისია, როცა კანონი ისე მიიღო, რომ კომისიის დასკვნას არ დაელოდა.

– ვენეციის კომისიას კანონპროექტი 6 თვით ადრე უნდა გადაუგზავნო, ის გეტყვის არის თუ არა ის შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტთან, არის თუ არა რამე შესაცვლელი. როცა ვენეციის კომისიას უკვე დამტკიცებულ კანონპროექტს უგზავნი ეს არის თვალში ნაცრის შეყრაა. ეს ხელისუფლებას ძალიან ცუდად მოუბრუნდება. ვენეციის კომისია აუცილებლად მიაწვდის ამ ინფორმაციას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. ეს კი ბუნებრივად აისახება არჩევნების შეფასებაზე – შესაძლოა, დადგეს არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხი, – აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა. (ნიუპოსტი)

# როგორ იძიებენ სხვა ქვეყნებში პერსონალური ინფორმაციის გავრცელების საქმეებს – რა სირთულეებს აწყდება FBI




აშშ-ში ინტერნეტსა და მედიაში პოლიტიკოსებსა და ცნობილ პირებზე გამოქვეყნებული ვიდეო, აუდიო, ფოტომასალებისა და სხვა პერსონალური ინფორმაციის გავრცელების გამოძიების საკითხით გამოძიების ფედერალური ბიურო (**FBI**) არის დაკავებული. ამ ორგანიზაციას მსგავსი გამოძიების ჩატარების ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს.

**FBI**, რომელიც მე-20 საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა, 21-ე საუკუნეში, მაღალი ტექნოლოგიების პერიოდში, ახალი, ძალზე სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ძირითადად, ჰაკერული შეტევებისგან მათ დაცვას მნიშვნელოვნად ართულებს.

კონკრეტული მაგალითი იმისა, რამდენად რთულია მაღალი ტექნოლოგიების საუკუნეში გამოძიების ჩატარება, აშშ-ში რამდენიმე თვის წინანდელი შემთხვევაც ადასტურებს.

კალიფორნიის ქალაქ სანბერნარდინოში 2015 წლის დეკემბერში სროლის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ტერორისტები საიდ ფარუკი და მისი მეუღლე იყვნენ. სწორედ საიდ ფარუკის მობილური ტელეფონის გაშიფვრას ცდილობდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, მაგრამ კომპანია **Apple**-მა მათ ამის უფლება არ მისცა. **FBI**-ის გამომძიებლებს ვერც სასამართლო დაეხმარა, სადაც მათ სარჩელი შეიტანეს. სასამართლომ კომპანია **Apple**-ი ფედერალური ბიუროსთვის მასალების გადაცემით არ დაავალდებულა. ამერიკულ მობილურ ბრენდს კომპანია **Facebook**-მა, **Twitter**-მა და სხვა სოციალურმა ქსელებმაც დაუჭირეს მხარი. ოფიციალური ინფორმაციით, ეს საქმე ჯერჯერობით **FBI**-ის სასარგებლოდ გადაწყვეტილი არ არის.

**Apple**-ის უარი პერსონალური მონაცემების გაცემასა და მობილური ტელეფონების კადრების გამჟღავნებაზე იმით არის გამოწვეული, რომ ამ შემთხვევაში **FBI** პერსონალურ მონაცემებთან წვდომის შესაძლებლობას იღებს, რაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს არღვევს. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ეს სერიოზული პრობლემაა, როგორც ირკვევა, იმაზე უფრო სერიოზული, ვიდრე ტერორისტული შეტევების საფრთხე. **FBI**-ს ხომ ტერორისტის ტელეფონის გაშიფვრა სწორედ მოსალოდნელი ტერაქტების თავიდან ასაცილებლად სჭირდება.

კიბერდანაშაულში განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართულები განვითარებადი ქვეყნების – ჩინეთის, რუსეთის და მსგავსი სახელმწიფოების ჰაკერები. აშშ-ში მსგავსი დანაშაულის ჩადენა და შემდეგ უდანაშაულოდ მიმალვა ძალზე რთულია. ჯერ ერთი, ყველა ან თითქმის ყველა ჰაკერი ფედერალურ ბიუროს სპეციალურ მონაცემთა ბაზაში ჰყავს შეყვანილი. თანაც **IP** მისამართისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით მათი ადგილსამყოფლის დადგენა რთული არ არის. თუ საქმე ეხება სხვადასხვა უწყებაზე ჰაკერულ შეტევებს, როდესაც სპეციალური პროგრამების მეშვეობით სამინისტროებისა და უწყებების სერვერებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპარვა ხდება. მსგავსი შეტევები რამდენჯერმე განხორციელდა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და იუსტიციის სამინისტროზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ ჩინოვნიკებს სამსახურებრივი მიზნებისთვის პირადი ფოსტის გამოყენება ეკრძალებათ, ეს მაინც ხდება. მაგალითად, შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი ჰილარი კლინტონი ასეთი ქმედებისთვის რამდენჯერმე გააკრიტიკეს, რის გამოც მისი სამსახურებრივი მიმოწერა შესაძლოა, ჰაკერებს მოეპარათ. პრობლემა ისაა, რომ ჰაკერული თავდასხმების წინააღმდეგ პროგრამების არარსებობის შემთხვევაში ან მათი სიძველის დროს, ჰაკერული თავდასხმების შესახებ **FBI**-მ და სხვა სტრუქტურებმა შესაძლოა, ვერც კი გაიგონ. ასე, მაგალითად, ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ერთ-ერთ სამინისტროში არსებული კომპიუტერები და სერვერები 30 წლის წინათ არის გამოშვებული, რაც, ბუნებრივია, ჰაკერი სხვისი კომპიუტერით შევიდა ინტერნეტში, ამის დადგენაც შესაძლებელია. ინტერნეტკაფეებსა და ოფისებში ხომ უსაფრთხოების კამერებია დამონტაჟებული, ხოლო პირადი ტელეფონით მისი მფლობელის დადგენა სავსებით შესაძლებელია. თუმცა ამისთვის, როგორც ირკვევა, ხშირ შემთხვევაში კომპანიის ნებართვაა აუცილებელი.

ბოლო წლებში მსოფლიოში ყველაზე სერიოზული გამოწვევა საერთაშორისო ტერორიზმია. მაგრამ, როდესაც ტერორისტები თავის საქმიანობაში მაღალ ტექნოლოგიებს იყენებენ, ეს ორმაგად საშიში ხდება. ასე, მაგალითად, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები ცდილობენ, მოიზიდონ რესურსები, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე მასშტაბური კიბერშეტევების განსახორციელებლად. დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრ ჯორჯ ოსბორნის ინფორმაციით, ასეთ ობიექტებში ავიაციის სადისპეტჩერო სამსახურები და საავადმყოფოები მოიაზრება.

ფინანსთა მინისტრმა კიბერშეტევების პრევენციის მიზნით მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2020 წელს გააორმაგოს იმ სამსახურების დაფინანსება, რომლებიც კიბერდანაშაულის წინააღმდეგ იბრძვიან. ჯორჯ ოსბორნის გადაწყვეტილებით, აღნიშნული სამსახურების დაფინანსება 1,9 მილიარდი ფუნტი სტერლინგით გაიზრდება.

აშშ ამ დანაშაულთან საბრძოლველად კიდევ უფრო დიდი თანხის, 19 მილიარდი დოლარის გამოყოფას აპირებს.

„როიტერის“ ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტმა 2017 წლის ბიუჯეტში კიბერდანაშაულთან ბრძოლისთვის სწორედ ამდენის გამოყოფას აპირებს. ცნობისთვის, საერთაშორისო ტერორიზმთან საბრძოლველად ვაშინგტონი 2016 წელს 7 მილიარდი დოლარის დახარჯვას გეგმავს, ხოლო ზიკას ვირუსთან საბრძოლველად – 1,8 მილიარდი დოლარის.

მომხმარებელთა მიმოწერაზე სამართალდამცველი ორგანოების წვდომის საკითხი აქტუალურია არა მარტო აშშ-ში. მაგალითად, ბრაზილიაში „ფეისბუკის“ ერთ-ერთი თანამშრომელი იმის გამო დააკავეს, რომ მან ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილ პირზე პერსონალური მონაცემების გაცემაზე უარი განაცხადა. თუმცა ეს პირი მოგვიანებით გაათავისუფლეს.

კომპანიები: **Facebook**-ი, **Google**-ი, **What's up**-ი და **Snapchat**-ი მომხმარებელთა დასაცავად და მათი მიმოწერის გაშიფვრის თავიდან ასაცილებლად დამატებითი ღონისძიებების მიღებას გეგმავენ. ასე, მაგალითად, **What's up**-ი, რომელიც „ფეისბუკს“ ეკუთვნის, ხმოვან შეტყობინებებზე შიფრის დადებას აპირებს. ასევე, კოდი დაედება ჯგუფურ „ჩატებს“. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად გაართულებს ხელისუფლების მიერ დამნაშავეებისა და ეჭვმიტანილების შესახებ ინფორმაციის მოძიებას. „ფეისბუკი“ თავისი სერვერის, მესენჯერის უსაფრთხოების გაძლიერებასაც გეგმავს. **(kvira.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსი დეპუტატები თბილისში ჩამოსვლას გეგმავენ – რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გაუქმებას ითხოვს



– რუსი დეპუტატები თბილისში ჩამოსვლას გეგმავენ, – ამის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა გააკეთა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მან განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზებისთვის, რუსული მხარე გარანტიებს ითხოვს. უფრო კონკრეტულად კი რუსი დიპლომატი ამბობს, რომ უნდა გაუქმდეს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

– ჩვენი პარლამენტარები ფიქრობენ, დაესწრონ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომას, რომელიც საქართველოშია დაგეგმილი. წინ კიდევ გვაქვს დრო, მაგრამ ისევ მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთის წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები უნდა იყვნენ გარანტირებულად დაცულები ნებისმიერი გართულებებისგან, რომელიც უკავშირდება ე.წ. კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ამის გამო უკვე დაზარალდა რამდენიმე ტურისტი. ჩვენ გვჭირდება მყარი გარანტიები და უფრო უკეთესი იქნება, თუ ამ კანონს საერთოდ გააუქმებენ. ამ შემთხვევაში ჩვენი კონტაქტები უფრო გამარტივდება. ამ თემაზეც ვილაპარაკეთ. მე და ზურაბ აბაშიძე ყველაფერზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენი კონტაქტები არაოფიციალურ ხასიათს ატარებს, ამიტომაცაა, რომ არავითარ პროტოკოლს ხელს არ ვაწერთ. ვიზებთან დაკავშირებით პროგრესი გვაქვს 2015 წლის დეკემბრიდან. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ, თავისუფლად მიიღონ ვიზები და იმოგზაურონ რუსეთში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე უფრო მეტ პროგრესზე წასვლა არ შეგვიძლია. სავიზო რეჟიმის სრული ლიბერალიზაციისთვის უმთავრესად რეგიონალური და საერთაშორისო ვითარება უნდა მომწიფდეს, რადგან ტერორისტული საფრთხე ყველას გვემუქრება და უვიზო გადაადგილება რისკებს უკავშირდება, – განაცხადა კარასინმა. (პირველი რადიო)

## „ბაბაიას დაძახების“ შედეგი – თორნიკე შარაშენიძე კარასინის განცხადებას გამოეხმაურა



– გრიგორი კარასინის განცხადება „ბაბაიას დაძახების“ შედეგია – ამის შესახებ ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს.

მისი თქმით, კრემლი ხედავს რომ საქართველოში პრობლემებია, ამიტომაც კეთდება მათი მხრიდან მუქარის შემცველი განცხადებები.

– რუსეთს რაც მეტს გააბედვინებ, მერე უფრო მეტი მოუნდება. რუსეთში ხედავენ, რომ სუსტები ვართ. ისინი პირდაპირ გეუბნებიან არჩევნების წინ, არ გაბედოთ და ანტირუსული წმენდა არ განახორციელოთო – ეს იყო კარასინის მთავარი მესიჯი. თან იმუქრება, რომ პარლამენტში თუ არ მოვლენ პრორუსული ძალები, ამას არ მოვითმენთო. ნუ გვაიძულებთ, რომ ჯარები შემოვიყვანოთო. ამას ნიშნავს, როდესაც ვამბობ, რომ რაც მეტს გააბედვინებ რუსეთს, მეტი მოუნდება. ეს არის რუსეთის პრინციპი.

სპეცსამსახურებმა ბრძოლა უნდა გამოუცხადონ რუსული პოლიტიკის გატარებას. მათ შორის უნდა მიხედონ ჯაშუშებს, გავლენის აგენტებს. ხელისუფლება არ უნდა იყოს დაკავებული პოლიტიკური ოპონენტების დევნით. სახელმწიფო უნდა მოძლიერდეს, – ამბობს შარაშენიძე. (ნიუპოსტი)

## „კარასინმა სახიფათო განცხადება გააკეთა, რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს“ – ელენე ხოშტარია

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ხელმძღვანელი ელენე ხოშტარია გრიგორი კარასინის მიერ საქართველოს მიმართულებით გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება საშიშია.

– რუსეთთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. ოკუპანტ ქვეყანასთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობამ არაფერი მოგვცა. იმედია, საქართველოს ხელისუფლება მიხვდება ამას. კარასინის მხრიდან გაკეთდა ძალიან სახიფათო განცხადება, როცა საქართველოში მოახლოებულ არჩევნებზე გაამახვილა ყურადღება. ეს იყო ერთგვარი მინიშნება პრორუსული ძალებისთვის. მთავარია, ამ განცხადებაზე მოვბილიზდეთ და ვიმსჯელოთ მასზე ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან ერთად. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ხელი არ შევუწყოთ რუსეთის გეგმას ქვეყნის შიგნით მიმდინარე ქაოსური სიტუაციით – ფარული კადრების გამოქვეყნებას და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს ვგულისხმობ, – აცხადებს ელენე ხოშტარია. (ნიუპოსტი)

## მიხეილ სააკაშვილი: პოროშენკოს პარტიაში შესვლაზე უარი ვთქვი



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი გერმანულ გამოცემა **Die Zeit**-თან ინტერვიუში უკრაინის პრეზიდენტის, პეტრო პოროშენკოს შესახებ საუბრობს. მისი თქმით, მან პოროშენკოს პარტიაში შესვლაზე უარი თქვა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, „რატომ აკრიტიკებთ პრემიერ-მინისტრს ასე, ხოლო პრეზიდენტის შესახებ ასეთ კრიტიკას თქვენგან ვერ მოისმენ", სააკაშვილი პასუხობს:

– ეს ასე არაა. მე სახალხოდ გამიკრიტიკებია როგორც იაცენიუკი, ასევე, პოროშენკო. უბრალოდ, ასე აშკარად პოროშენკოს თავს არასდროს დავსხმივარ.

მე უკვე დიდი ხანია, მოვითხოვ, რომ პოროშენკომ გენერალური პროკურორი ვიქტორ შოკინი თანამდებობიდან გადააყენოს. გარდა ამისა, არიან დეპუტატები, რომლებიც პრეზიდენტის გუნდს ეკუთვნიან, თუმცა პარლამენტში არ უნდა იყვნენ, რადგან ძველ გვარდიას მიეკუთვნებიან. ოდესაში, პოროშენკოს პარტიის წევრები, რეფორმების ეფექტიანად განხორციელებაში მეწინააღმდეგებიან. დაბოლოს, მე უარი ვთქვი პოროშენკოს პარტიის წევრობაზე, – აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი. (ipress.ge)

## „კარასინი გონიერი კაცია... ელოდეთ შიდა შეტევებს თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ"



ჟურნალისტი ირაკლი ტაბლიაშვილი გრიგორი კარასინის ხმაურიან განცხადებებს „ფეისბუკის" საშუალებით ეხმაურება და წერს:

– კარასინი გონიერი კაცია... და უფრო გონიერი, უფრო ზუსტად, მზაკვარი კაცი უკან ჰყავს – თბილისელი რომ გგონიათ, ის ლავროვი, სწორედ.

ჰოდა, ამ მზაკვართა გათვლა ასეთია – ჩვენ თუ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა გვსურს, მაშინ უნდა შევწყვიტოთ ანტირუსული რიტორიკა...

ეს გზავნილია არა ჩვენი – საზოგადოების მისამართით, არამედ მათთვის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს.

ელოდეთ შიდა შეტევებს თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ დამოუკიდებლად იმისა, მოგწონთ თუ არა (ან აღიარებთ თუ არა) მათ პროდასავლელ ლიდერებად, – წერს ტაბლიაშვილი. (პირველი რადიო)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# თსუ-ს სტუდენტების 4 ახალი მოთხოვნა

## რას დაჰპირდა განათლების მინისტრის მოადგილე სტუდენტებს?





უძილო ღამეები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გრძელდება. გასული ღამის განმავლობაში, თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რექტორს, განათლების სამინისტროსა და „აუდიტორია №115"-ის წარმომადგენლებს შორის შეთანხმება ვერ შედგა. რექტორმა და მინისტრის მოადგილე გია შარვაშიძემ თვითმმართველობის წევრებს შეხვედრაზე ის მოთხოვნები გააცნეს, რომლებზეც „აუდიტორია 115"-ის წარმომადგენლებთან შეთანხმდნენ. სტუდენტების მოთხოვნები კი შემდეგი იყო:

1. თუ თვითმმართველობის წევრები, რომლებიც ძალადობენ და შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, გავლენ უნივერსიტეტიდან, ჩვენც მზად ვართ, წამოვიდეთ კომპრომისზე და აღვადგინოთ სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში;

2. სამინისტრო სტუდენტებს დაეხმაროს თვითმმართველობის რეფორმირებაში;

3. სტუდენტებმა რექტორისგან ითხოვეს პირობა, რომ შეკრებებისთვის და სამუშაო პროცესისთვის პერიოდულად გამოიყენონ აუდიტორია №115, სადაც ჩაეყარა საფუძველი მათ პლატფორმას;

4. უმოკლეს დროში პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის ე.წ. ოდეერების საკითხს.

სტუდენტებმა გია შარვაშიძისგან მიიღეს დაპირება, ასეთი კომისია შეიქმნება.

ამ შეთანხმების შემდეგ, „აუდიტორია 115"-ის წევრები პირობას დებდნენ, რომ მას შემდეგ, რაც მემორანდუმს მიიღებდნენ, იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობის ორგანიზებული აქციის მონაწილეებიც დატოვებენ უნივერსიტეტს, აუდიტორიას დაასუფთავებდნენ და დაიშლებოდნენ.

ეს ყველაფერი 15 მარტს გვიან ღამით ხდებოდა, თუმცა შემდეგ შეხვედრაზე, რომელიც მოპირდაპირე, რექტორატის ფრიგელში შედგა, უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა ისაუბრა თვითმმართველობის შევიწროებასა და ჩაგვრაზე და გადაჭრით განაცხადა, რომ მათი მხრიდან კომპრომისი არ იქნება და დარჩებიან შენობაში, სანამ რექტორი არ გადადგება. ამ მოთხოვნის შესრულებამდე ის თავად გაგრძელებს შიმშილობას. სხვა დანარჩენ საკითხებსა და რეფორმებზე კი თვითმმართველობამ შეხვედრაზე მზადყოფნა გამოთქვა. დისკუსიის ბოლოს ვლადიმერ პაპავასა და მინისტრის მოადგილის პოზიცია თითქმის იდენტური აღმოჩნდა და უნივერსიტეტში მსგავსი ქაოსის და უკანცლერობის პირობებში რექტორის გადადგომა, სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავების მცდელობად შეფასდა.

16 მარტის დილა მშვიდობიანად გათენდა, უნივერსიტეტის პირველი სართულის სხვადასხვა ფლიგელში კვლავ დარჩნენ სტუდენტები, სხვა ნაწილს კი ისევ საპატრულო პოლიცია აკონტროლებდა, რომელიც უნივერსიტეტის შინაგანაწესს, სენატის და კანცლერის არჩევის წესს ისე დაებნია, ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, სტუდენტთა რომელი მხარე იყო მოთხოვნებში სამართლიანი და რატომ უნდა გადამდგარიყო ან არ უნდა დაეტოვებინა პოსტი რექტორს.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის ღამისმთეველთა რიგებში ძირითადად სხვადასხვა უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები იყვნენ, მოგვიანებით კი საბოლოოდ ღამე სულ ხუთიოდე მათმა წარმომადგენელმა გაათენა. დილით კვლავ დაანონსდა აქცია ორივე მხრიდან. თსუ-ში საპატრულო პოლიცია უკვე იარაღიანმა კრიმინალურმა შეცვალა. ამან და რამდენიმე „დუბინკიანი" სამართალდამცავის გამოჩენამ, თავიდან თითქოს დაძაბა სტუდენტები, თუმცა საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ პოლიციასთან კონფლიქტს მაქსიმალურად მოერიდებოდნენ და პროტესტს კვლავ მშვიდობიანად გააგრძელებდნენ.

თუმცა „აუდიტორია №115"-ელებისთვის აქტუალური იყო კითხვა, მინისტრ სანიკიძესთან შეხვედრის შემდეგ თვითმმართველობის თითქოს შერბილებული პოზიცია რატომ გახდა მოგვიანებით კვლავ ხისტი? ამაზე მხოლოდ ერთი ვერსია აქვთ სტუდენტებს – თვითმმართველობის უკან ისევ ის ე.წ. ოდეერები და ადმინისტრაციის „ნაციონალი" კადრები არიან, ვისაც დღემდე მფარველობს სუს-ი და ვის ყოფნასაც უნივერსიტეტში, ერთი შეხედვით, თითქოს თავადაც აპროტესტებენ თვითმმართველობის წევრები.

მოგვიანებით, „აუდიტორია №115"-ის წევრებმა მხარდამჭერებს უნივერსიტეტის ყველა შესასვლელის „გამაგრებისკენ" მოუწოდეს, რადგან, მათი ინფორმაციით, თვითმმართველობის წევრები უნივერსიტეტის შტურმით აღებას აპირებდნენ.

„ისინი ითხოვენ რექტორის გადადგომას. დღეს ემზადებიან შტურმისთვის, მოუწოდებენ სხვა სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს და აწვდიან ინფორმაციას, თითქოს ჩვენ გვინდა თვითმმართველობის გაუქმება. სინამდვილეში ვითხოვთ რეფორმას. ამის პარალელურად, ისინი სხვა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს ეუბნებიან, რომ მათ აქვთ ე.წ. მწვანე შუქი სამართალდამცავების მხრიდან და შეუძლიათ, შემოიჭრან უნივერსიტეტში. ეს არის გამიზნული შეტევა უნივერსიტეტზე", – განუცხადა „ალიას" „აუდიტორია №115"-ელმა ირაკლი კუპრაძემ.

მოგვიანებით კი, პროფესორ-მასწავლებლების მიერ შექმნილი საინიციატივო ჯგუფის წევრები, რომელთა მიზანი სტუდენტებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილება და სიტუაციის განმუხტვაა, ორივე მხარეს რამდენიმეჯერ შეხვდნენ. „აუდიტორია №115"-ელებმა კვლავ უარი თქვეს, მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, რადგან ფიქრობენ, რომ ისინი უნივერსიტეტის საზიანო, რექტორის გადადგომის მოთხოვნას აყენებენ. თავის მხრივ, პოზიციას ისევ არ თმობენ თვითმმართველობაში.

პაატა ბახტურიძე, თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი: „ჩვენ ვუთხარით ამ პროფესორებს, მათ თამამად შეუძლიათ განაცხადონ, რომ პიკეტირება პირველი კორპუსის, აღარ არის საჭირო, რადგან ჩვენ ვართ მეორე კორპუსში გადმოსულები და მშვიდობიან აქციას ვმართავთ აქ, არანაირ დესტრუქციულ და ძალისმიერ მეთოდებს ადგილი არ აქვს. არსად შეჭრას არ ვაპირებთ. შესაბამისად, კვლავ ვაგრძელებთ აქციას რექტორის გადადგომის მოთხოვნით, მას მივეცით დრო ორ საათამდე, მაგრამ კვლავ უარს აცხადებს გადგომაზე, ჩვენ სტუდენტებთან გასაყოფი არაფერი არ გვაქვს, თუ გადადგება რექტორი, მზად ვართ, თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, რომ გადავდგეთ და დაიწყოს რეფორმა ამ კუთხით".

გუშინ, დღის პირველ ნახევარში უნივერსიტეტის რექტორი პატრიარქის თხოვნის შემდეგ მასთან მივიდა და განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა პაპავამ განაცხადა, პატრიარქი მოუწოდებს სტუდენტებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე და სურვილის შემთხვევაში, საღამოს 18:00 საათზე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაიბარა. სტუდენტებმა კი, როგორც „ალიასთან" საუბრისას თქვეს, ამ თემაზე მსჯელობა ვერ მოახერხეს, რადგან მათი ერთი ნაწილი შენობის გარეთაა.

„თვითმმართველობა უარს არ ამბობს რექტორის გადადგომის მოთხოვნაზე და ჩვენ ჯერჯერობით ვერ დავტოვებთ აუდიტორიას, რადგან შიგნით აღარავინ შემოგვიშვებს, არადა მთელი დღის მანძილზე განვიხილავდით აუდიტორის დატოვების საკითხს, თუმცა მათ ვერ მივცემთ რექტორზე ზემოქმედების ბერკეტს ხელში ამ ეტაპზე, არ ვიცი, რა იქნება მოგვიანებით", – მეუბნება „აუდიტორია №115"-ელი სტუდენტი.

მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი საღამოს 6 საათისთვის განათლების სამინისტროში გაგრძელდა, სადაც მინისტრთან შესახვედრად აკადემიური საბჭოს სრული შემადგენლობა და რექტორი ვლადიმერ პაპავა მივიდნენ, თუმცა შეხვედრა რექტორმა მალე დატოვა.

მინისტრის განცხადებით კი, აკადემიური საბჭო არის ის ორგანო, რომელმაც უნდა ისაუბროს, რექტორის ყოფნა-არყოფნის საკითხზე, რადგან მათ დემოკრატიული გზით აირჩიეს რექტორი, თუმცა სანიკიძემ გაიზიარა რექტორის პოზიცია, რომელიც უკვე მერამდენე დღეა, გადაჭრით ამბობს, რომ ვალდებულია, დარჩეს პოსტზე და დააბრუნოს უნივერსიტეტი ნორმალურ რეჟიმში, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა მინისტრმა საბჭოს წევრებს დაუტოვა. შეხვედრის შედეგად, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ რექტორის საკითხზე მსჯელობისთვის გონივრული ვადა ითხოვა, თუმცა მათ კონკრეტული ვადა არ დაუსახელებიათ, საბჭოს წევრები, საკითხს მოგვიანებით რექტორთან განიხილავენ.

თსუ-ში განვითარებულ პროცესებს კვლავ გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი და სტუდენტებს სთხოვა, მისცენ ხელისუფლებას უმაღლესი განათლების ფუნდამენტური რეფორმების გატარების შესაძლებლობა: „არ შეიძლება ასეთი დაძაბულობის რეჟიმში და ესკალაციების ფონზე რაიმე გადაწყვეტილების მიღება, ვიზიარებ სტუდენტების პროტესტს და კი არ მოვუწოდებ, ვთხოვ მათ, რომ მოგვცენ ნორმალურ რეჟიმში რეფორმების განხორციელების საშუალება". – განაცხადა კვირიკაშვილმა.

თვითმმართველობის წევრებმა კი კონსულტაციების შედეგად, რომელიც, სავარაუდოდ, მათი უკან მდგომ ძალასთან გაიმართა, ვლადიმერ პაპავას რექტორის პოსტის დატოვების ულტიმატუმი ღამის თერთმეტ საათამდე გაუგრძელეს.

## ბერძენიშვილი: ფარული ჩანაწერების საქმის გამოძიება შესაძლებელია, რადგან ეს კენედის მკვლელობა არ არის



პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, ინტერნეტში გავრცელებულ პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიებაა ჩასატარებელი, ხალხია საპოვნელი და დასასჯელი.

როგორც ბერძენიშვილი აცხადებს, ამ ქმედებების განხორციელების შემდეგ შესაბამისი კანონის გამკაცრებაზეც შეიძლება საუბარი.

– ახლა კანონის გამკაცრებაზე საუბარი, მგონია, რომ პრობლემისგან გაქცევაა. არსებული კანონები საკმარისია იმისთვის, რომ სათანადოდ დაისაჯოს ის, ვინც ეს გააკეთა. ეს სისტემური დანაშაულია და არ არის ერთი კაცის, ან ხუთი კაცის აკვიატება.

ეს საქართველოს სახელმწიფოს კატასტროფული მდგომარეობაა, როდესაც ვიღაცას ჰგონია, რომ შეგვიძლია, ასე ვიცხოვროთ და ერთმანეთი ტერორში ვამყოფოთ. ამ ყველაფერს ვინ ამზადებდა, ხომ ვიცით? საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, ის ორგანიზაცია სახელებითა და გვარებით ვიცით, რომელიც ამ სიბინძურით იყვნენ დაკავებული. ამ ყველაფერს ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო უნდა მოეღოს. ამის გამოძიება შესაძლებელია, რადგან ეს კენედის მკვლელობა არ არის, – დასძინა ბერძენიშვილმა. (ინფო9)

## ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატის თქმით, ტექნიკის მითვისებას კიკაბიძე და გადაბაძე აპირებენ

„მაესტროს" გენერალური დირექტორის ადვოკატის განცხადებით, ყოფილი დირექტორის ბაია გადაბაძის განცხადება, რომ გაჩეჩილაძე ტექნიკის ძალისმიერი მეთოდებით მითვისებას გეგმავს, სიმართლეს არ შეესაბამება. ირაკლი კორძახიას თქმით, ტექნიკა ისედაც ლევან გაჩეჩილაძეს ეკუთვნის და ის მხოლოდ სამართლებრივი მეთოდებით ბრძოლას აპირებს.

– ტექნიკა ისედაც „მაესტროს" საკუთრებაა, ინახება იჯარით აღებულ შენობაში, შესაბამისად, არსად წაღების აუცილებლობა არ არის. რაც შენია, იმას ვერ მიითვისებ. ამ შემთხვევაში, სხვა რაღაც ხდება. კიკაბიძე და გადაბაძე აპირებენ ტექნიკის მითვისებას და ამის გამოყენებით უნდათ მაუწყებლობის განხორციელება, – აცხადებს ირაკლი კორძახია. (pia.ge)

## საუკეთესო რეგიონული ბანკნოტი — განახლებულმა ლარმა საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა



განახლებულმა ლარმა საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა.

2016 წლის 15 მარტს ბუქარესტში **HSP Europe™**-ის კონფერენციაზე ორგანიზებულ დაჯილდოების ცერემონიალზე ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მასშტაბით საუკეთესო რეგიონული ბანკნოტის ნომინაციაში „2016 წლის საუკეთესო რეგიონული ბანკნოტი“ ლარის განახლებული ბანკნოტების სერიამ (20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები) გაიმარჯვა.

წელს ნომინაციაზე „2016 წლის საუკეთესო რეგიონული ბანკნოტი“ წარდგენილი იყო:

–'ახალი 20 ევრო – ევროპის ცენტრალური ბანკი

–'შვედური კრონის ახალი სერია – შვედეთის ცენტრალური ბანკი

–'ახალი 20 000 ფორინტი – უნგრეთის ცენტრალური ბანკი

–'ახალი 200 შეკელი – ისრაელის ცენტრალური ბანკი

–'20 000 ტენგე – ყაზახეთის ცენტრალური ბანკი

–'500 გრივნა – უკრაინის ცენტრალური ბანკი

–'100 რუბლი საიუბილეო ბანკნოტი – რუსეთის ცენტრალური ბანკი

–'ბანკნოტების სერია – ბელორუსის ცენტრალური ბანკი

–'ლარის განახლებული სერია 20, 50 და 100 ლარი – საქართველოს ეროვნული ბანკი. (პირველი რადიო)

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოშიმშილე პროფესორების რიცხვი ხუთამდე გაიზარდა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოშიმშილე პროფესორების რიცხვი 5-მდე გაიზარდა. როგორც პროფესორები აცხადებენ, მათ შიმშილობა 15 მარტს დაიწყეს და მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე არ შეწყვეტენ.

მათი მოთხოვნაა, შეწყდეს თსუ-ს რექტორ ვლადიმერ პაპავაზე ზეწოლა და არ დატოვოს მან თანამდებობა.

მოშიმშილე პროფესორები თამარ დოლიძე, მანანა ხარხელი, გიული ქეშელაშვილი, მანანა ტაბატაძე და იზოლდა ჭილაძე რექტორის კაბინეტთან არიან შეკრებილები. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



„რუსთავი 2“-ის გადაცემა „X ფაქტორის“ კულისებში რომ დიდი განუკითხაობაა, ამის შესახებ არაერთხელ გამხდარა ცნობილი. პროექტის მორიგი სეზონი ეთერში ჯერ არ გასულა, თუმცა ერთ-ერთი ჩაწერისას უკვე დაფიქსირდა ყოვლად მიუღებელი, გაუმართლებელი და თავხედური ფაქტი. დიდი გაუშვეს სხვა რამის ამოსატანად, – არ გვაინტერესებს, ალერგია აქვს თუ რა აქვს, თუ შია, ჭამოსო. არც ინტერვიუ გადაუღეს, როგორც ვილაცებს ალაპარაკებდნენ. აურჩიეს ისეთი სიმღერა, რომელსაც არაფერი განსაკუთრებული ვოკალური მონაცემების გამომჟღავნება არ სჭირდება, ბავშვს ლირიკული სტილი და ხმა აქვს და აურჩიეს არამომგებიანი სიმღერა რიანას რეპერტუარიდან. ბავშვმა ამ სიმღერის გამოიყენეს.

— **სხვა კონკურსანტებმა სცენაზე ხომ ის იმღერეს, რაც მათ უნდოდათ და რა ჟანრშიც თავს კარგად გრძნობდნენ?**

– კი, აღმოჩნდა, რომ სხვა ბავშვებმა ყველამ თავისი სიმღერა აირჩია და ჩაწერის დროს ძალიან კარგად ჩანდა, ვის აურჩიეს და ვის – არა. ახლა კიდევ მთავარი: სცენაზე გასვლამდე კიდევ მოხდა რაღაც ინციდენტი, რის გამოც ანასტასიას უარის თქმა უნდოდა გამოსვლაზე, რეთ, მოსაცდელში. რომელიღაც მონაწილეს შეცოდებია, უთქვამს – შევიდეთო. შესულან და ამ გვანცას რომ დაუნახავს, მონაწილეების თვალწინ ისევ გამოუძევებია კულისებიდან. ანასტასიას უტირია ამ ყველაფრის გამო, ვილაც იქ მომუშავე ქალს დაუნახავს, შესცოდებია და პროდიუსერისთვის უთქვამს მასზე, იმ პროდიუსერს კი აუყვანია ანასტასია და მონაწილეებისგან და გვანცასგან იზოლირებულად დაუსვამს

# „X ფაქტორს“ მონაწილეების დაჩაგვრაში ადანაშაულებენ

**„ყოვლად მიუღებელია მოზარდის მიმართ ასეთი მოპყრობა და არავის აქვს უფლება, ბავშვი ასე მასხრად აიგდოს და სულში ჩააფურთხოს!“**





ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ წინასწარ ხდება მონაწილეების „გაწირვა“ და მათი გაგდებით იდგმება შოუ, რომელსაც შემდეგ მთელი საქართველო უყურებს...

სწორედ ასეთი უსამართლობის მსხვერპლი გახდა „X ფაქტორის“ შესარჩევი ტურის ერთ-ერთი მონაწილე, ანასტასია ღვინიანიძე, რომელიც სცენაზე გამოსვლის შემდეგ სტრესულ მდგომარეობაშია.

**„ალიას“ ანასტასიას დედა, ნინო ნაკვეთაური ესაუბრა:**

– მივიდა ბავშვი „იქს-ფაქტორის“ კასტინგზე, აარჩიეს, დაურეკეს, იყო ჩაწერები და ეს კიდევ ცალკე თემაა, რაც ხდებოდა – ეს იყო რაღაც საშინელება, 9-10 საათი ჰყავდათ ასე მშიერი ბავშვები. მერე ანასტასიას ძმამ – ჯარჯიმ ლობიანი მიუტანა, მაგრამ ანასტასიას ხახვზე ალერგია აქვს და ვერ შეჭამა, ჯარჯიც არ სხვა ვერსია შესთავაზა, ეს მაინც მამღერეთ, რომ ჩემი მონაცემები გამოვამჟღავნო, თან უფრო ეფექტურიაო, მაგრამ უარი უთხრეს. ამათ ნაკლებად აინტერესებდათ მისი ვოკალი და ამიტომ, რა თქმა უნდა, აუკრძალეს. როცა ამხელა სცენაზე პირველად გადიხარ, თან იცეკვო, თან იმღერო, თან ის სიმღერა, რომელიც არ გინდა და რომელსაც გაძალებენ, რთულია, მაგრამ სხვა გზა არ იყო, რადგან ჩვენ ხელშეკრულება არ გვქონდა სახლში წამოღებული, არ ვიცოდით, რა ეწერა შიგნით, რისი უფლება გვქონდა. ბავშვს ხელი მოაწერინეს, მაგრამ არანაირი ასლი სახლში არ მოუტანია... ალბათ, აიყვანეს იმისთვის, რომ ყოფილიყო ლამაზი გოგო და როგორც ჩანს, გადაწყვიტეს ასეთი იმიჯი შეექმნათ – ლამაზი გოგო მოვიდა და პირს რომ გააღებს, საერთოდ ვერ მღერისო და მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზია, აი, ნახეთ, ჩვენთან ვერ „ქაჩავს“, თუ სიმღერა არ იცისო. ისე გამოვიდა, რომ ბავშვს არც იმის მღერის საშუალება მისცეს, რაც უნდოდა და მისი გარეგნობაც სათავისოდ მაგრამ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა უფლება, ბოლო წუთებში უარი ეთქვა, რადგან ხელშეკრულება ხელში საერთოდ არ გვჭერია და არ ვიცი, რატომ არ მოგვცეს მისი ასლი. ბავშვს შეეშინდა, – ახლა რომ გასვლაზე უარი ვთქვა, ამის გამო დიდი ჯარიმა არ გადაახდევინონ დედაჩემსო და იძულებული იყო, გამოსულიყო. არც ისე დიდი ხნის წინ ქიმიოთერაპიის კურსები ჩავიტარე, მკერდის სიმსივნე დამიდგინეს და სიკვდილს ძლივს გადავურჩი, გვაქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი და ამ ყველაფრის ფონზე როგორ წარმოგიდგენიათ ჯარიმის გადახდა? ანასტასიას, რეალურად, ჩემი გახარება უნდოდა თავისი წარმატებით, მაგრამ ვინ აცადა?!

დავუბრუნდები ისევ ჩაწერის დღეს: ანასტასია, სხვა ბავშვებთან ერთად, კულისებში იდგა, სანამ სცენაზე გამოვიდოდა. ვინმე გვანცა ყოფილა იქ მომუშავე გოგონა, რომელსაც უთქვამს, აქ რატომ დგახარო, ბავშვს გაჰკვირვებია, აბა, სად დავდგე, შუაშიო? შუაში კი არა, თუ მომინდა, საერთოდ გარეთ დადგებიო, უთქვამს. ანასტასიას გაუპროტესტებია მისი ეს ნათქვამი, რის გამოც იმ გვანცამ თავის კოლეგას გააყვანინა გათავისთან ახლოს. ასეთი ანერვიულებული და ნამტირალევი გადის სცენაზე ბავშვი, რომელიც ხვდება, რომ უკვე ვერაფერს ველარ შეცვლის, ბოლო ძალები მოიკრიბა და სცენაზე გავიდა. ამ ყველაფრის შემდეგ, გამოვიდა ანასტასია სცენაზე და ბუნებრივია, ვერ იმღერა ისე კარგად, როგორ კარგადაც ზოგადად მღერის.

— **რას აპირებთ?**

– ალბათ, ყველამ იცის, რა ხდება რეალურად გადაცემის ჩაწერისას და მანამდე, მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა ამოიღოს ამაზე ხმა? მე მარტო ჩემს შვილზე არ ვდარდობ, მე სხვისი შვილებიც მედარდება, რომლებიც ცხოვრების პირველ ნაბიჯებს დგამენ და ვილაც მათ სულებზე ტალახიანი ფეხებით დასეირნობს თავისი შოუს გასაკეთებლად! ჩივილს არ ვაპირებ, რადგან არ მგონია, ამას შედეგი მოჰყვეს, მაგრამ „ფეისბუკში“ დავდე სტატუსი ამ ამბავზე, უამრავი გაზიარება და კომენტარი აქვს. ნამდვილად არ ვაპირებ ამ ყველაფერზე გაჩუმებას, რადგან ყოვლად მიუღებელია მოზარდის მიმართ ასეთი მოპყრობა და არავის აქვს უფლება, ბავშვი ასე მასხრად აიგდოს და სულში ჩააფურთხოს!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ადამიანები, რომლებზეც კომპრომატები არსებობს, უმაღლეს თანამდებობებს არ უნდა იკავებდნენ“



„ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, პოსტებიდან იმ თანამდებობის პირების განთავისუფლება უნდა მოხდეს, ვისზეც მაკომპრომეტირებელი კადრები არსებობს.

ჯონდი ბაღათურიას შეფასებით, სამარცხვინო და უზნეო საქციელია ადამიანის პირადი ცხოვრების თვალთვალი, რაც ხელისუფლების უკიდურესი ზნედაცემულობის მაჩვენებელიცაა. მისი განმარტებით, კიდევ უფრო სამარცხვინოა ფარული ჩანაწერების პოლიტიკური მიზნებისთვის და შანტაჟისთვის გამოყენება.

– არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, შანტაჟისთვის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები რა ტიპის კომპრომატებს გამოიყენებენ, ეს იქნება ქმრის თუ ცოლის ღალატის, ან რამე კორუფციული ფაქტი, არ შეიძლება ადამიანები, რომლებზეც არსებობს კომპრომატები, უმაღლეს თანამდებობებს იკავებდნენ, თუ ისინი შესაძლოა, შანტაჟის ქვეშ მოექცნენ, – აცხადებს ბაღათურია.

მისივე თქმით, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილსა და მის ხელისუფლებას აყენებს დარტყმის ქვეშ.

– აღნიშნული კადრების გამოქვეყნებით, ხელისუფლებაზე ხორციელდება დარტყმა. ხელისუფლების კომპრომეტირება ხდება, როგორც უუნარო და უსუსურის და მეორე მხრივ, ხელისუფლების წევრების კადრები ქვეყნდება. პირველ რიგში, დარტყმის ქვეშ ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება დგება. ამიტომ, ვფიქრობ, კადრების გავრცელებას ხელისუფლება არ ახორციელებს, – ამბობს ჯონდი ბაღათურია და აღნიშნავს, რომ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შეფასებისას საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია არაადეკვატური და უხერხული იყო. (pia.ge)

## სერგო რატიანი: ამ კადრებმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დაიწყო გავრცელება, რაც უკავშირდება ივანიშვილის მმართველობას



საპარლამენტო უმცირესობა „პირადი თავისუფლების ქარტიის“ შექმნის ინიციატივით გამოდის. როგორც უმცირესობის წევრმა სერგო რატიანმა აღნიშნა, საკანონმდებლო ინიციატივა 4 ძირითად პრინციპზე იქნება დაფუძნებული

– „პირადი თავისუფლების ქარტია“ – ასე ჰქვია ჩვენს საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც 4 პრინციპს ეფუძნება. აღნიშნულის მიხედვით უნდა გაუქმდეს სუს-ი, უნდა შეიცვალოს მოსმენების შესახებ კანონი და ეს კანონი უნდა დაეფუძნოს არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივას, ანუ „მოსმენების გასაღები“ გადავიდეს სასამართლოს ხელში. ასევე, უნდა შეიქმნას სააგენტო, რომელიც სამართალდამცავების ზედამხედველობას განახორციელებს და მეოთხე პრინციპი, უფლებამოსილება უნდა გაუფართოვდეს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს იმისთვის, რომ მოხდეს სამოქალაქო კონტროლი.

ბოლო 4 წლის განმავლობაში დაიწყო გავრცელება ამ კადრებმა და ეს უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის მმართველობას. ამ სტილით ოპონენტებს ელაპარაკებიან რუსი ოლიგარქები. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, როდის იყო გადაღებული ეს კადრები, გავრცელება არის ხელისუფლების სტილი, – განაცხადა სერგო რატიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## ასპინძის რაიონის მოსახლეობა ეპიდემიის ზღვარზეა

ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში საგანგაშო ვითარებაა. მოსახლეობა ეპიდემიის ზღვარზეა. მათი დიდი ნაწილი ბრუცელოზით არის ავად. ინფექცია ყოველდღიურად ვრცელდება, მიზეზი კი დაინფიცირებული პირუტყვია, რომელსაც დაავადების აღმოჩენის შემდეგ მოსახლეობა სასაკლაოზე აბარებს.

ინფექცია სწორედ ამ გზით ვრცელდება, გავრცელების კიდევ ერთი წყარო დაავადებულ პირუტყვთან კონტაქტია.

სამცხე-ჯავახეთის ფერმერები აცხადებენ, რომ პირუტყვის გავრცელებული ეპიდემია მათ შემოსავლის ერთადერთ წყაროს უსპობს.

არის ოჯახებიც, რომლებიც წლებია ეპიდემიას ებრძვიან, რადგან შესაბამისი ვაქცინა არ აქვთ.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ვაქცინაცია რამდენიმე თვეში დაიწყება. მათი თქმით, უკვე შემუშავებულია კონკრეტული პროგრამა, რომელიც სამცხე-ჯავახეთიდან დაიწყება და 3 წლის განმავლობაში დანარჩენ რეგიონებსაც მოიცავს. (ნიუპოსტი)

## ალექსი პეტრიაშვილი დაზარალებულად ამ დრომდე არ არის ცნობილი — ადვოკატი



ადვოკატ ლევან სამუშიას ინფორმაციით, „თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი ალექსი პეტრიაშვილი დაზარალებულად ამ დრომდე არ არის ცნობილი, შესაბამისად, ადვოკატი ამბობს, რომ მათ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის საშუალება არ აქვთ.

– მიუხედავად იმისა, რომ კანონიერი უფლება გვაქვს, ვიცოდეთ, რა ეტაპზეა პეტრიაშვილის მკვლელობის მცდელობის გამოძიება, ამის საშუალება არ გვეძლევა, რადგან რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ალექსი პეტრიაშვილი დაზარალებულად ამ დრომდე არ არის ცნობილი. 29 თებერვალს მოვითხოვე პროკურატურისგან საქმის მასალები, თუმცა შსსდან მომივიდა პასუხი, რომ ბატონი ალექსი დაზარალებულად არ იყო ცნობილი. დღემდე თავს ვიკავებდით ამ ინფორმაციის გავრცელებისგან. ბოლომდე გვჯეროდა, რომ შოთაძის უწყება მეტ გონიერებას გამოიჩენდა და კანონშესაბამისად მოიქცეოდა, თუმცა მთავარი პროკურატურა მის პრეროგატივას არ ასრულებს, რითაც გვეზღუდება საქმის მასალებთან წვდომა, – ამბობს სამუშია.

მისივე თქმით, გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროკურატურა ამას განზრახ აკეთებს.

– სხვა კავშირს ვერ ვხედავ, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შოთაძის უწყება განზრახ არ გვაძლევს საქმის მასალების გაცნობის საშუალებას. ეს ხდება მაშინ, როცა საქმეზე ერთ პირს ბრალი აქვს წაყენებული. მათ გადაეცათ საქმის მასალები. რა გამოდის? – პროკურატურასა და ბრალდებულის ინტერესების წარმომადგენელს საქმის მასალები აქვთ – ეს კანონიერია, თუმცა დაზარალებულ მხარეს არ გვაძლევენ საშუალებას, გავეცნოთ აღნიშნულ მასალებს, – ამბობს ადვოკატი. (ნიუპოსტი)

## უახლოესი დღეების ამინდის პროგნოზი

სინოპტიკოსები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არამდგრადი ამინდის შენარჩუნებას 21 მარტამდე ვარაუდობენ, ტემპერატურის მატება კი, 19 მარტიდან დაიწყება.

გარემოს ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, რომ მომდევნო დღეებში, წვიმიანი ამინდი შენარჩუნდება დასავლეთ საქართველოს ბარსა და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რეგიონებში, უფრო კონკრეტულად კი, გორში, ახალციხესა და ცხინვალში.

დასავლეთ საქართველოს ბარში დღისით, საშუალოდ, 6-8 გრადუსი სითბო დაფიქსირდება, ღამით კი – 2-4. აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნულ რეგიონებში, საშუალოდ, დღისით 7-9 გრადუსი სითბო იქნება, ღამით კი -2 გრადუსი ყინვა დაფიქსირდება. რაც შეეხება მთიან და მაღალმთიან რეგიონებს, აქ ნალექი მოსალოდნელია თოვლის სახით.

19 მარტიდან, შედარებით მოიმატებს ტემპერატურა, არადმგრადი ამინდები კი 21 მარტამდე შენარჩუნდება. (pia.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# თბილისის ათივე რაიონის გამგებელს პოსტებს ატოვებინებენ?



თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, თემურ თორდინავას განცხადებით, თბილისის რამდენიმე ბაგა-ბაღის დირექტორი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო თანამდებობიდან განთავისუფლდა, დაკისრებული ვალდებულებები განმეორებით დაარღვიესო. საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურს ბაღების შემოწმება ჩაუტარებია და არაერთი დარღვევა დაუფიქსირებია, უმეტესად კვებისა და საწყობის ბლოკებში. სამსახურს საკვები პროდუქტების გადამალვის ფაქტებიც დაუფიქსირებია.

სააგენტოების ინფორმაციით, თბილისის რამდენიმე რაიონის გამგებლის მოხსნაც ყოფილა გადაწყვეტილი.

**რეალურად რა მოტივით ათავისუფლებენ ბაღების გამგეებს? რის საფუძველზე იგეგმება გამგებლების განთავისუფლება და რას პასუხობს დიდუბის გამგებელი „მედიატორის“ ბრალდებებს?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი, გივი კუბლაშვილი ესაუბრა:**

– ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს პარტიული ნიშნით ადამიანების სამსახურიდან განთავისუფლება და ახალი თანამშრომლების მიყვანა პარტიული ნიშნით. რამდენიმე დღის წინ დიდუბის რაიონში გაათავისუფლეს ბაღის ორი გამგე. მათგან ერთ-ერთი – ირმა გიორგაძე, არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის, თემურ გიორგაძის და, ხოლო მეორე გამგე, ლალი ნაფეტვარიძე, დიდუბის გამგებლის ყოფილი მოადგილის, დავით ნაფეტვარიძის და, ამჟამად, „ნაციონალური მოძრაობის“, დიდუბის პარტიის თავმჯდომარის დედა. უხეშად, პოლიტიკური ნიშნით მოხდა ამ ადამიანების განთავისუფლება და მათ ნაცვლად, ჩვენი ინფორმაციით, აპირებენ „ქართული ოცნების“ პარტიული აქტივის დანიშვნას. კარგად იციან, რომ მათ არ აქვთ ის პოზიციები, რაც ჰქონდათ 2012-14 წლებში და დღეს უკვე, აი, ასე ხდება 2016 წლის არჩენებისთვის მზადება. ასე ცდილობენ გაბრაზებული აქტივისტების მომადლიერებას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ როცა ერთ ადამიანს უკეთებენ საქმეს, ამით უამრავს იპირისპირებენ, ადამიანებს, რომლებიც განთავისუფლებული ხალხის უკან დგანან.

როცა კვების ბლოკში არსებულ დარღვევებზე საუბრობს ბატონი თორდინავა, გაიხსენოს 169-ე ბაღი, რომელთან დაკავშირებითაც მშობლების არაერთი განცხადებაა შესული, რომ ბავშვებს ძველ საჭმელს აჭმევენ, მაგრამ ამ ბაღის გამგეს არ ხსნიან, იმიტომ, რომ ეს ადამიანი არის მათი პარტიული აქტივიდან დანიშნული. ჩვენს ორგანიზაციას აქვს ინიციატივა, რომ ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, თუ სასამართლო დაადასტურებს მათ არასამართლიან გადაწყვეტილებას, აუცილებლად უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა და მის მიმართ უნდა გატარდეს გარკვეული სახის სანქციები – იქნება ეს გარკვეული წლების განმავლობაში საჯარო სამსახურში მუშაობის აკრძალვა, ფინანსური სანქციები და ა.შ. იმედი გვაქვს, ჩვენს ინიციატივას განიხილავს პარლამენტი და ცვლილება შევა შრომის კოდექსში. სხვა შემთხვევაში, საქართველოში არასდროს არ დამთავრდება პოლიტიკური, პარტიული და ნათესავ-ახლობლობის ნიშნით ადამიანების განთავისუფლება.

— **პარტიული ნიშნით დანიშვნა-განთავისუფლება ყოფილი ხელისუფლების პერიოდში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკაა, რომელიც, ამ ხელისუფლებამაც კარგად მოირგო. მართლაც უნამოუსოდ იქცევიან, მაგრამ ხელისუფლებაში თქვენი ყოფნის დროსაც რომ ხდებოდა მსგავსი მოხსნა დანიშვნები, არ მახსენდება, მაშინ ამ საკითხზე ხმა ამოგეღოთ.**

– მე ვერ მეტყვის ვერავინ, რომ საჯარო სამსახურში ჩემი მუშაობის პერიოდში რომელიმე თანამშრომელი გავუშვი თანამდებობიდან. ახალი კადრების მიღება კი ყოველთვის კონკურსების გზით ხდებოდა. ვერავინ იტყვის ჩემზე, რომ მე ვინმეს საქმე „ჩავუწყვე“ ნეპოტიზმით, ან პარტიული ნიშნით. გამგეობაში წლების განმავლობაში რომ მუშაობდნენ ადამიანები, მათ თავისთავად ჰქონდათ გარკვეული სახის პარტიული შეხედულებები. ეს იყო სხვადასხვა სახის შეხედულებები და ჩვენ ამის გამო არავინ გაგვიშვია თანამდებობიდან.

— **მერიაში რა ხდება, ხომ არ იცით?**

– იგივეს აგრძელებენ, რითაც დაიწყეს „მოღვაწეობა“. იმ დროიდან, რაც ქალაქის დღევანდელი მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა, მას მერე ახალი ტექნიკის – კომპიუტერების, ფოტოაპარატების, პლანშეტების და ა.შ. შესყიდვა ვერ მოიშალეს.

დიდუბის გამგებელმაც იმავე პერიოდში იყიდა ლეპტოპები, პლანშეტები, პერსონალური კომპიუტერები და ა.შ. ამის მიუხედავად, 2016 წლის პირველივე თვეებში იმავე გამგეობამ კვლავ განახორციელა ზემოაღნიშნული ტექნიკის შესყიდვა, ხაზს ვუსვამ, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე. საუბარია ამა წლის 24 თებერვლის ხელშეკრულებაზე, რის საფუძველზეც მოხდა 10 ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის შეძენა. კარგად ვიცით, რომ გამგეობა, ტექნიკის მხრივ, გამართულად ფუნქციონირებდა მაშინ, როცა მოვიდნენ მმართველობაში. ამის მიუხედავად იყიდეს ახალი ტექნიკა 2013-ში, დამატებით იყიდეს გასულ თვეშიც. გაუგებარია, რას ემსახურება ამდენი კომპიუტერის შესყიდვა? ასევე, გაუგებარია, ის დანარჩენი კომპიუტერები და ლეპტოპები, რომლებიც ამ დრომდე იყო შეძენილი – რა ბედი ეწიათ. შეჭამეს? გაყიდეს? სახლში წაიღეს? რას უშვრებიან ამ ტექნიკას?! გაუგებარია და არც არავინ არ ხსნის რა საჭიროებას ემსახურება ამდენი ტექნიკის შეძენა მაშინ, როდესაც რთულ ვითარებაში არიან სოციალურად დაუცველები. ყველა ვხედავთ, რა რთული ვითარებაა სხვადასხვა მიმართულებით ქვეყანაში, ამიტომ, გადაწყვიტეს ცვლილებები დაიწყოს გამგებლების დონეზე.

— **ვისზეა საუბარი?**

– ჩვენი ინფორმაციით, ამ ეტაპზე საუბარია სამი გამგებლის – გლდანის, საბურთალოსა და სამგორის გამგებლების განთავისუფლებაზე. ჩვენივე ინფორმაციით, ეს ადამიანები, უახლოეს დღეებში, პირადი განცხადების საფუძველზე წავლენ თანამდებობებიდან. ამავდროულად, მერიის კულუარებში საუბარია, რომ ამის შემდეგ, ათივე გამგებელი დატოვებს თანამდებობას, ანუ, ეს იქნება განთავისუფლებების ციკლი. როგორც ვიცით, „ოლიმპოს მთაზე“ შემომჯდარი, შპს „საქართველოს“ დირექტორი ბიძინა ივანიშვილი უკმაყოფილოა ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობით. ასევე, გამგეობების საქმიანობით უკმაყოფილოა „ქართული ოცნების“ ელიტა და ამ ყველაფერს უკავშირდება აღნიშნული ამბები.

— **ადრეც მითხარით, რომ ზოგიერთი გამგებლების განთავისუფლება იგეგმებოდა, თუმცა, დღემდე ინარჩუნებენ თანამდებობებს. რატომ არ გაანთავისუფლეს დღემდე და რატომ გგონიათ, რომ ახლა ნამდვილად გაათავისუფლებენ?**

– იმ პერიოდში პოლიტიკურად სხვა უფრო მნიშვნელოვანი თემები იყო წამოწეული და ვეღარ მოიცალეს გამგებლებისთვის. დღეს კი, მათი განთავისუფლების მიზეზი იქნება ან ის საქმეები, რომლებიც გამოძიების პროცესშია, ან ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა, რომ მათ თანამშრომლები უკანონოდ გაათავისუფლეს.

> **„ჩვენივე ინფორმაციით, ეს ადამიანები, უახლოეს დღეებში, პირადი განცხადების საფუძველზე წავლენ თანამდებობებიდან. ამავდროულად, მერიის კულუარებში საუბარია, რომ ამის შემდეგ, ათივე გამგებელი დატოვებს თანამდებობას, ანუ, ეს იქნება განთავისუფლებების ციკლი“**

**„ალია“ დიდუბის გამგებელს, ირმა ზავრადაშვილს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, რატომ გახდა საჭირო დამატებითი კომპიუტერების შესყიდვა. ასევე, დგას თუ არა დღის წესრიგში გამგებლების თანამდებობებიდან წასვლის საკითხი.**

**„ეს არ არის ჩვენ მიერ გამოცხადებული ტენდერი. ეს ტენდერი გამოაცხადა დედაქალაქის მერიამ. კონსოლიდირებული ტენდერია, რომლის ფარგლებშიც მივეცით ახალი კომპიუტერების გეგმა. დოკუმენტბრუნვის პროგრამა რომ გაუშვეს, აღმოჩნდა, რომ კომპიუტერებს ამის შესაძლებლობა ამოწურული ჰქონდათ და ძირითადად „ჭედავდნენ“.**

**გარდა ამისა, იურიდიული განყოფილება დაგვემატა და მათაც დასჭირდათ კომპიუტერები. ასევე, უბნის სამსახურები არ იყვნენ ჩართულები დოკუმენტბრუნვის პროცესში, ახალა ისინიც ჩაერთვნენ და მათაც დასჭირდათ. რაც შეეხება ჩემს წასვლას თანამდებობიდან — პირველად მესმის, ჩემთვის არავის უთქვამს მსგავსი რამ, მეც არ ვაპირებ წასვლას და რა ვიცი, კუბლაშვილმა თუ ჩემზე მეტი იცის, ეს სხვა თემაა“, — გვითხრა დიდუბის გამგებელმა.**

## დავასახელე იმ პირის ვინაობა, რომელმაც მეუღლესთან ვაიბერმიმოწერა გადმომცა — ეკა მიშველაძე



პროკურატურაში ეკა მიშველაძის გამოკითხვის დასრულების შემდეგ ჟურნალისტი აცხადებს, რომ სამართალდამცავებს იმ პირის ვინაობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელმაც მეუღლე ალექსი პეტრიაშვილთან ვაიბერმიმოწერა გადასცა.

მისი თქმით, საქმეზე გამოძიება დაწყებული არ არის.

ჟურნალისტი იხსენებს, რომ პირმა მტკიცებულებების სახით უთხრა, რომ მისი და ალექსი პეტრიაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და ფოტომასალებიც არსებობს, თუმცა მისი განცხადებით, მას ეს არ უნახავს.

– მე მივაწოდე პროკურატურას ყველა ინფორმაცია, რაც მქონდა. დავასახელე იმ პირის ვინაობა, რომელმაც მეუღლესთან ვაიბერმიმოწერა გადმომცა. ერთი რამ მინდა ვთქვა, ამ ქვეყანაში უკანონო თვალთვალი და სასაფლაოებზე ადამიანების დახვრეტა უნდა დამთავრდეს. პირობას ვდებ, რომ ეს დასრულდება. ფარული მიყურადება ჩემსა და ალექსი პეტრიაშვილზე 2014 და 2015 წლებში ხორციელდებოდა, – განაცხადა მიშველაძემ პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ. (ნიუპოსტი)

## „ეს ნიშნავს სხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას“, — სესიაშვილი კარასინის განცხადებაზე

– ეს პირდაპირ ნიშნავს სხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას, – ირაკლი სესიაშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებას ეხმაურება.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე კარასინის იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც მთავარი საფრთხე საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებაა.

სესიაშვილის თქმით, საქართველოს ერთი გზა აქვს არჩეული და ეს ევროპული და ევროატლანტიკური გზაა.

– არადიპლომატიური განცხადებაა აბსოლუტურად. ეს პირდაპირ ნიშნავს სხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას, სცილდება ყველა ნორმალურ, ცივილიზებულ ეთიკის ნორმებს. რაც შეეხება მის ფიქრს, რომ აქ პრორუსული ძალები მოვიდეს, მე მინდა ვუთხრა ოკუპანტ ქვეყანას, რომ საქართველოს მოსახლეობას, ამ ქვეყანას აქვს მხოლოდ ერთი არჩეული გზა – ეს არის ევროპული და ევროატლანტიკური და ქვეყანაში ვერ მოვა ის ძალა, რომელიც ოკუპანტთან გარიგდება, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა. (rustavi2.com)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩვენი პლანეტის ტემპერატურამ კრიტიკულ მაჩვენებლებს მიაღწია



მონაცემების მიხედვით, რომელიც „ნასამ“ დაადასტურა, 2016 წლის თებერვალი ყველაზე თბილი თვე იყო, რაც ოდესმე დაფიქსირებულა.

იანვართან შედარებით, რომელიც აქამდე ყველაზე თბილ თვედ იყო აღიარებული, თებერვალში ტემპერატურა ჩვეულ ტემპერატურაზე 0.2 გრადუსით მეტი იყო.

თებერვალში უჩვეულოდ თბილი ამინდები ძირითადად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და არქტიკაში იყო. ამ ტერიტორიებზე ბოლო ათასწლეულების განმავლობაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა.

2016 წლის თებერვალი 1,15-დან 1,4 გრადუსით უფრო თბილი იყო, ვიდრე საშუალო ამინდი თებერვალში.

ინდუსტრიული ერიდან, ანუ 1981 წლიდან, წინა წლის ოქტომბრამდე ტემპერატურა სულ 1 გრადუსით გაიზარდა, ხოლო ოქტომბრიდან დღემდე, ანუ სულ რაღაც ხუთი თვის განმავლობაში – უკვე 0,4 გრადუსით.

ეს მაჩვენებელი პლანეტის ბევრი რეგიონისთვის სავალალო შედეგების მომტანი იქნება. მაგალითად, არქტიკის ზოგიერთ ნაწილში ტემპერატურა ჩვეულებრივ მაჩვენებელზე 16 გრადუსით მაღალი იყო. პლანეტის ამ ნაწილში თებერვალი ყველაზე ცივი თვეა, მხოლოდ 2016 წელს ტემპერატურა 0-ზე ოდნავ მაღალი იყო. ტემპერატურის მსგავსი მაჩვენებლები ყინულის დნობასა და ოკეანეში წყლის დონის აწევას გამოიწვევს.

ტემპერატურის ამ ტემპებით ზრდა სხვადასხვა მიზეზების გამო ხდება. რა თქმა უნდა, ეს საუკუნეების განმავლობაში და ყველაზე მეტად მეოცე საუკუნეში ადამიანის მიერ მიყენებული ზიანის გამოვლინებაა. ბოლო ათწლეულებში დაგროვილი გლობალური დათბობის შედეგები ერთიანად იჩენს თავს და სწრაფ დათბობას იწვევს.

ამ მონაცემების გაანალიზებით საეჭვო ხდება გასული წლის დეკემბერში, პარიზის შეხვედრაზე შეთანხმებული კლიმატის ნორმები. პატარა კუნძულოვანმა ქვეყნებმა 2100 წლისთვის ტემპერატურის მატების მიზნად 1.5 გრადუსი დაისახეს, ხოლო თებერვლის მონაცემებით ამ ზღვარს 2016 წლის ბოლოსთვის მივაღწევთ.

მსგავსი სისწრაფით ტემპერატურის მატება, წარმოუდგენელი შედეგების მომტანი იქნება ადამიანისთვისაც და ბუნებისთვისაც. უკვე ყველა ერთხმად თანხმდება, რომ გლობალური საზოგადოების მთელი ყურადღება კლიმატის ცვლილებების შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში გლობალური დათბობის კრიზისული მომენტი იმაზე ადრე დადგება, ვიდრე ნავარაუდევი იყო.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## უსახლკაროს პოლიციის დახმარებისთვის დააჯილდოებენ



პოლიციის დახმარებისთვის ბომჟი 100 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

უცხოური პრესის ინფორმაციით, კალიფორნიის ოლქ ორინჯის ხელისუფლება? სან-ფრანცისკოელ ბომჟ მეთიუ ჰეი-ჩაპმენს პოლიციისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებისთვის, 100 ათას დოლარს გადაუხდის.

სწორედ ბომჟის ინფორმაციის საშუალებით მოხერხდა ციხიდან გაქცეული ორი პატიმრის დაკავება.

ინფორმაციის თანახმად, მეთიუ ჰეი-ჩაპმენმა ტელევიზიით ნანახი თეთრი ფურგონი, რომელშიც გაქცეული პატიმრები მოძრაობდნენ, ქუჩაში დაინახა და პოლიციას აცნობა. ამის შემდეგ, ფურგონს დაედევნა და პოლიციამ გაქცეული ბოროტმოქმედები დააკავა.

ორენჯის ოლქის ქალაქ სანტა ანას ცენტრალური ციხიდან სამი პატიმარი 22 იანვარს გაიქცა. ერთ კვირის შემდეგ პოლიციას ერთ-ერთ პატიმარი ჩაბარდა, ხოლო ორი პატიმარი ბომჟის ინფორმაციის შემდეგ დააკავეს.

სახელმწიფო ჯილდოს გატაცებული ფურგონის მეპატრონე და სუპერმარკეტის ორი თანამშრომელიც მიიღებენ, რომლებმაც პოლიციას გაქცეული პატიმრების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციისთვის ინფორმატორები 50 ათას დოლარს გაინაწილებენ.

საქმეში ტაქსის მძღოლიც ფიგურირებს, რომელიც პატიმრებს მძევლად 1 კვირა ჰყავდათ აყვანილი. თუმცა, ტაქსის მძღოლი არც კომპენსაციას მიიღებს და არც სახელმწიფო ჯილდოს.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელმა მამაკაცმა მართვის მოწმობისთვის უჩვეულო ფორმაში ფოტოს გადაღების უფლება მოიპოვა




ჩემი ფოტო და მე, მინდა მელას დავემსგავსები და მინდა ჰიპოპოტამსო, ბრძანა ამერიკელმა ბიშოლმა და მტყუან-მართალის გარჩევის მიზნით სასამართლოს მიმართა.

საქმე ისაა, რომ ბიშოლი ამერიკელი ინდიელების ერთ-ერთი აღმსარებლობის მიმდევარია, რომლის თანახმადაც, ყველა ადამიანში რომელიმე ცხოველი ცხოვრობს და ამ ცხოველის გამოსახულებიანი ნივთიც უნდა ატაროს. ბიშოლის მეორე სახე კი მელა აღმოჩნდა. ჰოდა, მელას გამოსახულებიან ქუდს ატარებს.

როცა მართვის მოწმობის ფოტოს გადასაღებად მივიდა, არასერიოზული ქუდით ფოტოს გადაღების უფლება არ მისცეს. ბიშოლი აღშფოთდა, ადრე არსად შემქმნია პრობლემები, როცა მეკითხებოდნენ, ვუხსნიდი და ისინიც იგებდნენ, თანაც წინა მართვის მოწმობისთვის ამავე ქუდით გადავიღე ფოტო და ახლა რამ გადაგრიათო.

ავტოსატრანსპორტო ინსპექციამ, თავის მხრივ, თავი გაიგიჟა, ჩვენი სისტემის გამართული მუშაობისთვის აუცილებელია, რომ ხალხმა ფოტო ყოველგვარი ქუდების, სათვალეებისა და გვირგვინების გარეშე გადაიღონო.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ეგრე არ უნდაო და ბიშოპმა სასამართლოს მიმართა. ცხრათვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, ადამიან-მელას ქუდით ფოტოს გადაღების ნება დართეს.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფსიქოლოგების ახალი დასკვნა — „ფეისბუკი“ შემეცნებით და მორალურ დაკნინებას იწვევს




„ჩატაობამ“ და სოციალური მედიის გამოყენებამ შესაძლოა, „შემეცნებითი და მორალური დაკნინება“ გამოიწვიოს, – ამტკიცებენ ახალი კვლევის ავტორები.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ის ხალხი, ვინც ხშირად ჩატაობს ან სოციალურ მედიას იყენებს, ნაკლებად „მოაზროვნეა“ და „ნაკლებ მნიშვნელოვანი მორალური მიზნები“ აქვს ცხოვრებაში.

ტექნოლოგიური მწერალი ნიკოლას კარი პულიცერის პრემიაზე ნომინირებულ წიგნში „ზერელე ადამიანები“, განიხილავს შესაძლებლობას, რომ ინტერნეტი ცვლის „ჩვენი ფიქრის, კითხვისა და დამახსოვრების გზებს“.

მწერალს მიაჩნია, რომ ინტერნეტმა შეამცირა ადამიანის აზროვნება, რისი მიზეზიც ინტერნეტ-კომუნიკაციებისთვის დამახასიათებელი სისწრაფეა, რაც გამოიხატება მოკლე კომენტარებში, წერილებსა და პოსტებში, რაც დიდ დროს არ მოითხოვს.

„ზერელეობის ჰიპოთეზა“ ამტკიცებს, რომ „ინტერნეტთან მუდამ წვდომამ, მუდამ თან მქონე პორტატულმა მოწყობილობებმა და მათი საშუალებით სოციალურ მედიასთან წვდომამ დრამატულად შეამცირა ჩვენი ყოველდღიური აზროვნება“.

იდეა იმაში მდგომარეობს, რომ, რაც უფრო მეტად ვიყენებთ მოკლე და სწრაფ კომუნიკაციებს, მით უფრო ცოტას და სწრაფად ვფიქრობთ, რაც, თავის მხრივ, აზროვნების დაქვეითებას იწვევს.

უისკონსინის უნივერსიტეტის მიერ 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ 2 314 სტუდენტიდან, რომლებიც კვლევაში მონაწილეობდნენ, მათ, ვინც უფრო ხშირად ჩატაობდნენ, „ჰქონდათ ისეთი თვისებები, მიზნები და დამოკიდებულებები, რომლებიც ნაკლებ ინტერესიანი და ნაკლებად მოაზროვნე ადამიანებისთვისაა დამახასიათებელი“.

კიდევ ერთმა სხვა კვლევამ აჩვენა, რომ ჩატაობა და სოციალური მედია მორალურ და კოგნიტურ დაკნინებას განაპირობებს.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ის ადამიანები, რომლებიც მეტად იყენებენ სოციალურ მედიას, უფრო ნაკლებად გონიერნი იყვნენ იმ პირებთან შედარებით, რომლებიც მას შედარებით იშვიათად იყენებენ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## თურმე ადამიანი ხორცის დამსახურებით გახდა უფრო ჭკვიანი



ვეგეტარიანელებს დიდად არ მოეწონებათ ეს სიახლე, მაგრამ ხმა ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხმა სიმართლისაო – ძველებს უთქვამთ...

ჰოდა, ამ სიმართლის მღაღადებელმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ ადამიანის ინტელექტის დონის გაუმჯობესება ხორცის დამსახურება ყოფილა.

თურმე ხორცი ტვინისთვის ერთობ სასარგებლო პროდუქტია და მეცნიერებისვე თქმით, ვეგეტარიანელები მასზე უარის თქმით, ბევრს კარგავენ. გარდა ამისა, ღმერთმა უწყის ხორცზე გადაჭრით უარის თქმა რას მოგვიტანსო.

ახლა თავად გაარკვიეთ ჭეშმარიტ დასკვნასთან გვაქვს საქმე, თუ ხორცის მწარმოებელი ქარხნების დაკვეთასთან.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იაპონიაში ნინძის პოსტზე კონკურსი გამოცხადდა



თუ ბავშვობაში მულტფილმი „კუ ნინძები“ მოგწონდათ, იაპონიაში, აიტის პრეფექტურა შანს გაძლევთ, ოცნება აიხდინოთ და ნინძა გახდეთ.

2020 წელს ოლიმპიური თამაშები იაპონიაში ტარდება, ჰოდა, ადამიანი ნინძაც სწორედ ამისთვის სჭირდებათ, თანაც ქვეყანას არ ზღუდავენ და ნებისმიერ მსურველს, 18 წლიდან შეუძლია, ბედი სცადოს.

ნინძობის მსურველმა უნდა იცოდეს ინგლისური ენა, იაპონიის კულტურა და ისტორია, ფლობდეს საბრძოლო ხელოვნებას და იცოდეს იაპონური იარაღის, სიურიკენის მოხმარება, ცოტა აკრობატიკაშიც უნდა ერკვეოდეს, საცეკვაო ნაბიჯების აზრზე უნდა იყოს და ტურისტებთან ფოტოები უნდა გადაიღოს, სულ ესაა.

სამაგიეროდ, ყოველ თვე ხელფასის სახით 1600 დოლარს მიიღებს. დაფიქრდით ნინძობაზე, მეოცნებენო, ყირაზე დგომა და 1600 დოლარი თქვენია.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რომელია მსოფლიოში ყველაზე უბედური ქვეყანა?



თურმე, მსოფლიოში ყველაზე უბედური ქვეყანა ბურუნდი ყოფილა, ყველაზე ბედნიერი კი – დანია.

დანიამ პირველობა შვეიცარიას ჩამოართვა, რის გამოც შვეიცარიამ მეორეზე გადაინაცვლა. ბედნიერი ქვეყნების ათეულში ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი, კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია და შვეცია შევიდა.

ბურუნდი უკანასკნელ, 157 ადგილზე გავიდა, 156 და 153 ადგილებზე კი სირია და ავღანეთი იბრძვიან ბედნიერებისთვის.

ქვეყნების ბედნიერების ხარისხი ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის ყოველთვის ერთი დარი არ იქნება და როგორც შვეიცარიამ დაუთმო დანიას პირველობა, ისე შეუძლია სხვა ქვეყნებსაც მოწინავე ადგილებისთვის ასპარეზობა.

უცნობია, რომელ ადგილზეა საქართველო, მაგრამ ბურუნდის, სირიასა და ავღანეთს რომ უსწრებს, დიდი ნუგეშია.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძემ 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ლერწმისგან დამზადებული საკრავი
2. გამომცხვარი ცომი ყველის გულით
3. მომღერალი ნატო ...
4. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
5. მკერდის კორექციის მასალა
6. ჩეხეთის დედაქალაქი
7. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
8. მისი დედაქალაქია ბეირუთი
9. ტროპიკული ნაყოფი
10. აქლემის ნაშიერი
11. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
12. მდინარის პატარა თევზი
13. ჩანთოსანი დათვი
14. ტბა დუშეთის რაიონში
15. ქალაქი კანადაში
16. მხ/ფ „სინიორ ...“
17. მსახიობი ... სარაჯიშვილი
18. ტორეადორი, ანუ ...
19. მსახიობი ბენისიო ... ტორო
20. მსახიობი ... ნოლტი
21. მოსკოვის ტელე-ანძა
22. ქვეყნის მკვიდრი მოსახლე
23. მხატვარი კობა ...
24. ოპტიმისტის საპირისპირო
25. კოქლი ფეხბურთელი
26. ... ფონ ბისმარკი
27. ცალთვალა რუსი მხედართმთავარი
28. ჩოგბურთელი ... ნოა
29. მსახიობი ჰარი ...
30. ქალაქი კანადაში
31. ძლიერი სიცხე, ხვატი
32. ოჯახის უმცროსი შვილი
33. „,... ოკეანის საიდუმლოება“
34. „ოტელო“ პერსონაჟი
35. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
36. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
37. მდინარე რომში
38. ნაჯახი
39. მწერალი მაქსიმ ...
40. დამფინანსებელი, ანუ ...
41. ანდაზა: ... მონას-ტერი
42. ...-ანჯელესი
43. უძველესი აკადემია კახეთში
44. ვიეტნამის დედაქალაქი
45. რომის იმპერატორი
46. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
47. მაღაზიის გამყიდველი
48. ხელსაწყო მაგნიტური ისრით
49. გემი, რომლითაც ჩარლზ დარვინმა იმოგზაურა
50. მარინა ვლადი ფილმში „ჯადოქარი“
51. უნგრელი კომპოზიტორი
52. ფრანგი პოლიტიკოსი. მოკლეს აბაზანაში
53. წარჩინების სამკერდე ნიშანი
54. ცისარტყელასებრი ზოლი, ანუ ...
55. დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი
56. რიცხვი 3,14
57. თევზების სპეციალისტი
58. ბოსტნეული
59. მტაცებელი ფრინველი
60. სამად დასაკეცი ხატი
61. ცხენების რბოლა
62. მსახიობი მეგ ...
63. ... გათეთრდების ყორანი
64. თანავარსკვლავედი
65. ჯეკ ლონდონი. „მარტინ ...“
66. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
67. მომღერალი დიმა ...
68. „ნატვრის ხე“ მღვდელი
69. სისხლძარღვი
70. სამკურნალო მცენარე
71. პატაკი (მოძვ.)
72. დიდი ფორმატის ფურცელი
73. დამუხტული ნაწილაკი
74. საქონლის გულღვიძლი
75. ბუნებრივი ვენტილაცია
76. პერიოდული საგაზეთო გამოცემები
77. რგოლებიანი პლანეტა
78. დეპი ფილმში „... სიზმრები“
79. მსახ. დუეინ ... ჯონსონი
80. ჰოლანდიელი ფერმწერი
81. ძველი დოკუმენტების საცავი
82. ქალღმერთ ათენას ეპითეტი
83. ნელი, მძიმე ტემპი მუსიკაში
84. მარიო პიუზოს „ნათლია“ დონ ...
85. წყლის სავალი თხრილი
86. სიო
87. ნაგვის ასაღები
88. ნავთობის საზიდი გემი
89. სახსრების დაავადება ... ქარი
90. მწერალი ვიტალი ...
91. სანჰიგიენური დაწესებულება
92. მსახიობი ... ისტვუდი
93. შინაური პირუტყვი პერუში
94. რკინის სახეხი ძელაკი
95. გათვლა: ... ბენკისიკლისა
96. პოეტი ... ახმადულინა
97. შარდის ბუშტის ანთება
98. სულხან-საბა ...
99. მთრიმლავი ნივთიერება
100. მხ/ფ „... მოჩვენება“
101. თაღი
102. მუზეუმი მადრიდში
103. დიზაინერი ... სენ ლორანი
104. სოფელი რაჭაში
105. გამის ნოტი
106. მღრღნელი ცხოველი დედოფალა
107. დე ნირო და რენო ფილმში
108. ბრტყელი თევზი
109. ელვის ... პრესლი
110. ლეონარდო და ვინჩი „მადონა ...“
111. მაროკოს დედაქალაქი
112. ბერძნული ცეკვა
113. კუს ჯავშანი
114. მსახიობი ... როკი
115. ნუშის ლიქიორი
116. ჩილეს დედაქალაქი
117. კოსმოსური კვლევის ცენტრი აშშ-ში
118. არგენტინული ცეკვა
119. ნივრების ასხმა
120. ჩეხური გამათბობლის ფირმა
121. ტბა აფრიკაში
122. პირის ნაცვალსახელი
123. საზოგადოების ნაღები ფენა
124. მექსიკური სიმღერა „... მუჩო“
125. ექსპრეზიდენტი აბრაამ ...
126. ხარებთან ბრძოლა
127. მომღერალი ... ჯაგერი
128. რუსი ილუზიონისტი
129. კრემიანი ფუნთუშა
130. ...-ვეგასი
131. ვულკანი სიცი-ლიაზე
132. შხამიანი მწერი
133. მღვდლის სამოსი
134. ... პუგაჩოვა
135. ალაოზე დამზადებული სასმელი
136. მსახიობი ვივიენ ...
137. მიწის ფართობის ერთეული
138. მდინარე კახეთში
139. მცენარე ვენახში
140. მსახიობი ... გიუნტერი
141. ქალაქი ავსტრალიაში
142. დღის დასაწყისი
143. ცხენის ნაშიერი
144. შენობა, დგამენ სპექტაკლებს
145. ლაშქარი
146. ბალეტ „ჟიზელის“ კომპოზიტორი
147. თანხმობის ფორმა
148. მდინარე საფრანგეთში

პასუხები: 1. სალამური; 2. ხაჭაპური; 3. მეტონიძე; 4. თარი; 5. სილიკონი; 6. პრაღა; 7. აბატი; 8. ლიბანი; 9. ანანასი; 10. კოზაკი; 11. სპიდომეტრი; 12. ღორჯო; 13. კოალა; 14. ბაზალეთი; 15. ტორონტო; 16. რობინზონი; 17. ნანული; 18. მატადორი; 19. დელ; 20. ნიკ; 21. ოსტანკინო; 22. აბორიგენი; 23. გურული; 24. პესიმისტი; 25. გარინჩა; 26. ოტო; 27. კუტუზოვი; 28. იანიკ; 29. ოლდმენი; 30. ვინიპეგი; 31. პაპანაქება; 32. ნაბოლარა; 33. ორი; 34. იაგო; 35. გაბროვო; 36. ოსირისი; 37. ტიბრი; 38. ცული; 39. გორკი; 40. სპონსორი; 41. აირია; 42. ლოს; 43. იყალთო; 44. ჰანოი; 45. ნერონი; 46. არისტოტელე; 47. ნოქარი; 48. კომპასი; 49. „ბიგლი“; 50. ინგა; 51. ლისტი; 52. მარატი; 53. ორდენი; 54. სპექტრი; 55. დრამერი; 56. პი; 57. იქთიოლოგი; 58. ნიორი; 59. ქორი; 60. ტრიპტიქი; 61. მარულა; 62. რაიანი; 63. არ; 64. ორიონი; 65. იდენი; 66. მექა; 67. ბილანი; 68. ოხროხინე; 69. ვენა; 70. ასკილი; 71. რაპორტი; 72. თაბახი; 73. იონი; 74. ჯიგარი; 75. აერაცია; 76. პრესა; 77. სატურნი; 78. არიზონას; 79. როკ; 80. რემბრანდტი; 81. არქივი; 82. პალადა; 83. გრავე; 84. კორლეონე; 85. არხი; 86. ნიავი; 87. აქანდაზი; 88. ტანკერი; 89. ნიკრისის; 90. ბიანკი; 91. აბანო; 92. კლინტ; 93. ლამა; 94. ქლიბი; 95. ენკი; 96. ბელა; 97. ცისტიტი; 98. ორბელიანი; 99. ტანინი; 100. ოპერის; 101. არკა; 102. პრადო; 103. ივ; 104. ირი; 105. სი; 106. სინდიოფალა; 107. „რონინი“; 108. კამბალა; 109. აარონ; 110. ლიტა; 111. რაბათი; 112. სირტაკი; 113. ბაკანი; 114. კრის; 115. „ამარეტო“; 116. სანტიაგო; 117. ნასა; 118. ტანგო; 119. გალა; 120. „კარმა“; 121. ნიასა; 122. მე; 123. ელიტა; 124. ბესამე; 125. ლინკოლნი; 126. კორიდა; 127. მიკ; 128. კიო; 129. ბლითი; 130. ლას; 131. ეტნა; 132. კელა; 133. ანაფორა; 134. ალა; 135. ლუდი; 136. ლი; 137. აკრი; 138. ალაზანი; 139. ვაზი; 140. ანი; 141. სიდნეი; 142. დილა; 143. კვიცი; 144. თეატრი; 145. სპა; 146. ადანი; 147. კი; 148. რონა. იკითხება: „ვენერას დაბადება“.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## სარკეში დიდხანს ცქერას ადამიანის... გაგიჟება შეუძლია



ძალიან დიდი კრიტიკა დაიმსახურა... სარკემ, თანაც სრულიად ჩვეულებრივმა და ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარმა...

მეცნიერების აზრით, ის ადამიანები, რომლებიც სარკის წინ დიდ დროს ატარებენ, რისკავენ, მნიშვნელოვნად დაიზიანონ ფსიქიკური მდგომარეობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვეულებრივი ექსპერიმენტი ჩატარდა – სპეციალისტებმა რამდენიმე ასეული რესპონდენტი დაიქირავეს, რომლებსაც დაევალათ, სარკეში საკუთარი თავისთვის შეუჩერებლად 10 წუთის მანძილზე ეცქირათ.

და იცით, რა შედეგი მიიღეს მეცნიერებმა? აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად ყველა მოხალისე საშინელ მღელვარებასა და დეპრესიას განიცდიდა.

თავად მეცნიერებიც აღიარებენ, რომ ასეთ შედეგს ნამდვილად არ მოელოდნენ, რადგან ფიქრობდნენ, დისკომფორტი მხოლოდ იმ ადამიანებს უნდა გასჩენოდათ, რომლებიც საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილოები იყვნენ.

კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ მღელვარების შეგრძნება და დისკომფორტი აბსოლუტურად ყველა მოხალისეს უკვე 2-3 წუთის გასვლის შემდეგ უჩნდებოდა.

რთული სათქმელია, რას უნდა უკავშირდებოდეს ეს მოვლენა, თუმცა მეცნიერები მაინც გვაფრთხილებენ, რომ არ ღირს სარკეში ხშირად და მით უფრო, დიდხანს ყურება.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ სტატისტიკურად მშვენიერი სქესი სარკეში დღის მანძილზე დაახლოებით 38-ჯერ იყურება, მამაკაცების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი, სულ რაღაც, 18-ია. ამასთანავე, ქალების 80 პროცენტი საკუთარ თავში მიმზიდველობას, ფაქტობრივად, ვერ ხედავს და გარეგნობის გამო მამაკაცებზე გაცილებით მეტს ნერვიულობს.

*woman.ru*

## სისხლდენა ღრძილებიდან... სასიკვდილოდ სახიფათოა



შედარებით მსუბუქ უსიამოვნებებში ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი ღრძილებიდან სისხლის დენაა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს პრობლემა ინფარქტსა და კიბოსაც კი არ ჩამოუვარდება.

შვეიცარიელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანის პირში ძალიან საშიში ბაქტერია ბინადრობს, რომელსაც უმძიმესი დაავადებებისა და თქვენ წარმოიდგინეთ, სიკვდილის გამოწვევაც შეუძლია, თუკი სისხლის ნაკადში მოხვდება. აი, სწორედ ამიტომაა საჭირო, რომ ღრძილების მოვლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს.

ბაქტერიის სახელწოდება „სტრეპტოკოკუს ტიგურინუსია“, რომელიც მეცნიერებმა სწორედ ადამიანის პირის ღრუში აღმოაჩინეს.

არაერთი ანალიზის დახმარებით დადგინდა, რომ ის იმ ადამიანების სისხლში ბინადრობს, რომლებიც შემდეგი დაავადებებით იტანჯებიან: ენდოკარდიტი (გულის ანთებითი დაავადება), მენინგიტი და სპონდილოდისციტი (ხერხემლის ანთებითი დაავადება). ამდენად, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ჩამოთვლილი უსიამოვნებები სისხლში სწორედ ამ ბაქტერიის მოხვედრას უკავშირდება.

მეცნიერები აღნიშნულ საკითხთან მუშაობას მომავალშიც გააგრძელებენ, რადგან ახლად აღმოჩენილ ბაქტერიას დეტალური შესწავლა და გამოკვლევა სჭირდება.

და კიდევ ერთი – სპეციალისტები ამბობენ, რომ მათი აღმოჩენა პანიკის საბაბს ნამდვილად არ იძლევა, თუმცა კიდევ ერთხელ გვაფრთხილებენ, რომ ღრძილები უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვოთ.

*pronowosti.ru*

## დაავადებების დიაგნოსტირებით ცოცხალი მიკრორობოტი დაკავდება



მეცნიერები რობოტის ციცქნა პროტოტიპს ქმნიან, რომელიც განვითარდება და იფუნქციონირებს, როგორც ცოცხალი არსება და ერთ მშვენიერ დღესაც ადამიანისთვის ზუსტი დიაგნოზის დასმას შეძლებს.

მოწყობილობის თუ არსების სახელწოდება „კიბერპლაზმი“ გახლავთ, რომელიც თავის თავში აერთიანებს მიკროელექტრონიკას ბიომიმიკრიის (ტექნოლოგია, რომელიც ბუნებისგანაა შთაგონებული) უკანასკნელი მიღწევებით. მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ „კიბერპლაზმს“ ექნება ელექტრონული ნერვული სისტემა, „თვალები“ და „ცხვირი“, რომლებიც ძუძუმწოვართა უჯრედებისგანაა მიღებული. ასევე, მის არსენალში შევა: ხელოვნური კუნთები, რომელიც რობოტის მოძრაობაში მოყვანისთვის გლუკოზას გამოიყენებს.

„კიბერპლაზმზე“ მომუშავე მეცნიერების მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დაპროექტდეს და მოხდეს ინტეგრირება რობოტის ისეთი კომპონენტების, რომლებსაც სინათლესა და ქიმიურ ნივთიერებებზე ისეთივე რეაქცია ექნებათ, როგორიც ბიოლოგიურ სისტემებს.

„კიბერპლაზმზე“ მუშაობა უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს და მას დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის სამეცნიერო სტრუქტურები აფინანსებენ.

წინასწარი ინფორმაციით, „ექიმი-რობოტის“ ფართოდ გამოყენება უკვე 5 წელიწადში იქნება შესაძლებელი.

*wordscience.org*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**17 მარტი:** არსებულ სიტუაციაში ძალთა ბალანსი შესაძლოა, თქვენს საზიანოდ შეიცვალოს. სამწუხარო ის არის, რომ თქვენ რაიმეს შეცვლას ვერ შეძლებთ.

**კურო 22.04-21.05**

**17 მარტი:** საინტერესო იდეა გაგიჩნდებათ და მის რეალიზაციაზე დიდი დროს არ დახარჯავთ, დღესვე მოასწრებთ. იმედია, ხელს არავინ შეგიშლით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**17 მარტი:** თქვენი მხრიდან თუნდაც მცირედი ყურადღების გამოხატვას დიდად დააფასებენ. გამოიყენეთ ეს მომენტი, დაანახეთ გარშემომყოფთ თქვენი შინაგანი ბუნება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**17 მარტი:** რომელიღაც ახლობელს თქვენი ბრძნული რჩევა დასჭირდება. იმის იმედიც რომ არ გქონდეთ, რომ მას რამეში გამოადგებით, დახმარება მაინც შესთავაზეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**17 მარტი:** ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ზურგსუკან თქვენზე რას ილაპარაკებენ. შეგიძლიათ, ყველა დააიგნოროთ, აკეთეთ, რაც გინდათ, საშინელება არაფერი მოხდება.

**ქალწული 23.08-22.09**

**17 მარტი:** სადაც არ უნდა მოხვდეთ, დიდი ალბათობით, ყველგან ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. ასე რომ, ფრთხილად იყავით, სისულელე არ ჩაიდინოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**17 მარტი:** სიმშვიდე და სიმყუდროვე მოგინდებათ და მის მოსაპოვებლად ყველაფერი უნდა იღონოთ, რადგან ამას ორგანიზმი მოგთხოვთ, მისი იგნორირება კი არ შეიძლება.

**მორიელი 23.10-21.11**

**17 მარტი:** მართალია, არავინ არაფერში მოგედავებათ, მაგრამ შეიძლება თავის მართლებისკენ იყოთ მიდრეკილი. არ გინდათ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**17 მარტი:** აზრები მოიწესრიგეთ და მხოლოდ საკუთარი საქმეები აკეთეთ, სხვისი ტვირთის წამოკიდება არაფერში არ გჭირდებათ, ისედაც საკმაოდ გაიწვალეთ თავი.

**თხის რქა 22.12-19.01**

**17 მარტი:** შესაძლოა, რაღაცა, რასაც ელოდით, ისეთ დროს მოხდეს, რომ თქვენ საჭირო ადგილას არ იქნებით. შეეცადეთ, განზილება დამალოთ და სხვებს ხასიათი არ გაუფუჭოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**17 მარტი:** ვიღაცა მოსაწყენ თემაზე დიდხანს გესაუბრებათ და მისგან თავის დაღწევა გაგიჭირდებათ. თუ ძალიან ახლობელი არ იქნება, შეგიძლიათ ნებისმიერი მიზეზით მოსცილდეთ მას.

**თევზები 19.02-20.03**

**17 მარტი:** შესაძლოა, დღეს ძალიან ჩაკეტილი იყოთ და რთული ლექსიკით დაიწყოთ საუბარი. რაც უფრო უშუალო იქნებით, უფრო ადვილად გაგიგებენ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## ინფარქტის დროს ქალები ხშირად ტკივილს ვერ გრძნობენ



სტატისტიკის მიხედვით, ხუთიდან ორი ქალი ინფარქტის დროს ტკივილს ვერ გრძნობს და მის ნაცვლად შესაძლოა, სხვა სიმპტომები გამოვლინდეს, რომელთაც მშვენიერი სქესი, სამწუხაროდ, შესაბამის ყურადღებას არ აქცევს. ამდენად, დიდია ალბათობა, რომ შედეგი სავალალო აღმოჩნდეს.

ექიმების განმარტებით, ინფარქტის დროს, შესაძლოა, გულის მაგივრად, ტკივილები ქალმა იგრძნოს ყბებში, კისერში, მხრებში, გაუჩნდეს დისკომფორტის შეგრძნება მუცელში და სუნთქვასთან დაკავშირებული უეცარი პრობლემები.

ფლორიდის გულის ცენტრის სპეციალისტებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასშტაბური კვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ყველა ჩამოთვლილ სიმპტომს სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს. ამასთანავე, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს კატეგორიამ, რომელსაც აქვს: ჭარბი წონა, დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა და ასე შემდეგ.

კვლევაში 1,1 მილიონი პაციენტი იყო ჩართული, რომლებმაც ინფარქტის დიაგნოზით კლინიკებს 1994-დან 2006 წლის ჩათვლით მიაკითხეს.

აღმოჩნდა, რომ პაციენტების 35 პროცენტის (თითქმის ყოველი მესამის) ჩივილები გულის ტკივილს საერთოდ არ უკავშირდებოდა.

აღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა მამაკაცებშიც, თუმცა უფრო ხშირად, მაინც ქალებში იჩენს თავს.

გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ ინფარქტი ტკივილის გარეშე უფრო ხშირად ფატალური შედეგით მთავრდება. მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ადამიანები მსუბუქი სიმპტომების ფონზე ექიმებთან მისვლას აგვიანებენ.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტე ექიმთან მივიდა. ექიმი ზის და გაზეთს კითხულობს.

– ექიმო, თუ შეიძლება, გამსინჯეთ, ცუდად ვარ და რა მჭირს?

– კიბოა, კი ნამდვილად კიბოა.

– რას ამბობ, ექიმო, საიდან დაასკვენით?

– რად უნდა ამას დასკვნა? აი, შენ თვითონ ნახე, მდინარის ფეხსახსრიანი არსება, ოთხი ასო, კიბოა სხვა რა უნდა იყოს?

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.04